

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი  
ქართველური ენათმეცნიერების კათედრა

სადოქტორო პროგრამა: ფილოლოგია (ქართველური ენათმეცნიერება)

თეონა ბერიძე

**„ინტერფერენციის მოვლენა ქართველ-ბერძენი  
ორენოვანი უმცროსკლასელების ნარატივებში“  
(ასაკობრივი ზღვარი: 6-10 წლები)**

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
**დისერტაცია**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თსუ-ს ასოცირებული პროფესორი კახა გაბუნია

სამეცნიერო თანახელმძღვანელი: ილიაუნის ემერიტუს-პროფესორი ნათელა იმედაძე

თბილისი  
2022

# შინაარსი

შინაარსი -----	1-3
აბსტრაქტი -----	4-5
Abstract -----	6-7
შესავალი -----	8-27
➤ 0.1. საკითხის ზოგადი მიმოხილვა და შესწავლის მდგომარეობა-----	8
➤ 0.2. კვლევის საგანი და ობიექტი -----	15
➤ 0.3. კვლევის მიზანი -----	16
➤ 0.4. თემის აქტუალურობა და სიახლე -----	18
➤ 0.5. კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომები -----	19
➤ 0.6. ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა -----	21
➤ 0.7. ნაშრომის სტრუქტურა -----	26
თავი I. ბილინგვიზმი -----	28-64
§1. ტერმინთა განმარტებისთვის -----	28
§2. ბილინგვიზმი, როგორც მრავალმხრივი და მრავალკომპონენტური მოვლენა -----	34
2.1. გავრცელებული მითები და ფაქტები ბილინგვიზმის შესახებ -----	35
2.2. ბილინგვიზმის არსი -----	38
2.3. ბილინგვიზმი უმცროს სასკოლო ასაკში -----	42
2.4. ბილინგვალეების უპირატესობა მონოლინგვალეებთან შედარებით -----	47
§3. მეტალინგვისტური ცნობიერება -----	50
3.1. მეტალინგვისტური ცნობიერების ძირითადი სახეები -----	51
3.2. ბილინგვიზმის გავლენა ლექსიკურ, სინტაქსურ და ფონოლოგიურ ცნობიერებაზე -----	53
3.3. ლექსიკური ცნობიერება -----	53
3.4. სინტაქსური ცნობიერება -----	54
3.5. ფონოლოგიური ცნობიერება -----	54

<b>§4. მეტალინგვისტური ცნობიერება, როგორც ხელშემწყობი ფაქტორი</b>	
არამშობლიური ენების შესწავლის გზაზე -----	55
4.1. მეტალინგვისტური ცნობიერების როლი	
წიგნიერებაში (წერა-კითხვა) -----	56
<b>§5. ინტერფერენცია - ენობრივი კონტაქტების შედეგი</b> -----	58
5.1. ინტერფერენციის რაგვარობა და მისი სახეები -----	61
5.2. სიტყვა-ხატის ინტერფერენციის სტრუქტურა -----	63
<b>თავი II. მშობლიური და მეორე ენის ფლობის საკითხები</b>	
<b>უმცროს სასკოლო ასაკში -----</b>	<b>65-81</b>
<b>§1. რა იგულისხმება მეორე ენის ათვისებაში?</b> -----	65
<b>§2. მეორე ენის ათვისების ლინგვისტური, ფსიქოლოგიური</b>	
<b>და სოციალური ასპექტები</b> -----	67
2.1. ლინგვისტური ასპექტები -----	68
2.2. ფსიქოლოგიური ასპექტები -----	69
2.3. სოციალური ასპექტები -----	71
<b>§3. ორი ენის ფლობის თეორია</b> -----	72
3.1. როგორ განვავითაროთ ბილინგვალ მოზარდში	
ენობრივი კომპეტენციები? -----	74
3.2. კავშირი ენის ფლობასა და აკადემიურ მიღწევებს შორის -----	78
<b>თავი III. ბილინგვალ ბავშვთა მეტყველების თავისებურებების კვლევა</b>	
<b>ნარატივის მეთოდის გამოყენებით -----</b>	<b>82-178</b>
<b>§1. ნარატივის რაობა და მისი მნიშვნელობა</b> -----	82
1.1. ისტორიული რაკურსი ნარატივის გარშემო -----	83
1.2. სტრუქტურული და ფუნქციური მიდგომები, როგორც ძირითადი	
საყრდენები ნარატივის კვლევის დროს -----	84
1.3. დისკურსის სტრუქტურა და კროსლინგვისტური ტრანსფერი -----	87
1.4. კოდების გადართვა (CS) -----	91

§2. ენობრივი ინტერფერენცია ქართველ-ბერძენ ორენოვან უმცროსკლასელთა ნარატივებში და ბერძენ / ქართველ ერთენოვან უმცროსკლასელთა ნარატივების შედარებითი კვლევა -----	96
2.1. ფუნქციური და სტრუქტურული მიდგომები ნარატივის სტრუქტურისთვის (ლექსიკური ერთეულების მაჩვენებლები, მორფოსინტაქსური კონსტრუქციების ურთიერთმიმართება ქართულსა და ახალბერძნულ ენებში და კოდების გადართვის სიხშირე ბილინგვალბთან) -----	119
ძირითადი დასკვნები -----	164
ცხრილების ჩამონათვალი -----	179-180
აკრონიმები და აბრევიატურები -----	180-181
ბიბლიოგრაფია -----	182-219

დანართი № 1: ქართველ-ბერძენი ბილინგვალბების ნარატივები;

დანართი № 2: პონტოელ ბერძენ-ქართველი ბილინგვალბების ნარატივები;

დანართი № 3: ბერძენი მონოლინგვალბების ნარატივები;

დანართი № 4: ქართველი მონოლინგვალბების ნარატივები;

დანართი № 5: „ბაყაყის მოთხრობა” / "Frog, where are you?" (სრული კომპლექტი).

გამოქვეყნებული სტატიები:

# „ინტერფერენციის მოვლენა ქართველ-ბერძენი ორენოვანი უმცროსკლასელების ნარატივებში”

(ასაკობრივი ზღვარი: 6-10 წლები)

## აბსტრაქტი

ენობრივი მრავალფეროვნება ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. დღეისათვის მსოფლიოს თითქმის ნახევარი ბილინგვალი ან მულტილინგვალია. შესაბამისად, ბილინგვიზმი/მულტილინგვიზმი მუდმივად განხილვისა და შესწავლის საგანს წარმოადგენს.

*თემის აქტუალურობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა:* ნაშრომში შევეცადეთ შეგვესწავლა ინტერფერენცია, როგორც ორენოვნების თანმდევი მოვლენა და განგვხილა მეორე ენის ათვისების პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორი. ქართულ-ბერძნული ადრეული ბილინგვიზმი, პრაქტიკულად, დღემდე შეუსწავლელია. წინამდებარე ნაშრომის სახით კი აღნიშნული საკითხის ფსიქოლინგვისტურ ჭრილში წარმოდგენილი შესწავლის პირველი მცდელობა ამ დარგში მის მეცნიერულ სიახლეს განაპირობებს.

*კვლევის მიზნები და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია:* ნაშრომი მიზნად ისახავდა ქართველ-ბერძენ ბილინგვალ უმცროსკლასელებთან ნარატივის მეთოდით ჩასატარებელ კვლევას, მათ მეტყველებაში გამოვლენილი ინტერფერენციის შემთხვევების შესწავლასა და ბილინგვიზმის როლის განსაზღვრას მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციის ამაღლებაში.

*სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა:* წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილია თეორიული მასალის მიმოხილვა, რომელიც ეყრდნობა შესასწავლი საკითხების ირგვლივ ჩატარებულ კვლევებს და სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურას. მეორე ნაწილი კი აგებულია მდიდარ ემპირიულ მასალაზე. კერძოდ, ათენის კაპოდისტრიას ეროვნულ უნივერსიტეტსა (საბერძნეთი) და აჭარის შავიზღვისპირეთში (საქართველო) ნაშრომის ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის ანალიზსა და შედეგებზე.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ძირითადი დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

შესავალში განხილულია კვლევის საგანი, ობიექტი, მიზანი და ამოცანები, აქტუალურობა და მეცნიერული სიახლე, მეთოდოლოგია, სამეცნიერო ლიტერატურა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა;

ნაშრომის პირველი თავი ეხება ბილინგვიზმს. მასში განხილულია ბილინგვიზმი, როგორც მრავალმხრივი და მრავალკომპონენტური მოვლენა, მეტალინგვისტური ცნობიერება, ბილინგვიზმის გავლენა ლექსიკურ, სინტაქსურ და ფონოლოგიურ ცნობიერებაზე და ინტერფერენციის მოვლენა, როგორც ენობრივი კონტაქტების შედეგი;

მეორე თავში წარმოდგელია „მშობლიური და მეორე ენის ფლობის საკითხები უმცროს სასკოლო ასაკში“, ლინგვისტიკის, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის როლი მეორე ენის ათვისების პროცესში და ორი ენის ფლობის თეორია;

მესამე თავში „ბილინგვალ ბავშვთა მეტყველების თავისებურებების კვლევა ნარატივის მეთოდის გამოყენებით“ განხილულია ნარატივის რაობა და მისი მნიშვნელობა. ეს თავი ეძღვნება კვლევის შედეგებს, კერძოდ: *ქართველ-ბერძენ ბილინგვალ უმცროსკლასელთა (I-V კლ.)* ნარატივებში გამოვლენილი ენობრივი ინტერფერენციის მოვლენის შესწავლით მიღებული კვლევის შედეგების ანალიზს; კვლევა მოიცავს *ქართველ და ბერძენ მონობილინგვალ იმავე ასაკის ბავშვთა ნარატივების შედარებით ანალიზსაც*. ამასთან, ჩატარებული კვლევის საფუძველზე სიღრმისეულადაა გაანალიზებული კვლევაში მონაწილე ცდის პირთა მიერ დაშვებული სხვადასხვა ტიპის ლექსიკური თუ გრამატიკული შეცდომები.

*კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა:* კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია: უმაღლეს სასწავლებლებში ფსიქოლინგვისტიკის სალექციო კურსების სწავლებისას. ასევე, ბილინგვალ მოსწავლეების აკადემიური წარმატების მისაღწევად ქვეყანაში ბილინგვური პროგრამების შემუშავებისთვის; კვლევის შედეგებს მნიშვნელოვანი თეორიული თუ პრაქტიკული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქართული და ახალბერძნული ენების გრამატიკების შედარებების შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ბილინგვიზმი, ინტერფერენცია, ორენოვან უმცროსკლასელთა ნარატივები.

Teona Beridze

**"The phenomenon of interference in the narratives  
of Georgian-Greek bilingual juniors"**

**(age range: 6-10 years)**

**Abstract**

Linguistic diversity is an integral part of our lives. Today, almost half of the world is bilingual or multilingual. Consequently, bilingualism / multilingualism is a subject of constant discussion and study.

*Relevance of the topic, research novelty and innovation:* In the paper, we tried to study interference as a side effect of bilingualism and discussed various factors related to the process of second language acquisition. Georgian-Greek early bilingualism has not been practically studied until today. In the form of the present paper, the first attempt of a study presented in the psycholinguistic context of the mentioned issue determines its scientific novelty in this field.

*Research goals and objectives, research methodology:* The aim of the paper was to conduct a narrative study with Georgian-Greek bilingual juniors, to study the cases of interference identified in their speech and to determine the role of bilingualism in improving the intercultural competence of students.

*The structure of the scientific paper:* The first part of the present thesis presents an overview of theoretical material based on research on the issues to be studied and scientific literature published at different times. The second part is built on rich empirical material. In particular, on the analysis and results of the study the author has conducted her thesis at the National and Kapodistrian University of Athens (Greece) and in the Black Sea coast of Adjara (Georgia).

The thesis consists of an introduction, three chapters, main conclusions and references.

*The introduction* discusses the subject, object, purpose and objectives of the research, topicality and scientific novelty, methodology, scientific literature, theoretical and practical significance;

*The first chapter* of the paper concerns bilingualism. It discusses bilingualism as a multifaceted and multicomponent phenomenon, metalinguistic awareness, the impact of bilingualism on lexical (word), syntactic, and phonological awareness, and the phenomenon of interference as a result of linguistic contacts;

*The second chapter* presents "Issues of native (mother tongue) and second language proficiency in junior school age", the role of linguistics, psychology and sociology in the process of second language acquisition and the theory of two language possession;

*In the third chapter* "Study of speech characteristics of bilingual children using the narrative method", are discussed the nature of the narrative and its meaning. This chapter is dedicated to the results of the study, in particular: the analysis of the research results obtained by studying the phenomenon of linguistic interference identified in the narratives of *Georgian-Greek bilingual juniors (I-V grades)*; At the same time, based on the conducted research, various types of lexical or grammatical errors made by the test participants in the study have been in-depth analyzed.

*Scientific value and practical significance of the research results:* The results of the research can be used: to teach psycholinguistics lecture courses in higher education institutions; As well as for the development of bilingual programs in the country for the academic success of bilingual students; The results of the research should have significant theoretical or practical significance for researchers interested in studying comparative grammars of Georgian and Modern Greek languages.

***Keywords:*** bilingualism, interference, bilingual juniors' narratives.



## შესავალი

**0.1. საკითხის ზოგადი მიმოხილვა და შესწავლის მდგომარეობა:** XXI საუკუნეში ბილინგვიზმი რეალობაა და ჩვენ ამ რეალობის ნაწილს წარმოვადგენთ. მსოფლიოს მოსახლეობის ნახევრიდან 2/3-მდე ისედაც ბილინგვალაია (ბეიკერი, 2010: 10). დღეისათვის ბილინგვიზმი მეტ-ნაკლებად შესწავლილი მოვლენაა, თუმცა იგი მუდმივად განხილვის და დისკუსიის საგანს წარმოადგენს. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში უამრავი კვლევაა ჩატარებული, რომელთა შედეგებიც არა თუ ბილინგვიზმის ნაკლოვანებაზე მიუთითებს, არამედ მთელ რიგ საკითხებში მის უპირატესობას ამტკიცებს.

ნაშრომში შევეცადეთ შეგვესწავლა ინტერფერენცია, როგორც ორენოვნების თანმდევი მოვლენა და განგვიხილა ბილინგვიზმის დროს ენის ათვისების პროცესთან დაკავშირებული ფსიქოლინგვისტური ფაქტორები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ბავშვისა და მოზარდის ენობრივი განვითარებისას, ისევე, როგორც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესში მშობლების ხასიათს და საცხოვრებელ გარემოს. ორი ენის პარალელურ რეჟიმში ათვისების ოროცესში ყოველთვის ჩნდება კითხვა, თუ როგორ პოულობს ადგილს ადამიანის თავში ეს ორი ენა. „ამ შემთხვევაში მეხსიერება არის ბილინგვური, ვინაიდან ენა და მეხსიერება მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ადამიანის შემეცნებით არქიტექტურაში. ენის ათვისება დამოკიდებულია მეხსიერების წარმატებულ კოდირებასა და მოძიებაზე; ამავდროულად, ენა თავად არის, როგორც ინსტრუმენტული მექანიზმი ცოდნის კოდირებისთვის და შესანახად. ორენოვანი ადამიანებისთვის, მათ ტვინში განთავსებული ორი ენის ფუნქციურად განსხვავებულობის შენარჩუნების აუცილებლობა გავლენას ახდენს მათ მეხსიერებაზე. რასაც მივყავართ დასკვნამდე, რომ ბილინგვიზმი ცვლის ადამიანის შემეცნებით არქიტექტურას და გავლენას ახდენს ენისა და მეხსიერების სტრუქტურაზე, მის წვდომასა და დამუშავებაზე” (ბარტოლოტი & მარიანი, 2012).

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ენას საზოგადოების ფორმირებისა და განვითარებისათვის. ენა ერის კულტურის პროდუქტიცაა და მისი შემდგომი განვითარების საფუძველიც (სტიმულიც)

(ჯორბენაძე, 1997: 4). ენა არის აზროვნების მიკრო მოდელი. როგორც ვაზროვნებთ ისე ვმეტყველებთ. ენა ბევრ ინფორმაციას იძლევა ამა თუ იმ ერის კულტურის, ცნობიერების, მენტალობის, ბევრი საკითხისადმი მიდგომის შესახებ. სოსიური კი დასძენს: „ლინგვისტიკის ერთადერთ ჭეშმარიტ ობიექტს წარმოადგენს ენა, განხილვადი თავის თავში და თავისთვის” (სოსიური, 1977: 268) (ქურდიანი, 2008: 226).

ცნობილია, რომ ადამიანი რომელ ენაზეც აზროვნებს, იმ ერის წარმომადგენლად მიიჩნევა თავს, ამიტომ ენა ეროვნული იდენტობის ქვაკუთხედი. ინტუიციურად საკმაოდ ადვილად ვგრძნობთ, რომ ენა ეროვნული, ნაციონალური თვითშეგნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და საფუძველია. ამ მხრივ საკმარისია გავხსენოთ ილია ჭავჭავაძის მიერ შემოთავაზებული ცნობილი ფორმულა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება” („ცისკარი“, 1861), რომელსაც საუკუნო დევიზის მნიშვნელობა მიენიჭა და, რომელიც სწორედ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების საფუძველად იყო დასახული XIX საუკუნის 60-იან წლებში (ლადარია, 2002: 109).

ხშირ შემთხვევაში ბავშვები ადრეულ ასაკშივე ფლობენ ორ ან რამდენიმე ენას; ძირითადად იმიტომ, რომ მათ გარემოცვაში ლაპარაკობენ ამ ენებზე. დასავლეთში, XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, მსგავსი თავისებურება ბავშვებისათვის მძიმე ტვირთს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე მოვლენათა სასურველ დამთხვევას. XIX საუკუნის ბოლოს ერთ-ერთი ცნობილი ინგლისელი პროფესორი ამტკიცებდა: „ბავშვს რომ ჰქონოდა საშუალება ერთნაირად სცოდნოდა ორი ენა, ეს იქნებოდა მეტად ცუდი რამ, ვინაიდან ასეთი ბავშვის ინტელექტუალური და სულიერი განვითარება წარიმართებოდა არა თუ ორჯერ სწრაფად, არამედ ორჯერ უფრო ნელა. აღნიშნულ გარემოებებში გონებრივი განვითარების ფორმირება და ხასიათის ჩამოყალიბება საკმაოდ შეფერხდებოდა” (რიაგენი & ლიუდი, 2008: 5). ამასთანავე, ეროვნული პოლიტიკის წამყვანი იდეოლოგია მიიჩნევდა, რომ ეროვნული საზღვრები ბუნებრივად ემთხვევა მონოლინგვურ ენობრივ ტერიტორიებს: ორი ეროვნების მატარებლობა კი ეჭვს იწვევდა. ბილინგვალები ითვლებოდნენ პოტენციურ მოღალატეებად. სინამდვილეში, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ორ ან

მეტ კულტურას მიეკუთვნებოდა, არ უნდა ყოფილიყო სანდო, ვინაიდან ამოსავლად მიჩნეული იყო ის, რომ ადამიანი უნდა ყოფილიყო ერთენოვანი, მრავალენოვნება კი ითვლებოდა ღვთის რისხვად, რომელიც კაცობრიობას სდევს ბაბილონის გოდოლის დროიდან (რიაგენი & ლიუდი, 2008: 5-6).

საბედნიეროდ, მსგავსი სტერეოტიპები ჩვენს დროში მოძველებულად ითვლება. დღეს ბილინგვიზმი (როგორც მრავალენოვნების კერძო შემთხვევა) ფუნქციონალურად განისაზღვრება, როგორც კომუნიკაციის დამყარების უნარი ორ ენაზე კომპეტენციის დონის, ენის დაუფლების ხერხის, ასაკისა და ენებს შორის იმ ფსიქოლინგვისტური კავშირების მიუხედავად, რომლებიც შედის მოლაპარაკის რეპერტუარში. ამის გათვალისწინებით, ადამიანთა უმრავლესობას დღესდღეობით შეიძლება ორენოვნები ვუწოდოთ. ბილინგვური კომპეტენცია, თუნდაც ასიმეტრიული, უმეტეს შემთხვევაში განიხილება, როგორც ადამიანის დადებითი და არა უარყოფითი თვისება (რიაგენი & ლიუდი, 2008: 5-6).

ბუნებრივია, საზოგადოებაში ჩნდება კითხვები: რას ნიშნავს ადრეული ორენოვნება, როდის იჩენს თავს ინტერფერენცია, რომელიც ხასიათდება უარყოფითი გავლენით ერთი ენიდან მეორეზე? რას გულისხმობს ცნება „მეორე ენა“, რით განსხვავდება მეორე ენის შესწავლა მშობლიური (პირველი) ენის შესწავლისაგან, მისი ათვისების რა ფორმები არსებობს და ა.შ. ეს არის ნაწილი იმ ძირითადი კითხვებისა, რომლებიც ძალიან არსებითი და, ამავდროულად, აქტუალურია.

ბილინგვიზმი კომპლექსური ხასიათის მრავალფეროვანი მოვლენაა, რომლის თანმდევი პროცესია **ინტერფერენცია**. ამ პრობლემის ირგვლივ არსებული საკითხები მკვლევართა შორის დღემდე იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. საკმაოდ ხშირია პროფესიონალების, მასწავლებლებისა და ფსიქოლოგების მხრიდან რეკომენდაციები ბილინგვიზმის პოზიტიურ თუ ნეგატიურ შედეგებთან დაკავშირებითაც. სწორედ ბილინგვიზმმა და მისმა კომპლექსურმა ხასიათმა განაპირობა წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი საკითხის შეწავლით დაინტერესება და კვლევის მოტივაციის განსაზღვრაც.

რაც შეეხება **საკითხის შესწავლის მდგომარეობას**: საბერძნეთში საქართველოს მოქალაქეთა მიგრაციის პროცესი უკვე ათწლეულებს ითვლის. მიუხედავად ამისა,

სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ქართველების საბერძნეთში გადასახლების, უცხო მიწაზე მათი ყოფა-ცხოვრების ისტორიული საკითხების ამსახველი სამეცნიერო ნაშრომები. ზოგადად, შრომები ქართველთა მიგრაციის ისტორიულ თუ ეკონომიკურ საკითხებზე უამრავი დაწერილა და არაერთი მეცნიერ-მუშაკის საკვლევითი თემა გამხდარა, მაგრამ საბერძნეთის მიგრაციის ტალღაზე დღემდე მეცნიერულ დონეზე, ფაქტობრივად, არაფერი გაგვაჩნია. არსებობს მხოლოდ სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით ქართველთა მიგრაციისა, სადაც პირველ სამეულში, მეორე ადგილით უკვე წლებია ლიდერობს საბერძნეთი (პირველი ადგილი უჭირავს რუსეთის ფედერაციას 450 ათასამდე ქართველით). „პიუს კვლევითი ცენტრის“ (Pew Research Center) ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული 2017 წლის მონაცემებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საქართველოდან წასული 840 000 ქართველი იმიგრანტი ცხოვრობდა, სადაც წარმოდგენილი ინტერაქტიური რუკა, რომელიც მასალას ახლავს, გვიჩვენებს, რომ მათგან 80 000 მიგრანტი საბერძნეთში იმყოფება (<https://www.pewforum.org/2017/05/10/religious-belief-and-national-belonging-in-central-and-eastern-europe/>)<sup>1</sup>.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბერძნეთი მეორე ქვეყანაა, სადაც ყველაზე მეტი ქართველი მიგრანტი ცხოვრობს. მათი დიდი ნაწილი მიმდებ ქვეყანაში არალეგალურად იმყოფება. არსებობს საბერძნეთში ქართველთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი ინტერვიუები, რომლებიც სხვადასხვა დროსაა ჩაწერილი, ერთ-ერთი ბოლო პერიოდის მცდელობა 2020 წლის 17 აპრილით თარიღდება. აღნიშნული პროექტი განხორციელდა მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) თანამშრომლობით ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENIGMMA 2 (მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში) პროექტის ფარგლებში და თბილისის ფოტოფესტივალის მხარდაჭერით (<https://indigo.com.ge/articles/qartveli-qali-emigrantebi/>).

პონტოელ ბერძენთა (ბერძენიშვილი და სხვ., 1990: 34) საქართველოში დასახლების ისტორიის შესწავლის საკითხს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. კავკასიელი ბერძენების კულტურისა და ენის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა შორის აღსანიშნავია აკად. სიმონ

---

<sup>1</sup> წარმოდგენილი მონაცემები არ ეყრდნობა მიგრაციის ყოველწლიურ მონაცემებს თითოეული

ყაუხჩიშვილი, რომელსაც ეკუთვნის ცნობილი ნარკვევი „ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში“ (ყაუხჩიშვილი, 1942, 1946), მნიშვნელოვანია რისმაგ გორდეზიანის გამოკვლევები ბერძნული ცივილიზაციისა და ისტორიის საკითხებისადმი (გორდეზიანი, 2007; გორდეზიანი და სხვ., 2001), პ.გ. აკრიტას ნაშრომი „კავკასიის ბერძნები“ (აკრიტას, 1962), ლ. ფაშაევას (ფაშაევა, 2008) და ლ. დემუროვას (დემუროვა, 1983, 1986) ნაშრომები და კვლევები, აგრეთვე, აჭარის შავიზღვისპირეთში მცხოვრებ პონტოელთა ყოფას მიძღვნილი მ. გიორგაძისა და ნ. მგელაძის შრომები (გიორგაძე & მგელაძე, 2013) და სხვა, რომლებიც პონტოელ ბერძენთა ყოფით საკითხებსა და ტრადიციებს ეძღვნება. პონტოელთა მეტყველებაზე ანუ პონტოურ დიალექტზეც არაერთი კვლევა ჩატარებულა და ამ მხრივაც მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს სხვადასხვა ენაზე, თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულ ელინოფონ მოსახლეობას ეს შრომები ნაკლებად ითვალისწინებს. საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა ენის (პონტოური დიალექტი) მიმართ მეცნიერთა დაინტერესება ბოლო პერიოდში შეიმჩნევა (მაგ, ბერიკაშვილი, 2014, 2016, 2017). აღსანიშნავია, აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა შესახებ გამოცემული მონოგრაფია „პონტოელი ბერძნები აჭარაში - წარსული და თანამედროვეობა“ (გიორგაძე და სხვ., 2017), რომელიც მოიცავს მათ შესახებ არსებულ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, ასევე, მათი ყოფისა და ენობრივი თავისებურებების კვლევას.

აქვე წარმოვადგენთ *ქართველთა და ბერძენთა მიგრაციული პროცესების* მოკლე აღწერას. პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს დემოგრაფიული განვითარების რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენციიდან ერთ-ერთია მოსახლეობის გადინება ქვეყნიდან - ინტენსიური მიგრაცია. საქართველოდან ქართველთა მიგრაციის პროცესი დაახლოებით 25-30 წლის წინ დაიწყო: სხვადასხვა ახლო თუ შორეულ ქვეყნებს ათასობით ქართველმა მიმართა, მათ შორის იყო საბერძნეთიც. მიგრაციის დინამიკა დასაწყისშივე მაღალი ინტენსივობით გამოირჩეოდა; 1990-იან წლებში ქვეყანაში მიმდინარე მწვავე პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც მძიმე სოციალური ფონი შექმნა, ხელი შეუწყო ინტენსიურ შრომით მიგრაციას. პოსტსაბჭოთა პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დემოგრაფიული

ტენდენცია - მოსახლეობის აბსოლუტური კლება - სწორედ მიგრაციული პროცესების „დამსახურებაა“. ექსპერტების დასკვნით, ეს პროცესი საქართველოში დღემდე, თან მასშტაბურად მიმდინარეობს (წულაძე და სხვ., 2011: 17). საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ოჯახების გადასარჩენად თუ პოლიტიკური თავშესაფრის საძიებლად ჩვენმა თანამემამულეებმა საბერძნეთის სხვადასხვა დიდ ქალაქებსა თუ კუნძულებს მიაშურეს. დროთა განმავლობაში, მათ უმრავლესობას რაც უცხო მიწაზე ფეხს მოიკიდებენ, შვილებიც მიჰყავთ „მეორე, შეძენილ სამშობლოში“ უკეთესი მომავლის შექმნის იმედით.

რაც შეეხება ბერძენთა მიგრაციულ პროცესებს, უხსოვარი დროიდან მოყოლებული, ბერძენთა გარკვეული ნაწილი დასახლებული იყო ახლანდელი თურქეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შავიზღვისპირა რაიონში, რომელიც პონტოს სამეფოდ იწოდებოდა. სახელწოდება „პონტოელიც“ სწორედ აქედან მომდინარეობს, რომელიც უკავშირდება ბერძნულ სიტყვას „πόντος“ („ზღვა“) (გიორგაძე და სხვ., 2017: 11).

ბერძენთა მიგრაცია საქართველოში, რომელიც რთული და, ამავდროულად, მრავალჯერადი პროცესი იყო, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზნითა თუ მიმართულებით წარიმართა. სამეცნიერო ლიტერატურა გვაწვდის ცნობებს იმის შესახებ, რომ ანატოლიელი ბერძნები საქართველოს შავიზღვისპირეთში მე-16 საუკუნეში დასახლდნენ, რაც ოსმალების მიერ ბიზანტიის დაპყრობის შედეგი იყო და რისი მიზეზიც არამართო სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორი, არამედ რელიგიურიც გახლდათ, რაც განპირობებული იყო ოსმალეთის მხრიდან არაერთი მცდელობისა არათურქი მოსახლეობის გამუსლიმანებისა (ბერძენიშვილი და სხვ., 1990: 41). მიუხედავად დროის სხვადასხვა მონაკვეთში ბერძენთა ეტაპობრივად გადმოსახლების ხანგრძლივი პროცესისა, არაერთი წერილობითი წყაროს მიხედვით, მათი მასობრივი გადმოსახლების თარიღად მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებია მიჩნეული, როდესაც ოსმალეთის ტრაპეზუნდის ვილაეთიდან ბერძენთა შვიდი სოფელი აიყარა და სხვადასხვა მიმართულებით დაიძრა. მათი ნაწილი საბერძნეთს დაუბრუნდა, ნაწილმა საქართველოს მიაშურა და ძირითადად საქართველოს შავიზღვისპირეთში განსახლდა (გიორგაძე და სხვ., 2017 :19). ბერძენთა მოდინების

პროცესი აქ არ დასრულებულა, ის პერიოდულად მიმდინარეობდა და ასე იქმნებოდა ბერძენთა დასახლებები აჭარაში, რასაც მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის აჭარაში ბერძენთა რაოდენობა საგრძნობლად გაუზრდია. სოფლებში განსახლებულ ბერძნულ ოჯახებთან ერთად ქართული ოჯახებიც ცხოვრობდნენ და ასე იქმნებოდა დასახლებები ნარევი ეთნიკური ჯგუფებისგან. დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნულ დასახლებებსა თუ სოფლებში ბერძენთა მხოლოდ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს და ძირითადად ხანდაზმულები, მათი შთამომავლობა, ახალი თაობა ნელ-ნელა უბრუნდება თავის ისტორიულ სამშობლოს - საბერძნეთს, რამაც თანდათან საგრძნობლად შეამცირა ბერძენთა რაოდენობა საქართველოში. უკუმიგრაციის ეს პროცესი დაახლოებით 10-15 წლის წინ დაიწყო.

ქართველთა და, თავის დროზე, ბერძენთა მიგრაციულ პროცესებს შორის შეინიშნება დიდი სხვაობა. მიუხედავად ორივე მხრიდან მიგრაციული პროცესების გამომწვევი უმთავრესი მიზეზის - ეკონომიკური კრიზისისა - მათი უცხო მიწაზე გადასახლების ფორმა სხვადასხვაგვარია. ბერძნების დიდი ნაწილი ოჯახებით გადმოსახლდა და დასახლდა ძირითადად შავიზღვისპირეთის მიტოვებულ სოფლებში და მეურნეობას მიჰყვეს ხელი, სხვადასხვა ხელობას ეუფლებოდნენ ან უკვე არსებული ცოდნით დასაქმებისა და ოჯახების რჩენისთვის შესაფერის „კალაპოტს“ ეძებდნენ, პოულობდნენ, სწავლობდნენ, და ასწავლიდნენ, აშენებდნენ, მოახდინეს ინტეგრაცია და თავადაც ინტეგრირდნენ. ქართველთა მიგრაციის პროცესში კი ქალთა სიმრავლეს ვაწყდებით და ისინი სამწუხაროდ, ძირითადად მომვლელებად და მოსამსახურეებად იწყებენ ბერძნულ ოჯახებში მუშაობას, იშვიათად ვაწყდებით პროფესიით დასაქმებულ მიგრანტებს, მით უფრო საწყის ეტაპზე. ემიგრაციაში გადახვეწილი ქართველთა უმრავლესობა პროფესიული უნარ-ჩვევებისა თუ სამშობლოში მიღებული განათლების რეალიზებას უმეტესად ენის ბარიერის გამო ვერ ახერხებს. მათი უმრავლესობისთვის მეორე ენა იმ დროინდელ საქართველოში რუსული იყო. ინგლისურის და მით უფრო, ახალი ბერძნულის არცოდნა კი ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება. ქართული დასახლებების შესახებაც არაფერს გვიამბობს ელადის მიწაზე თითქმის ოცდაათწლიანი ქართველთა მიგრაციის გრძელი, რთული და დაუსრულებელი გზა...

**0.2. კვლევის საგანი და ობიექტი:** ჩვენი ნაშრომი საბერძნეთში მცხოვრებ ქართველ-ბერძენ ბილინგვალ უმცროსკლასელთა მეტყველების თავისებურებების კვლევაზეა ფოკუსირებული, რომელთა შედარებაც მოვახდინეთ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა<sup>2</sup> (ბერძენიშვილი და სხვ., 1990: 34) ოჯახების იმავე ასაკის მოზარდთა მეტყველებასთან, თუმცა, ამ ორი ჯგუფის ნარატორთა რაოდენობა არ არის თანაბარი: მეორე ანუ პონტოელ ბერძენ-ქართველთა ჯგუფში შემავალ ცდისპირთა რაოდენობრივი სიმცირე როგორც ზემოთ აღინიშნა, განპირობებულია დაახლოებით ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოდან პონტოელი ბერძენების თავიანთ ისტორიულ სამშობლოში გადინების მიზეზით. თავის მხრივ, კვლევის საგანი გახლავთ ქართველ-ბერძენ უმცროსკლასელთა სხვადასხვა დროს მონაყოლი ნარატივების (ქართული<sup>3</sup> და ახალბერძნული)<sup>4</sup> შედარებაც. ასევე, მათთან შესადარებლად დაგვჭირდა ბერძენი მონოლინგვალების ნარატივებიც, რომელთა შედარებაც მოხდა ქართველ მონოლინგვალ მოზარდთა მეტყველებასთანაც (ემპირიულ მასალად გამოყენებულია პროფ. ნათელა იმედაძის კვლევა).

შესწავლის ობიექტი საბერძნეთის დედაქალაქ ათენის (ბერძ. *Αθήνα*) (ატიკის რეგიონი) ცენტრალურ უბნებში მცხოვრებ ქართველ-ბერძენ უმცროსკლასელთა და, თავის მხრივ, აჭარის გეოგრაფიულ არეალში განსახლებულ პონტოელ ბერძენ იმავე ასაკის მოზარდთა ენაა. ჩვენი საკვლევო ობიექტი **ინტერფერენციის მოვლენაა**, ხოლო სოციუმი, როგორც კვლევის ობიექტი, საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ის არის

---

<sup>2</sup> ჩვენს ნაშრომში აღვნიშნავთ, რომ თურქეთის შემადგენლობაში შემავალ პონტოს რეგიონიდან წამოსულ ბერძენებს ეწოდათ პონტოელი ბერძენები, ხოლო მათ დიალექტს – პონტოური. აგრეთვე, „*პონტოურს*“ ვუწოდებთ აჭარაში დამკვიდრებული ისტორიული პონტოს რეგიონის ბერძენთა შთამომავლების მეტყველებას, ხოლო ზოგადად *პონტოურ დიალექტზე* საუბრისას ნაშრომში მოვიხსენიებთ საკუთრივ პონტოური დიალექტის სახელით (აბულაძე, 2018: 26);

<sup>3</sup> ნაშრომში *ქართული* მოხსენიებულია *ახალი ქართულის* მნიშვნელობით, მას ვანაცვლებთ *თანამედროვე ქართული*-თაც;

<sup>4</sup> *ახალბერძნულის* / *ახალ ბერძნულის* პარალელურად, ნაშრომში გამოვიყენებთ აგრეთვე ტერმინს – *თანამედროვე ბერძნული*.

*შენიშვნა: ბერძნული ენა* (ბერძ. *Ελληνικά*) - ბერძენებისა და კვიპროსელების მშობლიური ენა, მიეკუთვნება ინდოევროპული ოჯახის ბერძნულ შტოს და დოკუმენტური არსებობის 3.500 წელს ითვლის. ძირითადად გავრცელებულია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მიმდებარე კუნძულებზე და ასევე ნაწილობრივ ბულგარეთში, ალბანეთსა და თურქეთში. *ახალი ბერძნული* - ცნობილია XV-XVI საუკუნეებიდან (ყაუხჩიშვილი, 1934).



ენობრივი თავისებურებების გამოვლენის უმთავრესი მექანიზმი. ორი სხვადასხვა ენის (ერთი მხრივ - ქართულის ახალბერძნულთან და, მეორე მხრივ, ახალბერძნულის ქართულთან მიმართებით) ურთიერთგავლენის უწყვეტ პროცესში კი, ვფიქრობთ, საინტერესოა ინტერფერენციის მოვლენა უმცროსკლასელებს ცდისპირთა ნარატივებში.

მნიშვნელოვნად გვესახება მოზარდთა მეტყველებაში დაშვებული შეცდომების კვლევა წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით, ამასთანავე, ფსიქოლოგიური ფაქტორების დადგენა და გამოვლენილი გრამატიკული შეცდომების ანალიზი. აგრეთვე, მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც, როგორ და რა საშუალებებით განიცდის ენა ტრანსფორმაციას უცხო ენობრივ გარემოში მოხვედრისას, როგორ აისახება ეს ლექსიკურ მარაგსა და როგორ ხდება მათი ისე გათავისება, რომ მშობლიური ენა მეორე ენამ ჩაანაცვლოს; რიგ შემთხვევებში, ერთი ეროვნების შვილები მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შესაფერის გარემოში მოხვედრით ბილინგვალეზად იქცნენ, და ასე გახდნენ მეორე ენის, კულტურის თუ სხვა იდენტობის განუყოფელი ნაწილი.

**0.3. კვლევის მიზანი:** წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, შევისწავლოთ საბერძნეთში მცხოვრებ ქართველ მოზარდთა მეტყველებაში გამოვლენილი ინტერფერენციის შემთხვევები, რომლებიც გამოვლინდა მათ ნარატივებში და აჭარის რეგიონში მცხოვრებ უმცროსკლასელთა ანალოგიური შემთხვევები; ამასთან, ნაშრომის ერთ-ერთ მიზანად განვსაზღვრეთ ბილინგვალეზის ნარატივებთან ბერძენი მონოლინგვალეზის ტექსტების შედარებითი ანალიზიც, რისთვისაც დაგვჭირდა *ბერძენ მონოლინგვალ ბავშვთა ნარატივებიც*; აღნიშნული მასალის გამოყენებით კი მოვახდინეთ მათი *ქართველ მონოლინგვალ* მოზარდთა *ნარატივებთან შედარებაც*.

ნაშრომის ერთ-ერთ მიზანია ასევე, ენის ათვისების პროცესთან დაკავშირებული ფაქტორების (ძირითადად, ფსიქოლინგვისტური და სოციალური) შესწავლა, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ბავშვისა და მოზარდის ენობრივი განვითარების პროცესში და გავლენას ახდენენ აკადემიურ წარმატებაზე.

აღსანიშნავია, რომ ქართველთა მიგრაცია საბერძნეთში და ბერძენთა მიგრაცია საქართველოში - ეს ორმხრივი შეუქცევადი პროცესი მრავალმხრივ გავლენას ახდენს და კვალს ტოვებს ეთნიკური, ისტორიული, სოციოკულტურული, ფსიქოლოგიური თუ ლინგვისტური თვალსაზრისით ორივე ქვეყნის ისტორიაში.

დასახული მიზნის განხორციელებას - საბერძნეთში მცხოვრებ ქართველ ორენოვან უმცროსკლასელთა მეტყველებაში დაშვებულ ენობრივ შეცდომათა დადგენასა და შესწავლას - მათგან ნარატივების სახით უნიკალური ემპირიული მასალის მოპოვებით შევეცადეთ. საკვლევი მასალის თითოეული ლექსიკური, გრამატიკული ფორმა თუ კონსტრუქცია მეტად ყურადსაღები და გულდასმით შესწავლის საგანია ჩვენთვის. მნიშვნელოვანია თითოეული ენის მატარებლის მიერ განვლილი გზისა და უცხო გარემოში მოხვედრით გამოწვეული ცვლილებების შესწავლა და ანალიზი.

ნაშრომის ზემოხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, დავსახეთ შემდეგი საკვლევი ამოცანები:

1. ორ ენაზე ბავშვის მეტყველების განვითარების კვლევა უმცროს სასკოლო ასაკში, როგორც ინტერკულტურული კომპეტენციის ჩამოყალიბების პირობა და ბილინგვიზმის ურთიერთმიმართება აკადემიური წარმატების მიღწევაში;
2. ენობრივი ინტერფერენცია ორენოვან უმცროსკლასელთა ნარატივებში, ბილინგვიზმის როლი და ფსიქოლოგიური ფაქტორების დადგენა მეორე ენის ათვისების პროცესში (აღნიშნული სამიზნე ჯგუფის მაგალითზე);
3. ქართველ-ბერძენ ბილინგვალ და ბერძენ მონოლინგვალ ცდისპირთა ნარატივების შედარებითი ანალიზი; და ბერძენ / ქართველ ერთენოვან უმცროსკლასელთა ნარატივების შედარება.

**0.4. თემის აქტუალურობა და სიახლე:** საკვლევი თემის აქტუალურობა მდგომარეობს შემდეგში: მასში ყურადღება გამახვილებულია ფსიქოლინგვისტური

ფაქტორების ზეგავლენაზე მეორე ენის ათვისება-შესწავლისას. იგი მიზნად ისახავს ბილინგვალ და მონოლინგვალ უმცროსკლასელებთან ნარატივის (თხრობა) მეთოდით ჩატარებულ კვლევას და ბილინგვზმის როლის განსაზღვრას მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციის ამაღლებაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიგრაციისთვის დამახასიათებელი პროცესია კულტურათა შერევა, ურთიერთგაცვლა და შერწყმა-შეზავება, რაც, უპირველესად, ენაში აისახება. ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მუდმივად განიცდის ცვლილებებს - მასში თავს იმკვიდრებს ახალი ფორმები და პირიქით, იკარგება რაღაც ნაწილი - ეს გარდაუვალი პროცესია! უმთავრესი კი ის არის, რომ მისი თავდაპირველი სახის მაქსიმალურად შენარჩუნება მოხდეს. ყველა ზემოჩამოთვლილი საკითხის შესწავლა საკვლევი თემის აქტუალურობას განსაზღვრავს და რიგ შემთხვევაში განაპირობებს კიდევ.

იმ სამყაროში, სადაც ჩვენ გვიწევს ცხოვრება გლობალიზაციის შეუქცევად პირობებში, მიგრაციის უწყვეტ ნაკადში, ვფიქრობთ, რომ ძალზედ აქტუალურია აღნიშნული პრობლემის შესწავლა, ვინაიდან ყოველდღიურ ცხოვრებაში ლექსიკურ ერთეულთა გარკვეული ნაწილი სახეს იცვლის, დროთა განმავლობაში კი მათ სახეცვლილი ფორმით ვაწყდებით ან საერთოდ იკარგება.

ნაშრომში საკვლევ მასალად გამოყენებული გვაქვს ცოცხალი მეტყველების ნიმუშები, რომლებიც ნარატივის მეთოდის გამოყენებით შეგროვებული ემპირიული მასალაა. კვლევის ანალიზი აუდიომასალის სახით მოპოვებულ ტექსტებზე დაყრდნობით ვაწარმოეთ და ბილინგვალ ცდისპირთა მონათხრობებიდან ამოკრებილი, მათ მიერ დაშვებული გრამატიკული, ლექსიკური თუ სხვა სახის (მაგ., კოდების გადართვა) შეცდომები შესწავლილი და გაანალიზებული გვაქვს ქართულ და ახალბერძნულ ენებთან პარალელის გავლებით; შედარებული გვაქვს როგორც ქართველ-ბერძენ ორენოვან და ბერძენ ერთენოვან უმცროსკლასელთა ტექსტები, ასევე, ბერძენი და ქართველი მონოლინგვალელების ნარატივებიც. ყოველივე ზემოაღნიშნული კი მიგვაჩნია, რომ ლინგვისტიკისთვის მნიშვნელოვნად საინტერესო სურათს ქმნის, ვინაიდან, აღნიშნული სამეცნიერო დარგისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის, თუ რამდენად არის დაშორებული

უცხოეთში (ამ შემთხვევაში, საბერძნეთში) მცხოვრებ ქართველ ორენოვან მოზარდთა მეტყველება ქართულ ენას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, სამწუხაროდ, ქართულ სამეცნიერო სივრცეში ძალზე მწირია ბილინგვიზმის პრობლემებისადმი მიძღვნილი შრომების რიცხვი და ამ საკითხის ირგვლივ ჩატარებულ კვლევათა რაოდენობა. ამ მცირეოდენ ჩამონათვალს მიეკუთვნება ნ. იმედაძის, შ. ტაბატაძის, მ. წერეთლის, მ. რუსიეშვილის, ნ. გორგაძის, კ. გაბუნიას, ე. ჯაჯანიძის, ი. ბაღაურის ერთეული ნაშრომები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფრიად საინტერესო იქნებოდა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე ქართულის ზეგავლენით და პირუკუ გამოწვეული ენობრივი ცვლილებების შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევების არსებობა, რის იმედსაც სამომავლოდ დავიტოვებთ.

შესაბამისად, ქართულ-ბერძნული ბილინგვიზმიც, პრაქტიკულად, დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი. წარმოდგენილი ნაშრომი კი ქართულ-ბერძნული და ბერძნულ-ქართული ადრეული ბილინგვიზმის წმინდა ფსიქოლინგვისტურ ჭრილში წარმოდგენილი მონოგრაფიული შესწავლის, ფაქტობრივად, პირველი მოკრძალებული ცდაა, რითაც განპირობებულია ამ დარგში მისი მეცნიერული სიახლე...

**0.5. კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომები:** ჩვენს საკვალიფიკაციო ნაშრომში დასახული საკვლევი ამოცანების განხორციელების მიზნით, კვლევა ჩავატარეთ საბერძნეთის დედაქალაქ ათენში მცხოვრებ ქართულ და შერეულ, კერძოდ, ბერძნულ-ქართულ ოჯახებში.

ნაშრომის მიზნების საფუძველზე შედგენილი საკვლევი ამოცანებისთვის პასუხების გაცემა ეფუძნება კვლევის მეთოდოლოგიას, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ა) ნარატივზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენება (ორჯერ, ერთკვირიანი ანდა ათდღიანი შუალედით ქართულად და ახალბერძნულად მოპოვებული ნარატივების ციფრული ფოტოაპარატით ჩაწერა) ბილინგვალ და მონოლინგვალ ერთი ასაკის (6-10 წლები) უმცროსკლასელებთან. მონოლინგვალეებში მოვიაზრებთ ბერძენ ბავშვებს, ვინაიდან მოგვეპოვება *სივრცითი და დროის მიმართებების გამოხატვაზე ერთენოვან სასკოლო ასაკის ქართველ ბავშვებზე პროფ. ნათელა*

იმედაძის მიერ 1999 წელს ჩატარებული კვლევა, რომელშიც ჩვენი კვლევის იდენტური მეთოდოლოგია იყო გამოყენებული. შედეგად კი, კვლევის ამ მიმართულებამ ორ ენაზე (ქართული და თანამედროვე ბერძნული) შედარების საშუალება მოგვცა (ზემოხსენებული, უკვე არსებულისა და ახალი მასალებით მიღებული კვლევის შედეგების); **ბ**) ბილინგვალ ნარატორთა მშობლების გამოკითხვა (პასუხების მიღება: წერილობითი ფორმით - ავტორის მიერ); **გ**) ჩვენი ძირითადი მიზანი იყო, დაგვედგინა და შემდგომ გაგვეანალიზებინა, რა სპეციფიკურ შეცდომებს დაუშვებდა თითოეული ბილინგვალი, სახელდობრ: თანამედროვე ბერძნულის ზეგავლენით, ქართულ ენაში რა სპეციფიკური შეცდომები შეიძლება გამოვლენილიყო და პირუკუ: რა შეცდომები გამოვლინდებოდა ბერძნულ მეტყველებაში ქართულის გავლენით; **დ**) შეგვემუშავებინა თითოეული ენის შეფასების (Language assessment) თანამედროვე მეთოდები.

ნარატივების სახით მოვიპოვეთ აუდიომასალა, რომლის გაციფრულებული ვარიანტები (ტექსტებად აკრეფილი) თანდართული გვაქვს ნაშრომის ბოლოს.

საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ წინამდებარე ნაშრომის კვლევისთვის შერჩეული ნარატივის მეთოდი შედეგზე ორიენტირებული ლინგვისტური თუ ფსიქოლოგიური კვლევის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, მით უფრო, როცა საქმე ეხება ენობრივ ფორმებსა და მათ სტრუქტურულ კვლევას. ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი ხომ მუდმივად ცვალებადია, რომელიც კარს უღებს ახალ სიტყვას, ფორმას, სხვადასხვა ენობრივ ერთეულსა თუ ფრაზას და განუწყვეტელი ურთიერთმონაცვლეობის მექანიზმი მუდმივად ჩართულია მასში (ენაში). საკვლევი მიზნებით ათენის კაპოდისტრიას ეროვნულ უნივერსიტეტში ორი აკადემიური სემესტრის გატარებამ, მიუხედავად კორონა ვირუსით გამოწვეული პანდემიის ხელისშემშლელი ფაქტორებისა, საშუალება მოგვცა, ბერძენი მეგობრებისა თუ ნაცნობი ქართველი ოჯახების ჩართულობით და დახმარებით, ჩვენი კვლევისთვის, სათანადო კრიტერიუმების (ძირითადად, ასაკობრივი ზღვარის) გათვალისწინებით საჭირო ნარატორები შეგვერჩია და მათგან უნიკალური საკვლევი მასალა მოგვეპოვებინა. მიღებული აუდიომასალის გაციფრულების შემდეგ შევუდევით მოპოვებული ემპირიული მასალის ფარგლებში კონკრეტული

ლექსიკური ერთეულების შესწავლასა და ამა თუ იმ ენობრივი მოვლენისა თუ გრამატიკული შეცდომის ახსნას. ცდის პირთა მიერ დაშვებული შეცდომების საფუძველზე, განვახორციელეთ მათი შესაბამისი გრამატიკული კანონზომიერების ფარგლებში მოთავსება და სისტემატიზაცია, სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით მოვახდინეთ ლექსიკური ერთეულების შესწავლა და ანალიზი. ასევე, გრამატიკული თუ წარმომავლობითი მონაცემების დადგენით, შევეცადეთ დაშვებული შეცდომების წარმოშობის სავარაუდო მიზეზების განსაზღვრას. ანალიზის მეთოდზე დაყრდნობით მოვახდინეთ მოპოვებული ემპირიული მასალის სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია. მის კვალდაკვალ, მივმართეთ შედარების მეთოდსაც, რომელიც ისეთი საკითხის სიღრმისეულ შესწავლას ითვალისწინებს, როგორცაა კონკრეტული მოვლენების / შეცდომების მსგავსება-განსხვავებები ბილინგვური სოციუმის პირობებში და, ზოგადად, ორენოვან ბავშვებში. მასალის შესწავლისა და ანალიზის ზემოხსენებულმა მეთოდებმა შესაძლებლობა მოგვცა ცდის პირთა მეტყველებაში კუთხური მეტყველების გავლენით დაშვებული შეცდომები განგვეცალკევებინა და გვეპოვა მათ შორის არსებული კავშირები; ასევე, გამოგვეჩია ბილინგვალეების მიერ ანალოგიებისა თუ პირდაპირი თარგმანის შემთხვევები ერთმანეთისგან.

კვლევის განსახორციელებლად შერჩეული (ნარატივის) მეთოდის გამოყენებით მიღებული ტექსტები დამუშავებული გვაქვს მეცნიერულ დონეზე შესაბამისი თანამედროვე მეთოდების გამოყენებით (შედგენილია სათანადო ცხრილები); კვლევის შედეგები კი წარმოდგენილია ძირითადი დასკვნების სახით.

**0.6. ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:** საბერძნეთში ქართული ეკონომიკური მიგრანტების ნაწილი, განსაკუთრებით კი, ახალი თაობა ქართულ ენას საგრძნობლად არის დაშორებული; სამწუხაროდ, ეს ჩვენი კვლევის მაგალითზეც ნათლად ჩანს, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ იქ მყოფი უმცროსი თაობის წარმომადგენლებისთვის დომინანტი ენა ახალბერძნულია. იგივე დაგვიდასტურეს ჩვენი ცდის პირთა მშობლებმაც აღნიშნული საკითხის ირგვლივ მათთან გასაუბრების დროს. მათი უმრავლესობისთვის, რიგ შემთხვევებში, მხოლოდ მშობელთა ჩართულობით შვილებისთვის ქართული ენის ცოდნა წერა-კითხვისა და სასაუბრო დონეზე, სამწუხაროდ, სრულიად საკმარისი და მისაღები აღმოჩნდა. თუ

არ ჩავთვლით იმ ბავშვების მშობლების პოზიციას, რომელთაც ქართულის - როგორც მშობლიურის სიღრმისეულად ცოდნა აუცილებლად მიაჩნიათ და შექმნილ პირობებში, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად ცდილობენ ამ მხრივ შვილების დატვირთვას, რისთვისაც, ათენში არსებულ საგანმანათლებლო კერებისთვის მიუშურებიათ და მათი შვილები სავალდებულო ბერძნული სკოლის შემდეგ, აღნიშნულ ცენტრებში კვირაში რამდენიმესაათიანი დატვირთვით ქართულ ენაზე საბაზისო განათლებას იღებენ. ყოველივე ზემოთქმულზე დაყრდნობით და მით უფრო, ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, არცთუ ისე სახარბიელო სურათი გვაქვს: ახალი თაობა ქართულ ენას საკმაოდ დაშორებულია, მათი ლექსიკური მარაგი მწირია და მათ მეტყველებაში კუთხური დიალექტების სიჭარბე შეიმჩნევა (თუმცა, ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, არაა უცხო ქვეყანაში ცხოვრებით განპირობებული).

ჩვენი კვლევის ცდის პირები (ქართველ-ბერძენი უმცროსკლასელები) უცხო ენობრივ სოციუმში მოხვედრილი ის მომავალი თაობაა, რომელიც ეკონომიკური სიდუხჭირისა თუ სხვა მიზეზთა გამო უცხო მიწაზე იზრდება და ამ ქვეყნის სახელმწიფო ენა მისთვის დომინანტი ენა გამხდარა. ამის პარალელურად კი, დიდი კულტურისა და ისტორიის მქონე ქართულ ენას ოჯახური ურთიერთობების ფონზე თუ ქართული საკვირაო სკოლების დახმარებით ეუფლება. ვფიქრობთ, რომ მათ მეტყველებას, იმ ენობრივ ფორმებს, რომლებიც ჩვენ მიერ შეგროვებულ ნარატივებში აისახა და რომელთა შესწავლაც ჩვენი კვლევის ობიექტია, მნიშვნელოვანი თეორიული თუ პრაქტიკული ღირებულება უნდა ჰქონდეს შესაბამის სამეცნიერო სფეროში - ფსიქოლინგვისტიკაში; იგი ასევე საინტერესო უნდა იყოს სოციოლინგვისტური თუ ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისითაც; აგრეთვე მნიშვნელოვანია, იმავდროულად, აჭარის რეგიონში მცხოვრები პონტოელი ბერძნების ოჯახების უმცროსი თაობის წარმომადგენელთა ნარატივების შეწავლა, იგივე ახალბერძნული ენის (ანდა პონტოური დიალექტის ელემენტების) ჩართულობით ქართულის, როგორც დომინანტი ენის დაუფლების პირობებში; თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს ორი ჯგუფი საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან სოციუმის გათვალისწინებით. ვინაიდან, ქართველი ბილინგვალების

საბერძნეთში მიგრირებული ოჯახებისგან განსხვავებით, პონტოელი ბილინგვალების ოჯახები საუკუნეების წინ დასახლდა საქართველოში და მათი დიდი ნაწილი, მით უფრო - ახალი თაობა - თითქმის ათ წელზე მეტია, რაც ისტორიულ სამშობლოს - საბერძნეთს უბრუნდება, რაც კვლევაში მონაწილე ნარატორთა რაოდენობაზეც აისახა - პონტოელ ბილინგვალთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია ქართველ ბილინგვალთა რაოდენობასთან შედარებით.

ნიშანდობლივია ისიც, რომ თვითონ ფაქტი (თუ მიგრაციის კონკრეტული მიზეზები არა) უამრავი ქართველის საბერძნეთში გადასახლებისა ბერძნების საქართველოში დასახლების პროცესების იდენტურად შეიძლება ჩაითვალოს. ვინაიდან, როგორც საქართველო ბერძნებისთვის (რომლებმაც მრავალი ათეული წლის წინ ბედის უკუღმართობით თავიანთი სამშობლო დატოვეს, ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდნენ და აქ ჰპოვეს მეორე სამშობლო), ისე ქართველებისთვის - საბერძნეთი მეორე სამშობლოდ ქცეულა და, ბუნებრივია, ყოველივე ეს თავის კვალს ტოვებდა და ტოვებს, როგორც თავის დროზე ბერძნების, ისე უახლოესი წარსულიდან ქართველების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ენასა თუ ფსიქოლოგიურ განწყობაში, რისი კვლევაც ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას და პრაქტიკულ მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტად ზრდის.

საკვლევ მასალად ვიყენებთ „ბაყაყის მოთხრობიდან“ (Frog, where are you?) სპეციალურად შერჩეული 15 სურათის მეშვეობით შეგროვებულ ემპირიულ მასალას, რომელიც მოპოვებულია ნაშრომის ავტორის მიერ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ერასმუს+ (Erasmus+) ფარგლებში ათენის კაპოდისტრიას ეროვნულ უნივერსიტეტში (საბერძნეთი), სადაც კვლევითი მიზნების განსახორციელებლად ორი აკადემიური (2019-2020 და 2020-2021 სასწავლო წლები) სემესტრი დაჰყო. აღნიშნულ პერიოდში, კვლევის პროცესის მიმდინარეობისას, ხელი შეგვიშალა მსოფლიოში კორონა ვირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის ფონზე შექმნილმა მძიმე ვითარებამ და მისი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით მიღებულმა ზომებმა, გრძელვადიანმა მკაცრმა კარანტინმა და გადაადგილების შეზღუდვამ. ამის გამო, მასალის შევსების მიზნით, 2021 წლის ზაფხული-შემოდგომის განმავლობაში ინდივიდუალურადაც, დამატებით



ვაწარმოეთ კვლევა ქ. ათენში და შეიძლება ითქვას, პარალელურად, დაახლოებით იმავე დროის შუალედში აჭარის რეგიონშიც, კერძოდ, ზაფხულის მეორე თვეში, ათენში გამგზავრებამდე, ნაშრომის ავტორი აჭარაში კვლევითი მიზნით იმყოფებოდა, სადაც რამდენიმე ნარატივის მოპოვება შეძლო, დანარჩენი ნარატივების შეგროვება კი დისტანციურად მოხდა. ეს კვლევისთვის არც თუ ისე სახარბიელო პირობები მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორით იყო განპირობებული (პანდემია და მისგან გამოწვეული შეზღუდვები, აჭარის რეგიონში პონტოელ ბერძენთა უმცროსი თაობის მინიმალურად მცირე რაოდენობა და ა.შ.)

შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ავტორის მიერ: 1) საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ჩატარებული გრძელვადიანი კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველ-ბერძენმა ბილინგვალმა და იმავე ასაკის ბერძენმა მონოლინგვალმა უმცროსკლასელებმა, რომლებიც ათენის ცენტრალურ უბნებში მცხოვრები ოჯახების შვილები არიან; და 2) აჭარის რეგიონში, კერძოდ, ქ. ბათუმში და ქობულეთისა და ბათუმის ახლომახლო მდებარე ორ სოფელში (კვირიკე და წინსვლა) ჩატარებული მოკლევადიანი კვლევა. კვლევაში მონაწილე ცდისპირთა ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრება: 6-10 წლებით და ისინი არიან I-V კლასის მოსწავლეები; ნაშრომში გამოყენებული ემპირიული მასალის მოცულობის უმეტესი ნაწილი საბერძნეთში ჩატარებულ კვლევაზე მოდის, რისი მიზეზიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჭარის შავიზღვისპირეთში დასახლებულ პონტოელ ბერძენთა დაახლოებით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე უკუმიგრაციული პროცესებია.

კვლევის ფარგლებში, დასახული მიზნებიდან გამომდინარე, ათენის კაპოდისტრიას ეროვნული უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ლინგვისტიკის დეპარტამენტის ტექსტური ენათმეცნიერების პროფესორი ბ-ნი დიონისის ღუცოსი (Διονύσης Γούτσος) დახმარებას გვიწევდა კვლევის პროცესის მიმდინარეობისას და ქვეყანაში გავრცელებული პანდემიის მიზეზით გამოწვეული რთული მდგომარეობის მიუხედავად, მაქსიმალურად ცდილობდა ხელშეწყობასა და სამეცნიერო კვლევითი პირობების შექმნას, რის გამოც გულითად მადლობას ვუხდით მას გაწეული დახმარებისთვის. ასევე, კვლევის განხორციელებაში

შეტანილი წვლილისთვის გვსურს მადლიერება გამოვხატოთ მასში მონაწილე თითოეული ბავშვის, მშობლის და ჩვენი ბერძენი მეგობრების მიმართ, რომლებიც უშურველად დაგვეხმარნენ, როგორც ბერძენი, ისე, ქართველი ბავშვების მოძიებაში. გულწრფელი მადლობა მათ, განსაკუთრებით, კვლევის პირველ, ურთულეს ეტაპზე კვლევის მიმართ თავიანთი დიდი ინტერესის გამოჩენისა და გულისხმიერებისთვის, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პანდემიის პირველი ტალღის პერიოდში გამოცხადებული გრძელვადიანი კარანტინის გამო, დაიკეტა ქვეყანაში არსებული ყველა საჯარო თუ კერძო სასწავლო დაწესებულებები და ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა, როგორც ბერძნულ საჯარო სკოლებში, ასევე, ქალაქ ათენში არსებულ ქართულ საგანმანათლებლო კერებში შესვლა და კვლევის ჩატარება. კვლევის მეორე ეტაპზე (2021 წლის ზაფხული-შემოდგომის განმავლობაში დამოუკიდებლად წარმოებული კვლევა) გაწეული დახმარებისთვის გულწრფელ მადლობას ვუხდით ქ. ათენში მდებარე ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრ „არმაზის“ ხელმძღვანელებს ქ-ნ ხათუნა ლობჯანიძეს და ბ-ნ თანასის დრივას (Θανάσης Ντριβας) და ქართულ-ბერძნული კულტურული და საზოგადოებრივი ურთიერთობების ცენტრ „პეგასი - მერანის“ დირექტორს ქ-ნ შორენა მჭედლიძეს კვლევის სრულყოფისათვის აღმოჩენილი დახმარებისთვის, მათ პატარა აღსაზრდელებსა და მშობლებს კვლევაში მონაწილეობისა და ჩართულობისთვის<sup>5</sup>.

კვლევისთვის შეგროვებული მასალები სრულად არის დაცული ავტორის პირად არქივში და დიდი ნაწილი წაროდგენილია ნაშრომის ბოლოს დანართების სახით. ამას გარდა, ჩვენ მიერ მოპოვებულ ნარატივებთან შესადარებლად ვიყენებთ პროფ. ნათელა იმედაძის პირად სამეცნიერო არქივში არსებულ მასალას, კერძოდ, ქართველი მონოლინგვალის მოზარდების ნარატივებს. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს უშუალოდ ავტორის მიერ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დასახული ამოცანების ამოსახსნელად ჩატარებულ კვლევასა და მის შედეგებს;

---

<sup>5</sup> ზემოაღნიშნული ეს ორი საგანმანათლებლო კერა თითქმის ათი წელია ფუნქციონირებს და ეწევა სასწავლო-მეცნიერებით, შემოქმედებით თუ კულტურულ (ისწავლება: ბერძნული სასკოლო საგნები, ქართული, ახალბერძნული, ინგლისური; აგრეთვე, ქართული და ბერძნული ცეკვები, იდგმება თეატრალური წარმოდგენები) საქმიანობას ქართველი იმიგრანტი ბავშვებისთვის.

ჩატარებული კვლევითი სამუშაოების პარალელურად, შესწავლილი და დამუშავებული გვაქვს სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა; ემპირიული მასალის ანალიზისას გამოყენებული ქართული და ახალბერძნული ენის გრამატიკები თანდართული გვაქვს ბიბლიოგრაფიის ნუსხაში. ნაშრომის პირველი ნაწილი აგებულია თეორიული მასალის მიხედვით, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა დროს ამ საკითხების ირგვლივ გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებსა და პუბლიკაციებს. ასევე, დამუშავებულია დიდძალი ემპირიული მასალა, რომელიც აღებულია ნაბეჭდი ტექსტებიდან და სხვადასხვა სამეცნიერო ელექტრონული ვებ-გვერდიდან.

**0.7. ნაშრომის სტრუქტურა:** წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ძირითადი დასკვნებისა და ბიბლიოგრაფიისგან.

ნაშრომის შესავალში წარმოდგენილია ზოგადი მიმოხილვა; კვლევის საგანი და ობიექტი; განსაზღვრულია ნაშრომის მიზანი და ამოცანები, დასაბუთებულია შერჩეული თემის აქტუალურობა და სიახლე, აგრეთვე, კვლევისთვის შერჩეული მეთოდოლოგია; გამიჯნულია საკითხის შესწავლის მდგომარეობა და მოცემულია ზოგიერთი ისტორიული ცნობა ქართველთა და ბერძენთა მიგრაციის შესახებ. დაბოლოს, განმარტებულია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, ასევე მისი თეორიული და პრაქტიკული ბაზა.

პირველ თავში „ბილინგვიზმი“ თავმოყრილია ხუთი პარაგრაფი. პირველ პარაგრაფში წარმოდგენილია ტერმინთა განმარტებები; მეორეში მიმოვიხილავთ ბილინგვიზმს, როგორც მრავალმხრივ და მრავალკომპონენტთან მოვლენას. მესამე პარაგრაფი ეთმობა მეტალინგვისტურ ცნობიერებას, სადაც განხილულია ბილინგვიზმის გავლენა ლექსიკურ, სინტაქსურ და ფონოლოგიურ ცნობიერებაზე. მეოთხე პარაგრაფი ეძღვნება მეტალინგვისტურ ცნობიერებას, როგორც ხელშემწყობ ფაქტორს არამშობლიური ენების შესწავლის გზაზე. მეხუთე პარაგრაფში კი - წარმოდგენილია ინტერფერენციის მოვლენა, როგორც ენობრივი კონტაქტების შედეგი.

ბილინგვალეები სიტყვების სიმბოლურ გამოხატულებას უფრო ადრე აღიქვამენ, ვიდრე მონოლინგვალეები. შესაბამისად, ამან შეიძლება უზრუნველყოს კითხვის უნარის უფრო ადრეულ ასაკში განვითარება, რასაც ბიალისტოკი მეტალინგვისტური ცნობიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გასაღებს უწოდებს. ბიალისტოკმა და ჰერმანმა (1997ა) დაადგინეს, რომ ბილინგვიზმს აქვს დიდი მნიშვნელობა ბავშვის წიგნიერებაზე, თუმცა, არსებობს გარკვეული საფრთხეებიც. მათ გააანალიზეს წიგნიერების განვითარება სამი სფეროს მიხედვით: *მოთხოვნებისა და წიგნების კითხვა; ნაბეჭდის გაგება და ფონოლოგიური ცნობიერება*, რომლებიც ფარავს წიგნიერების სოციალურ, კოგნიტურ და ლინგვისტურ ასპექტებს და თითოეულ მათგანს განსხვავებული მიმართება გააჩნია ბილინგვიზმთან (ბეიკერი, 2010: 163).

მეტალინგვისტური ცნობიერება შემეცნებითი უპირატესობებიდან ერთადერთია, რომელიც გამოწვეულია ორ ენაზე ცხოვრებით. თუმცა, შედარებისთვის, მულტილინგვიზმის პოზიტიური ეფექტების შედეგები მეტალინგვისტური ცნობიერების განვითარებაზე საკმაოდ ძლიერია: მრავალი ცვლადი, მათ შორის ასაკი, ცოდნის დონე (კუმინსი, 1976, 1981), ბილიტერატურობა (სანზი, 2007), ბილინგვალის ენის ტიპოლოგია (ალ-დოსარი, 2004) და ეფექტების გასაზომად გამოყენებული ამოცანის ხასიათი (ბიალისტოკი, 1999, 2001) ითვლება, რომ ისინი ურთიერთქმედებენ და განმარტავენ ზოგიერთ ურთიერთგამომრიცხავ დასკვნას მულტილინგვიზმის დადებით გავლენასა და პოზიტიურ ეფექტებთან დაკავშირებით შემეცნების სხვადასხვა ასპექტზე. განსხვავებები მეტალინგვისტურ ცნობიერებაში მონოლინგვალესა და ბილინგვალეს შორის მოზრდილებშიც იქნა ნაპოვნი (თომასი, 1992). მეტალინგვისტური ინფორმირებულობა წარმოდგენილია, როგორც ორენოვანი ზღვარის ახსნის ძირითადი ფაქტორი; მაგალითად, შემდგომი ენების შესასწავლად მულტილინგვალეების შესაძლებლობების გაზრდა (სენოზი & ვალენსია, 1994; სანზი, 2000; სვეინი და სხვ., 1990) და წიგნიერებაში გაწაფვა (ბიალისტოკი, 2007) (სანზი, 2012: 3933).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტალინგვისტური ცნობიერება შემეცნებითი უპირატესობებიდან ერთადერთია, რომელიც ორ ენაზე ცხოვრების შედეგად მიიღება. შემეცნებაზე ბილინგვიზმის გავლენის შესახებ კვლევა განხორციელდა ისეთი არავერბალური დავალებების გამოყენებით, როგორცაა მათემატიკური და რიცხვითი (ბიალისტოკი & კოდი, 1997), შემოქმედებითი (კესლერი & ქვინი, 1980) და პრობლემების გადაჭრის ამოცანები (ბიალისტოკი, 1999; ბიალისტოკი & მაჯუმდერი, 1998; ბიალისტოკი & მარტინი, 2004) ვერბალური დავალებებიდან მათი შესრულების ხელშემწყობი დასკვნებით (კესლერი & ქვინი, 1980, 1987), რომლებმაც აჩვენეს, რომ ენობრივმა გამოცდილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს აბსტრაქტული აზროვნების განვითარებასა (როზენბლუმი & პინკერი, 1983) და აგრეთვე, სემანტიკური შემოქმედებითობის ჩამოყალიბებაში. ეს შედეგები მხარს უჭერს წინა კვლევებს (ბიალისტოკი, 1986, 1988), რომელთა მიხედვითაც ბილინგვალეები სჯობიან მონოლინგვალეს პრობლემების გადაჭრის გზების

ძიებისას, რომლებიც კონფლიქტს ეფუძნება. ამასთან, გამოკვლევულ ზოგიერთ სფეროში დასკვნითი შედეგების არარსებობა ბილინგვიზმსა და შემეცნებას შორის არსებული რთული კავშირის სრულყოფილად გასაგებად (მეტალინგვისტური ცნობიერების ჩათვლით) შემდგომი კვლევების ჩატარების საჭიროებაზე მიანიშნებს (სანზი, 2012: 3933-3934).

### **3.2. ბილინგვიზმის გავლენა ლექსიკურ, სინტაქსურ და ფონოლოგიურ ცნობიერებაზე**

ორენოვანი ბავშვების შემეცნებითი უპირატესობების გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბილინგვიზმი ადრეულ ასაკში გონებრივი მოქნილობის და მეტალინგვისტური ცოდნის მაღალ დონეს განავითარებს. ბიალისტოკი (2001) აჯამებს რამდენიმე კვლევას, სადაც გამოკვლევულ იქნა ბილინგვიზმის გავლენა როგორც ლექსიკურ, ასევე სინტაქსურ და ფონოლოგიურ ცნობიერებაზე (სანზი, 2012: 3934-3935).

### **3.3. ლექსიკური ცნობიერება**

*ლექსიკური ცნობიერების* შესწავლის კუთხით, მრავალი კვლევა თანხმდება ბილინგვალთა უპირატესობაზე მონოლინგვალეთთან მიმართებით, სიტყვისა და მისი მნიშვნელობის გამოყოფა/განცალკევების უნარის თვალსაზრისით (ბენ-ზეევი, 1977; ბიალისტოკი, 1988; რიჩიარდელი, 1992). ამასთან, საწინააღმდეგო მოსაზრებაც არსებობს: როზენბლუმისა და პინკერის (1983) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, ერთენოვანი და ორენოვანი უმცროსი ასაკის ბავშვები თანაბრად ახერხებდნენ ობიექტების ასოცირებას ახალი სახელებით. ამის მიუხედავად, ორივე ჯგუფის ცდისპირები განსხვავდებოდნენ ობიექტის თვისებებთან მიმართებაში, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინი ცალკეულ ობიექტს განსხვავებულად ანუ სხვადასხვაგვარად მოიხსენიებდნენ. ამის გამო, ერთენოვნები უფრო ხშირად საუბრობდნენ ფიზიკურ ატრიბუტებზე, ორენოვანი ბავშვები კი ხაზს უსვამდნენ იმ სოციალურ კონტექსტს, რომელშიც ობიექტების გამოყენება შეიძლებოდა. ამრიგად, ბილინგვალებმა გამოავლინეს, სიტყვის მნიშვნელობის ექსტრაპოლაციის უფრო ძლიერი უნარი და მისი რეალურ სამყაროსთან დაკავშირების შესაძლებლობა (სანზი, 2012: 3935).

### 3.4. სინტაქსური ცნობიერება

*სინტაქსური ცნობიერების* მიმართულებით კვლევამ დააფიქსირა ბილინგვალური ბავშვების უპირატესობა მონოლინგვალურებთან შედარებით, როდესაც ასრულებენ დავალებებს, რომლებიც შეცდომების აღნიშვნასა და გასწორებას (გალამბოსი & გოლდინ-მიდოუ, 1990) ანდა შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის თავიდან აცილების მიზნით შესასრულებელ სავარჯიშოებს (ბიალისტოკი, 1986, 1988) მოითხოვს. გალამბოსი და გოლდინ-მიდოუ (Galambos & Goldin-Meadow) ამტკიცებენ, რომ ორენოვან ბავშვებს ენობრივი ფორმების შესახებ უფრო მეტი ცოდნა აქვთ, ვიდრე ერთენოვნებს და რომ მეტალინგვისტური ცნობიერება აუმჯობესებს ინტელექტუალურ განვითარებას. ამასთან, მორფოსინტაქსურ სტრუქტურებთან დაკავშირებით ჩატარებულმა კვლევებმა, ასევე აჩვენეს, რომ არსებობს სფეროები, რომლებშიც ორენოვანი ბავშვები არ გამოირჩევიან უპირატესობით ერთენოვან ბავშვებთან შედარებით, როგორცაა, მაგალითად, მასა/რაოდენობის განსხვავების მიღება კონკრეტულ ენაზე (გაზექლი, 1997). გარდა ამისა, ამ კვლევის თანახმად, შემოთავაზებული ამოცანის სირთულემ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს შემეცნებაზე ბილინგვიზმის ეფექტების გავლენით, რაც დამოკიდებულია, მონაწილეთა ასაკსა და განვითარების ეტაპზე (სანზი, 2012: 3935).

### 3.5. ფონოლოგიური ცნობიერება

*ფონოლოგიურ ცნობიერებაში*, ორენოვანი ბავშვებისთვის დადებითი მიგნებები ვლინდება ისეთ ასპექტებში, როგორცაა განსჯის უნარი, მაგალითად, დაასახელონ სურათებზე გამოსახულ საგნებს გრძელი სახელები აქვთ თუ მოკლე (იელენდი და სხვ., 1993). თუმცა, ბიალისტოკმა, მაჯუმდერმა და მარტინმა (Bialystok, Majumder & Martin) (ბიალისტოკი და სხვ., 2003) ვერ იპოვეს რაიმე განსხვავება შესრულების თვალსაზრისით ორენოვან და ერთენოვან ბავშვებში, რომელთაც სთხოვეს სამიზნე სიტყვაში არსებული ბგერის სხვა სიტყვის ბგერით ჩანაცვლება (სანზი, 2012: 3935).

#### §4. მეტალინგვისტური ცნობიერება, როგორც ხელშემწყობი ფაქტორი

##### არამშობლიური ენების შესწავლის გზაზე

ენის შესწავლის პროცესში ჩართული მთელი რიგი ფაქტორები შეიძლება გაიზარდოს ორენოვანი ბავშვების ენის სწავლის შედეგად, მათ შორის კოგნიტური მოქნილობა, უნარების ავტომატიზაცია და მეტალინგვისტური ცნობიერება (ბილისტოკი, 2005; კრომდალი, 1999; კუმინსი, 1976) (სანზი, 2012: 3938).

მეორე ენის შეძენის პერიოდში განხორციელებული კვლევის მიმდინარეობისას, შესაძლებელია თუ არა ენის შეგნებული ცოდნა (მეტალინგვისტური ცნობიერება) გადაიქცეს იმპლიციტურ, არაცნობიერ ცოდნად (ითვლება ნამდვილ კომპეტენციად), განხილვის საკითხია, მაგრამ უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ მას შეუძლია დაეხმაროს შეძენის პროცესში, როგორც მოწინავე ორგანიზატორი, რომელიც ახდენს მოსწავლეების ყურადღების ფოკუსირებას ენის შესაბამის მახასიათებლებზე. ეს არის ორენოვანთა გაძლიერებული მეტალინგვისტური ცნობიერება, რაც გამოწვეულია ერთზე მეტი ენის ზემოქმედებით და განსაკუთრებით, ორ ენაზე წერა-კითხვის ცოდნით. ეს კი აძლევს მათ შესაძლებლობას ფოკუსირება მოახდინონ ფორმაზე და ყურადღება მიაქციონ ენის შენატანში არსებულ შესაბამის მახასიათებლებს, რაც გაზრდის მისაღების რაოდენობას (დამუშავებული შენატანი), რომელიც ენათა სისტემაში (შიდა გრამატიკა) იკვებება და საზრდოობს (სანზი, 2012: 3939).

ბილინგვიზმისა და შემეცნების შესახებ მთელი რიგი კვლევების დროს (მაკლეოდი & მაკლაფლინი, 1986; ნაშენი & მაკლაფლინი, 1986; მაკლაფლინი & ნაიაკი, 1989; ნაიაკი და სხვ., 1990), მაკლაფლინის სამეცნიერო ჯგუფმა სცადა ეჩვენებინა, რომ ორივე, როგორც ბილინგვალ, ასევე მულტილინგვალ ინდივიდებს აქვთ უპირატესობა მონოლინგვალებთან შედარებით ავტომატიზაციისა და რესტრუქტურიზაციის პროცესებში. ნაშენმა და მაკლაფლინმა (1986) შეადარეს „ახალბედა“ (ერთენოვანი) და „ექსპერტი ანუ გამოცდილი“ (ორენოვანი და მრავალენოვანი) მოსწავლეების შესრულება. მათ აღმოაჩინეს, რომ „ექსპერტებმა“ გაუსწრეს „ახალბედებს“ იმპლიციტურ ანუ არაპირდაპირ პირობებში (წაკითხვა და დამახსოვრება/დაზეპირება), მაგრამ არა ექსპლიციტურ ანუ მკაფიოდ გამოკვეთილ (წაკითხვა და გრამატიკული წესების დამეზნა) სასწავლო პირობებში. ამ კვლევის



შედეგები ცხადყოფს წინა ლინგვისტურ გამოცდილებას მეხსიერებასა და ენის შესწავლას შორის არსებულ ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით: მულტილინგვალური სუბიექტები უკეთესად არიან აღჭურვილნი ინფორმაციის მუდმივი ნაკადის დასამუშავებლად, შეუძლიათ შეინახონ სამუშაო მეხსიერებაში მხოლოდ ის, რაც მნიშვნელოვანი და შესაფერისია შემდგომი დამუშავებისთვის (სანზი, 2012: 3939).

დასკვნის სახით, ერთზე მეტი ენის გამოცდილება - მულტილინგვიზმი - ხელს უწყობს ძირითადი საჭირო შესაძლებლობების ავტომატიზაციას ინფორმაციისა და ენის დამუშავების პროცესში. როდესაც ისინი ავტომატიზირდებიან, ეს აუცილებელი შესაძლებლობები ნაკლებად არიან დამოკიდებული მუშა მეხსიერებაზე და ადგილს ათავისუფლებენ სხვა პროცესებისთვის. ასევე, შენატანის რესტრუქტურის სტრატეგიების განვითარება მეტალინგვისტური ანალიზის შედეგია. ენის შემსწავლელი შენატანს გარდაქმნიან კატეგორიებად, რაც ითვალისწინებს გაცილებით სწრაფ წვდომასა და უფრო გამჭვირვალე ურთიერთობას ინფორმაციის სხვა ერთეულებთან, რაც საბოლოოდ აადვილებს ახალი ინფორმაციის დამუშავებას. ამ გზით, მულტილინგვიზმი, მეტალინგვისტური ინფორმირებულობა და ყურადღების კონტროლი ურთიერთკავშირშია და განმარტავს მულტილინგვალურ უპირატესობას ახალი ენების შექმნის პროცესში (სანზი, 2012: 3940).

#### **4.1. მეტალინგვისტური ცნობიერების როლი წიგნიერებაში (წერა-კითხვა)**

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ბილინგვალური ბავშვების წიგნიერების შესახებ. ამ მიმართულებით მიდგომებიც განსხვავებულია თუ რა მეთოდებითა და სტრატეგიებით უნდა მოხდეს წიგნიერების განვითარება ორენოვან მოსწავლეებში. ზოგიერთის აზრით, იმიგრანტი და უმცირესობის მოსწავლეთა წიგნიერება გულისხმობს მათ ასიმილაციას ახალ ენასა და კულტურაში. მკვიდრი მოსახლეობის მოსწავლეებისთვის წიგნიერება გულისხმობს წერისა და კითხვის ცოდნას ორ ან მეტ ენაში. პრესტიჟული ბილინგვური განათლების კონტექსტში კი წიგნიერება გულისხმობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, მრავალმხრივი ცნობიერების, ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარებას. ზოგიერთი მკვლევარი

წიგნიერებას განმარტავს, როგორც კითხვის საბაზისო უნარების განვითარებას (იხ. აშშ-ს კითხვის ეროვნული პანელი, 2000). მკვლევართა მეორე ნაწილი კი საუბრობს მრავალენოვან წიგნიერებაზე ბილინგვალ და მონოლინგვალ მოსწავლეებში (სტორითი, 2000, 2003).

წიგნიერებასთან დაკავშირებით მოლოდინი განსხვავებულია სხვადასხვა კონტექსტში (იმიგრანტი ან მკვიდრი მოსწავლეებისთვის). სკოლა დიდ როლს თამაშობს წიგნიერების განვითარებაში, თუმცა ოჯახს, თემს, რელიგიურ ორგანიზაციებს აქვთ აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესში, ხოლო ამ ინსტიტუტების მიერ წიგნიერების გააზრება და მოლოდინები შესაძლებელია მრავალფეროვანი და განსხვავებული იყოს (ბეიკერი, 2010: 317).

„წიგნიერების განვითარება მოსწავლის საგანმანათლებლო განვითარების მთავარი მამოძრავებელია, რამეთუ ის წარმოადგენს საშვს საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის, ინსტრუმენტს, რომლითაც სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ფასდება და წარმოადგენს სწავლების მთავარ მიზანს” (ბიალისტოკი, 2001: 152). თუმცა, არ არსებობს უნივერსალური მეთოდი, თუ როგორ უნდა განვაავითაროთ მოსწავლეებში წიგნიერება (სნოუ და სხვ., 1998). მიუხედავად ამისა, გინესიმი და მისმა კოლეგებმა (2005) ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული მიდგომების მიმოხილვისას დაასკვნეს, რომ ინტერაქტიული სწავლების მეთოდი და მიზანმიმართული მიდგომა, აგრეთვე, ამ ორი მიდგომის კომბინაცია ყველაზე ეფექტურია ენობრივი უმცირესობის მოსწავლეთათვის წიგნიერების განსავითარებლად (ვრცლად *ენობრივი უმცირესობების მოსწავლეთა წიგნიერებაზე არსებული განსხვავებული ხედვები და მიდგომები* იხილეთ ბეიკერი, 2010: მე-14 თავი) (ბეიკერი, 2010: 319).

კვლევა **წიგნიერებაში (წერა-კითხვა)** გაწაფვის მიღწევის შესახებ, ეთანხმება იმ აზრს, რომ წიგნიერების შეძენისთვის არსებობს სამი წინაპირობა: *მეტალინგვისტური ცნობიერების დამკვიდრება, კომპეტენცია ზეპირი ენის ცოდნაში და ბეჭდვის სიმბოლური ცნებების გაგება* (ბიალისტოკი, 2007). ბილინგვიზმისა და წიგნიერების მიღწევის შესახებ კვლევა სწავლობს, თუ რამდენად განსხვავდება ეს უნარები მონოლინგვალ და ბილინგვალ ბავშვებში. მისი დასკვნების თანახმად, ბავშვების

წერა-კითხვის განვითარებაში ორენოვნება აშკარად ფაქტორია, მაგრამ ამ ფაქტორის ეფექტი არც მარტივი და არც უნიტარულია. ზოგჯერ ბილინგვალეები უპირატესობას ამჟღავნებენ (ბექდვის კონცეფციები), ზოგჯერ კი - პირიქით (ზეპირი ენის კომპეტენცია). ანალოგიურად, ფრანსისი (1999) ასკვნის, რომ მეტალინგვისტური ცნობიერება სხვადასხვა გზით დაკავშირებულია წიგნიერების განვითარების რთულ ასპექტებთან და ექსპრესიული (გამომხატველი) მიმართულია რეცეპტული (მგრძნობიარე) ენობრივი ამოცანების წინააღმდეგ (ექსპრესიული vs რეცეპტული) (სანზი, 2012: 3940).

### §5. ინტერფერენცია - ენობრივი კონტაქტების შედეგი

წინამდებარე ნაშრომის საკვლევო თემიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ცალკე თავად წარმოვადგინოთ და განვიხილოთ ინტერფერენცია, როგორც მოვლენა, რომელიც თავს იჩენს ბილინგვალეების მეტყველებაში.

სხვადასხვა ენობრივ კოლექტივებს შორის არსებული კულტურულ-ისტორიული კონტაქტები იწვევს სათანადო ენათა ურთიერთგავლენებს, რაც გამოიხატება ენობრივ ფორმათა სესხებაში. ამ შემთხვევაში სესხება აღქმული უნდა იქნეს როგორც ერთი ენის მიერ მეორე ენიდან ამა თუ იმ ფორმის ან სტრუქტურის შეთვისება, რასაც მსესხებელ ენაში შესაძლოა გარკვეული ფონეტიკური, გრამატიკული თუ სემანტიკური სახეცვლილებები მოჰყვეს. ენობრივ სისტემებს შორის ამგვარ სესხებებსა და ურთიერთგავლენებს ენათა კონტაქტების პირობებში ინტერფერენციას უწოდებენ (გამყრელიძე და სხვ., 2008: 604).

სიტყვა *ინტერფერენცია* (ინგლ. *interference* „ჩარევა“), მომდინარეობს ლათინური სიტყვებისგან *inter* „შორის“ და *feriō* „შეხებას, დარტყმას ან ჩარტყმას“, რომელიც გამოიგონა ბრიტანელმა მეცნიერმა, პოლიმატოლოგმა თომას იანგმა (Thomas Young) 1801 წელს ([https://hmn.wiki/ka/Constructive\\_interference](https://hmn.wiki/ka/Constructive_interference); გამყრელიძე და სხვ., 2008: 604)

ინტერფერენცია განისაზღვრება, როგორც ერთი ენის ელემენტების ჩართვა მეორე ენის გამოყენებისას (განმარტებები წარმოდგენილია ჩვენივე ნაშრომის ზემოთ მოცემულ პარაგრაფში „ტერმინთა განმარტებისთვის“ გვ. 28-34). საგულისხმოა ის

ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში ერთი ენის მეორეზე გავლენა ძირითადად უარყოფითი კონოტაციით განიხილება (მას *უარყოფით ტრანსფერსაც* უწოდებენ), განსხვავებით პოზიტიური ტრანსფერისგან, რომელიც დადებით გადატანას გულისხმობს (სავილიე-ტროიკე, 2016: 18).

ინტერფერენცია - ეს არის მეხსიერების ფენომენი, რომელიც მაშინ ვლინდება, რა დროსაც შიგნიდან ან გარედან მომდინარე სტიმულები ე.წ. მოგონების მიმნიშნებლები, რომლებიც მეხსიერებაში გარკვეული ინფორმაციების ძებნაში გვეხმარებიან, ვერ ახერხებენ, ეფექტურად მიუთითონ ერთ კონკრეტულ მოვლენაზე (<http://dictionary.css.ge/content/interference>).

*ინტერფერენცია* ჩვეულებრივი მოვლენაა *ბილინგვიზმის (ორენოვნების)* პირობებში (გამყრელიძე და სხვ., 2008: 604). ბილინგვური კვლევების ეპოქის დასაწყისში ხშირად დგებოდა ინტერფერენციის საკითხი ე1-სა და ე2-ს შორის. ზემოთ აღნიშნულის თანახმად, კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ L1 არის მოლაპარაკე ინდივიდის პირველი ენა, L2 არის მეორე, L3 - მესამე და ა.შ. L1 ჩარევა - *სადაც მოსაუბრე იყენებს ენის ფორმებს და სტრუქტურებს მათი პირველი ენიდან იმ ენაში, რომელსაც სწავლობს* - არის სფერო, რომელიც დღემდე ბევრ მასწავლებელს აწუხებს. შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ბილინგვიზმში გაერთიანებულია ორი მონოლინგვალი, მივყავდით კომუნიკაციის პროცესში ერთი ენის კვალის არსებობის უარყოფამდე მეორე ენაში. ჩვენს დროში ბილინგვური კომპეტენცია განიხილება, როგორც ერთიანი ბილინგვური მეტყველება, რომელიც ნამდვილი ბილინგვიზმის დამადასტურებელია და სულაც არ წარმოადგენს ენების ცუდად ფლობის ნიშანს, ანდა ბილინგვალების ენობრივი ქმედების ერთ-ერთ დაკანონებულ ფორმას ისეთ სიტუაციებში, სადაც ეს შესაძლებელია. ბილინგვალ ბავშვთა უმეტესობა გაივლის „კოდების აღრევის“ ფაზებს მანამდე, სანამ ისწავლიან ენათა დაყოფას და გადართვას ერთი ენიდან მეორეზე იმ ფორმალური და ფუნქციური წესების თანახმად, რომლებიც მათ ბილინგვურ გარემოს შეესაბამება. გამოთქმათა სისწორის ხარისხი დამოკიდებულია სოციალურ ნორმებზე. თუ მეორე ენის ათვისების პროცესს ჩავთვლით ბილინგვიზმის საწყის ფორმად, შემსწავლელს კი - ასიმეტრიულ ბილინგვალად, მაშინ ასეთი მიდგომისას ჩნდება საინტერესო საკითხების მთელი

რიგი, რომელსაც გააჩნია მიმართება „ენათა შერევის ფენომენის სტატუსთან” (რიაგენი & ლიუდი, 2008: 63-65).

ერთი შეხედვით, მკაფიო განსხვავება ეგზოლინგვურ ხერხებსა და ბილინგვურ დისკურსულ პროცედურებს შორის სავსებით შესაძლებელია. ერთი მხრივ, არსებობს უამრავი საბუთი იმისა, რომ კოდების გადართვა ბილინგვურ მოსაუბრეებს შორის არის არა მარტო ფუნქციური, არამედ გრამატიკულიც. მომდევნო მაგალითში კოდების ცვლის ფუნქცია ნათელია: ის მიუთითებს წერიტი კომუნიკაციის ჩამტარებლის ორ კულტურას შორის კავშირზე გეოგრაფიულ არეალში. გადართვის მომენტი მიმდინარეობს ყველაზე ზოგადი ენობრივი წესების შესაბამისად: “je suis parti a la gare et je suis arrivee le lendemain a neuf na estacao de Pom-bal” (მე გავემგზავრე [პარიზის] ვაგზლიდან და მეორე დღის 9 საათზე ჩავედი ვაგზალ პომბალში [ლისაბონში]). მეორე მხრივ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ენათა შერევას აქვს სხვა სტატუსი ეგზოლინგვური საუბრისას (ანუ შემსწავლელსა და ენის მატარებელს შორის). ადამიანი, რომელიც არ არის ენის მატარებელი, ურევს ერთმანეთში გერმანულსა და ფრანგულს: “HH: moi je trouve plus...les filles surtout je trouve plus ehm oui... modernes... non ehm pas modernes. gelpflegt” (მე ვთვლი... განსაკუთრებით ქალიშვილებს ჰ-მ-მ... უფრო თანამედროვეებად... არა ჰ-მ-მ, არა თანამედროვედ - მოვლილებად); აიძულებს ენის მატარებელს, უპოვოს სწორი ახსნა სიტყვას: “H: soignes?”; ანუ ე1-ის ლექსიკური ერთეულები გამოიყენება მაშველ რგოლებად და მოწოდებად დახმარებისათვის, რათა მოხერხდეს შეზღუდული ლექსიკური კომპეტენციის დაძლევა (რიაგენი & ლიუდი, 2008: 63-65).

მრავალენოვან კონტექსტში სხვადასხვა ენის მატარებლის მიერ ხშირად თვით სიტუაცია შეიძლება იყოს განსაზღვრული, როგორც ეგზოლინგვური და ბილინგვური ერთდროულად. შესაბამისად, კომუნიკაციის მიზნით გამოყენებული იქნება სხვადასხვა ვარიანტი. მაგალითად, ენის მატარებელმა შეიძლება აღიქვას ეს ენობრივი ერთეულები, როგორც სიტუაციისათვის შესაბამისი (ანუ მიანიჭოს მას კოდების გადართვის სტატუსი) და შეიტანოს კიდეც იგი თავის ლექსიკონში. შეიძლება ერთ-ერთ ბილინგვალს შეუსწორონ უზუსტობა და ამით მიანიშნონ, რომ მოსაუბრე არ განიხილავს მოცემულ სიტუაციას ბილინგვური მეტყველებისათვის

შესაფერისად. შეიძლება ლექსიკური ტრანსფერის სტატუსის ვარირება და ეს დამოკიდებულია იმაზე, აღიქმება თუ არა იგი, როგორც ლექსიკური ხარვეზის მაჩვენებელი, თუ როგორც კარგად ფორმულირებული ბილინგვური კომპეტენცია (რიაგენი & ლიუდი, 2008: 63-65).

ინტერფერენციის ანუ ენობრივი სისტემების სხვადასხვა დონის ერთეულთა და სტრუქტურათა სესხებისა და ისტორიული ურთიერთგავლენების ილუსტრირება შესაძლებელია მსოფლიოს მრავალი ენის მაგალითზე (გამყრელიძე და სხვ., 2008: 604).

### 5.1. ინტერფერენციის რაგვარობა და მისი სახეები

ინტერფერენცია მაშინ ხდება, როცა მიმნიშნებელი ვერ მოქმედებს სათანადოდ და ვერ აღადგენს შესაბამის ინფორმაციას. რაც უფრო დიდია ამ სპეციფიკურ მიმნიშნებელზე შესაძლო პასუხთა რაოდენობა, მით უფრო ძნელია ერთი სწორი პასუხის აღდგენა. ასე მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ, რამდენად განსხვავებულად გაამზადეთ ვახშამი ათი დღის წინ და დღეს საღამოს? სავსებით შესაძლებელია, რომ თქვენს გონებაში არსებული მოგონებები ერთმანეთში აირიოს ანუ მოხდეს *ინტერფერენცია* (<http://dictionary.css.ge/content/interference>).

ინტერფერენცია შეიძლება იყოს პროაქტიული ან რეტროაქტიული. პროაქტიული ინტერფერენცია („შემდგომზე მოქმედი“) ნიშნავს, რომ წარსულში შექმნილი ინფორმაცია აძნელებს ახალი ინფორმაციის აღბეჭდვას, ხოლო რეტროაქტიული ინტერფერენცია („წინაზე მოქმედი“) იმაზე მიუთითებს, რომ ახალი ინფორმაცია ხელს უშლის ძველის აღდგენას. პირობითად რომ ავიღოთ, ორივე სახის ინტერფერენციასთან გვაქვს საქმე, როდესაც ელ-ფოსტის მისამართის პარამეტრების (პაროლი და ა.შ.) შეცვლას გადაწყვეტთ. თავიდან ახალი „მისამართის“ დამახსოვრება გიჭირთ: ძველი დასახელება „ამოხტება“ ხოლმე მეხსიერებიდან (*პროაქტიული ინტერფერენცია*), მაგრამ როცა ბოლოს და ბოლოს კარგად დაიმახსოვრებთ ახალი ელ-ფოსტის პარამეტრებს, შესაძლოა აღმოაჩინოთ, რომ ძველი აღარც კი გახსოვთ მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში

აქტიურად იყენებდით მას *(რეტროაქტიული ინტერფერენცია)*  
(<http://dictionary.css.ge/content/interference>).

როგორც მეხსიერების ბევრი სხვა მოვლენის, ინტერფერენციის შესწავლაც ებინგჰაუსმა (Ebbinghaus) დაიწყო, რომელიც თავად სწავლობდა უაზრო მარცვალთა წყვილებს. მან აღმოაჩინა, რომ დასწავლილი 65% აღარ ახსოვდა. საინტერესოა, რომ როცა 50 წლის შემდეგ ერთ-ერთ კვლევაში ებინგჰაუსის ექსპერიმენტები გაიმეორეს, იგივე შედეგი მიიღეს. ის მწკრივები, რომელთაც კვლევის მონაწილეები უფრო ადრე სწავლობდნენ და ამას მრავალჯერადი განმეორების შედეგად აღწევდნენ, ადგენისას ახლადნასწავლ მწკრივებში ერეოდათ ანუ *ინტერფერენცია* ხდებოდა (გერიგი & ზიმბარდო, 2009).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ენობრივი ინტერფერენციის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მშობლიური ენის გავლენა მეორე ენის გამოყენებისას. იგი შეიძლება იყოს ლექსიკური ან გრამატიკული. ინტერფერენცია კარგადაა შეწავლილი ფონოლოგიურ, გრამატიკულ დონეებზე. შესასწავლი და მშობლიური ენების სისტემატურმა შედარებამ შეიძლება გამოავლინოს სიმსხველეს მეორე ენის დაუფლებაში. ინტერფერენციის დაძლევა წარმოადგენს, უეჭველად, ერთ-ერთ ძირითად ამოცანას მეორე ენის სწავლებისას და, რადგანაც იგი განისაზღვრება ნორმიდან გადახრად, ინტერფერენციის არარსებობა წარმოადგენს *ნორმატიულობის* სავალდებულო მაჩვენებელს - ენის ფლობის ერთ-ერთ წამყვან ლინგვისტურ კრიტერიუმს. უნდა ითქვას, რომ ინტერფერენცია არ არის აუცილებელი ატრიბუტი მეორე ენის განვითარების პროცესში. დე ჰუვერის (2009) ძალიან საინტერესო მონოგრაფია „ბილინგვური პირველი ენის დაუფლება“ (Bilingual First Language Acquisition) აუცილებელ ინტერფერენციას მითადაც კი მიიჩნევს. მოვიყვანოთ ინტერფერენციის რამდენიმე მაგალითი: 1) ორენოვანი ბავშვი: „დალი უნდა წიგნის“ - რუსულიდან პირდაპირი გავლენით: Дали хочит книжку (იმედაძე, 2017); 3) ინგლისური - Thank you და გერმანული - bitte სრული სინონიმები არაა მახვილის მიხედვით; 4) Winter is before the door - არის გერმანულის პირდაპირი გადმოტანა: "Der winter ist for der tur" (ინგლისურად - "Winter is around the corner", ქართულად - „ზამთარი კარზეა მომდგარი“).

## 5.2. სიტყვა-ხატის ინტერფერენციის სტრუქტურა

ერთ-ერთი მოთხოვნა კროსლინგვისტური შეჯიბრისთვის ორენოვანი სიტყვების წარმოებაში მომდინარეობს სიტყვა-ხატის ინტერფერენციის (PWI - Picture-Word Interference) პარადიგმის გამოყენებით ჩატარებული კვლევის დასკვნებიდან. ამოცანის მიზანია დაასახელოს ხატი / გამოსახულება და მოახდინოს ყურადღების გამფანტველის იგნორირება. ტიპური დასკვნა PWI-ში არის ის, რომ სიტყვები, რომლებიც სემანტიკურად არიან დაკავშირებული ხატთან, იწვევენ ინტერფერენციას, ხოლო სიტყვები, რომლებიც ფონოლოგიურად ანდა ორთოგრაფიულად არიან დაკავშირებული, ხელს უწყობენ და ამარტივებენ ხატის დასახელებას (ხატისთვის სახელის დარქმევას) (ლა ჰეიჯი და სხვ., 1985; ლუპკერი, 1979, 1982). ყურადღების გამფანტველი სიტყვები არასამიზნე ენიდან დავალების ორენოვან ვერსიაში, რომლებიც სემანტიკურად ან ფონოლოგიურად უკავშირდებიან ხატის სახელს, ასევე იწვევენ ინტერფერენციას და შესაბამისად, გამარტივებასაც (კოსტა და სხვ., 1999; ჰერმანსი და სხვ., 1998). ჰერმანსი და მისი კოლეგები (1998) აღწერენ დამთრგუნველ ეფექტს იმ ყურადღების გამფანტველებისთვის, რომლებიც თარგმანის ფონოლოგიური მეზობლები იყვნენ. „ფონო-თარგმანის“ ეფექტი გაჰყვა ამგვარ დროის მსვლელობას, რათა გავლენა მოეხდინა დაკვირვების საგანზე სემანტიკური დისტრაქტორებისთვის (ყურადღების გამფანტველები ან დამაბნეველი ფაქტორები), რომლებიც წარმოგვიდგინეს ჰერმანსმა და მისმა კოლეგებმა, რათა დაესკვნათ, რომ არასამიზნე-ენა აქტიური იყო ანოტაციის დონეზე. თავისთავად, არასამიზნე ენის დისტრაქტორების ეს ეფექტები იმაზე მიუთითებს, რომ მეტყველების დაგეგმვა ღიაა უნებლიე ენის ზემოქმედება-გავლენისთვის.

ყველაზე კრიტიკულად, დისტრაქტორებთან დაწყვილებული სურათები, რომლებიც თავად მიზნობრივი სიტყვის თარგმანია, ასევე, ხელს უწყობს და ეხმარება სურათების დასათაურებას / დასახელებას (კოსტა და სხვ., 1999; ჰერმანსი, 2004). კოსტა და მისი კოლეგები ამტკიცებენ, რომ თუ ლექსიკური ერთეულები კონკურენციას უწევენ შერჩევა-არჩევას, მაშინ, ამის შემდეგ თარგმანის დისტრაქტორმა უნდა გამოიწვიოს ყველაზე მეტი ინტერფერენცია, რადგან ის პირდაპირ ააქტიურებს კონკურენტულ ლექსიკურ ალტერნატივას. მათ თარგმანის



გამარტივების ეფექტი გამოიყენეს, როგორც ენის სპეციფიკური მექანიზმის საყრდენი, რომელიც კონკურენციის ენაში არჩევისთვის არ ითვალისწინებს ლექსიკურ კვანძებს. თარგმანის გამარტივების ეფექტის მნიშვნელოვანი მახასიათებელი ნიშან-თვისებაა ის, რომ იგი ხანმოკლეა იდენტური დისტრაქტორების ეფექტებთან შედარებით (მაგ., ხატის სახელი სამიზნე ენაზე). იდენტურობის მდგომარეობისთვის ყველაზე დიდი და ყველაზე ფართო - გამარტივების ეფექტი - იქნა გამოყენებული, როგორც ენის სპეციფიკური წვდომის შემდგომი მხარდაჭერა, ვინაიდან ეს გვაფიქრებინებს, რომ უნებლიე ენის ლექსიკურმა გააქტიურებამ ნაკლები გავლენა იქონია სამიზნე სახელის წარმოებაზე.

ჰერმანსი (2004) ამტკიცებდა, რომ იდენტურობის მდგომარეობის დიფერენციალური დროის მიმდინარეობა და სიდიდე თარგმანის პირობებთან შედარებით შესაძლოა განთავსდეს ენის არასპეციფიკურ მოდელში (რომელიც ითვალისწინებს კონკურენციას) ან ლექსიკური შერჩევის ენის სპეციფიკურ მოდელში. წინა ლოგიკის თანახმად, კროსლინგვისტური აქტივაცია ამცირებს კონცეპტუალური, ლექსიკური და ფონოლოგიური აქტივაციის გამარტივების რაოდენობას. ამ უკანასკნელი მოდელის თანახმად, სხვა ფაქტორებმა, როგორცაა თარგმანის დისტრაქტორის აქტივაციის შეფერხება ან იდენტურობის დამაბრკოლებელი ფაქტორების უფრო გააქტიურება, შეუძლიათ შეცვალონ დროის კურსი და შესაბამისად, გავლენა იქონიონ სიდიდეზე, ზომასა და მასშტაბებზე.

დებატები თარგმანის გამარტივების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით ასევე წამოჭრის მნიშვნელოვან საკითხს PWI-ში დისტრაქტორული სიტყვის დამუშავებასთან დაკავშირებით. თუ დისტრაქტორი სიტყვის ქვემოდან გააქტიურება შეიჭრება დამუშავებაში, რაც სხვაგვარად არ მოხდება ხატის სახელის დაგეგმვისას, მნელი სათქმელია, დაფიქსირებული ეფექტები გამოავლენს თუ არა კროსლინგვისტური აქტივაციის ადგილს და მოახდენს თუ არა ენის არჩევას მეტყველების დაგეგმვის დროს ანდა სიტყვისა და ხატის დამუშავებას შორის რთულ ურთიერთქმედებას. არგუმენტთა ამ ჯაჭვის გააზრების შემდეგ, რთულია მხოლოდ PWI მონაცემების გამოყენება, ორ შერჩეულ მოდელს შორის ერთ-ერთის მკაფიოდ განსჯის მიზნით (კროლი და სხვ., 2008).

## თავი II. მშობლიური და მეორე ენის ფლობის საკითხები

### უმცროს სასკოლო ასაკში

#### §1. რა იგულისხმება *მეორე ენის* ათვისებაში?

უპირველესად, მიზანშეწონილია, განვსაზღვროთ რას ნიშნავს თავად ტერმინი „*მეორე ენა*“? როგორც უკვე აღვნიშნეთ, *მეორე ენის* სხვადასხვა განმარტება შეიძლება შეგვხვდეს შესაბამის ლიტერატურაში (იხ. ჩვენივე ნაშრომი, გვ. 28-34), ეს განსხვავებები განპირობებულია მისი მრავალმხრივი ხასიათით, მაგრამ აქ, შევჩერდებით მის კლასიკურ განმარტებაზე: *მეორე ენა*, როგორც წესი, ოფიციალური ან დომინანტური ენაა, რომელიც საჭიროა განათლების, დასაქმების ან სხვა მიზნებისთვის. ძალიან ხშირად მას სწავლობენ იმიგრანტების უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლები, რომელთა მშობლიური ენაც სხვა არის. მეორე ენის ათვისება (SLA - Second Language Acquisition) გულისხმობს, როგორც ინდივიდების ან ჯგუფების მიერ (რომლებიც ადრეულ ბავშვობის ასაკში მშობლიური ენის ათვისების შემდეგ სწავლობენ სხვა რომელიმე ენას) ენის შესწავლას (შედეგს), აგრეთვე, ამ ენის თვით შესწავლის პროცესსაც (სავილიე-ტროიკე, 2016: 2-4). ბავშვის ზრდასთან ერთად, იზრდება მისი ენობრივი უნარები. ამის საპირისპიროდ, შემსწავლელის ენა (აგრეთვე, შუალედური/ინტერენა) მეორე ენის შესწავლის პროცესში იმ ასაკს ემთხვევა, როდესაც კოგნიტური სიმწიფე არ შეიძლება მიჩნეული იყოს მნიშვნელოვან ფაქტორად. მეორე ენის შემსწავლელები უკვე ზრდასრულობის იმ დონეზე არიან, როდესაც შეუძლიათ რთული გამონათქვამების წარმოთქმა და გაგება თავიანთ პირველ ენაზე, ხოლო სიმწიფის ხარისხი არ არის ენისათვის სპეციფიკური (სავილიე-ტროიკე, 2016: 18).

*მეორე ენის ათვისება (შეა)* შეიძლება სამი სახით მიმდინარეობდეს:

1. არაფორმალური ათვისება ბუნებრივ კონტექსტში;
2. ფორმალური სწავლება-სწავლა საკლასო ოთახში;
3. შერწყმული ვითარება, როცა ათვისების პროცესი ხორციელდება როგორც ბუნებრივ, ისე საკლასო გარემოში (გაბუნია და სხვ., 2008: 81-82; პაპავა, 2008: 68-69).

მეორე ენის სწავლისა და გამოყენების მიმართ ინტერესი საუკუნეების წინ გაჩნდა (მაკკარტი, 2001), მაგრამ, მხოლოდ 1960-იანი წლებიდან დაიწყო სისტემური

თეორიებისა და მოდელების ჩამოყალიბება. საბოლოოდ, მეორე ენის ათვისება, როგორც დარგი, წარმოიშვა ლინგვისტიკის, ფსიქოლოგიისა და მათი ქვედარგების: გამოყენებითი ენათმცნიერების, ფსიქოლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკისა და სოციალური ფსიქოლოგიის ბაზაზე. იგი ჩამოყალიბდა მეცნიერების დიდი შრომის შედეგად, რომლებიც ცდილობდნენ პასუხი გაეცათ *მეორე ენის ათვისებასთან დაკავშირებული სამი არსებითად მნიშვნელოვანი და ძირეული შეკითხვისთვის:*

1. რა უნდა იცოდეს მეორე ენის შემსწავლელმა?
2. როგორ იძენს შემსწავლელი ამ ცოდნას?
3. რატომ არის ზოგი შემსწავლელი სხვებზე წარმატებული? (სავილიე-ტროიკე, 2016: 2-3, 24).

მოცემული ამოცანის ამოსახსნელად, ჩამოთვლილი თითოეული სფეროდან მეცნიერები აქცენტს სხვადასხვა საკითხზე აკეთებენ, ასე მაგალითად: *ლინგვისტები* ხაზს უსვამენ მსგავსებებსა და განსხვავებებს, რომლებიც არსებობს შესასწავლ ენებს შორის და ასევე, შემსწავლელის ლინგვისტურ კომპეტენციასა და ლინგვისტურ პერფორმანსს შორის ენის ათვისების სხვადასხვა დონეზე; *ფსიქოლოგები* და *ფსიქოლინგვისტები* ფოკუსირდებიან მენტალურ ანდა კოგნიტურ პროცესებზე, რომლებიც ჩართულია ათვისების პროცესში; *სოციოლინგვისტები* განიხილავენ ცვლილებებს შემსწავლელის ენობრივ პერფორმანსში; *სოციალური ფსიქოლოგები* შეისწავლიან იდენტობას და სოციალურ მოტივაციას; *გამოყენებითი ლინგვისტიკის სპეციალისტები* (რომლებიც საზოგადოდ, *მეა*-ს საკითხებზე მუშაობენ) განიხილავენ თეორიებისა და კვლევის შედეგებს მეორე ენის სწავლების პროცესში. თითოეული დარგი მეორე ენის ათვისების კვლევისთვის სხვადასხვა მეთოდს იყენებს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისათვის და ირჩევს ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ გზებს კვლევის შედეგების მისაღწევად. შესაბამისად, არც არის გასაკვირი, რომ მათი მოსაზრებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება (სავილიე-ტროიკე, 2016: 3).

ეს სამი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული, პერსპექტივა: *ლინგვისტური, ფსიქოლოგიური* და *სოციალური*, თითოეული მათგანი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მეორე ენის ათვისების რთული ფენომენის მაქსიმალურად

სრულყოფილად გასაგებად (სავილიე-ტროიკე, 2016: 3). თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მკვეთრი განსხვავებების მიუხედავად, ამ პერსპექტივებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირიც არსებობს (სავილიე-ტროიკე, 2016: 24).

## **§2. მეორე ენის ათვისების ლინგვისტური, ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები**

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, მეორე ენის სწავლისა და გამოყენების მიმართ ინტერესი მრავალი საუკუნის წინ გაჩნდა (იხ. მაკკარტი, 2001), თუმცა, ამ საკითხის ირგვლივ სისტემური თეორიებისა და მოდელების ჩამოყალიბება მხოლოდ და მხოლოდ 1960-იანი წლებიდან დაიწყო. აღნიშნული თეორიები და მოდელები მეორე ენის ათვისების უკეთ გააზრებაში გვეხმარება, ამისათვის საჭიროა გავიგოთ:

- ა) კონკრეტულად რას სწავლობს ადამიანი მეორე ენის ათვისების დროს? (*ლინგვისტური ასპექტი*);
- ბ) რა პროცესებს გაივლის ადამიანი მეორე ენის ათვისების დროს? (*ფსიქოლოგიური ასპექტი*);
- გ) რა განაპირობებს იმას, რომ მეორე ენის ათვისების დროს ზოგიერთი მეტად წარმატებულია, ზოგიერთი კი - ნაკლებად? (*სოციალური ასპექტი*) (პაპავა, 2008: 69).

ამ შეკითხვებზე ზუსტი პასუხების პოვნა შეუძლებელია, რადგანაც ისინი დღესაც მეცნიერული დავის საგანს წარმოადგენს. თვით მეორე ენის ათვისება (მეა), როგორც კვლევის დარგი კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ლინგვისტიკისა და ფსიქოლოგიის გზაჯვარედინზე დაიბადა და სხვადასხვა მეცნიერებასთან არის გადაჯაჭვული, რომელმაც არაერთ კონკრეტულ საკითხზე აქტიურ კვლევას დაუდო სათავე (სავილიე-ტროიკე, 2005).

მეორე ენის ათვისების კვლევების კატეგორიზაცია, ძირითადად, *ლინგვისტიკას*, *ფსიქოლოგიასა* და *სოციალურ მეცნიერებებს* ემყარება (სავილიე-ტროიკე, 2016: 25). ქვემოთ მოცემულ ქვეთავებში თითოეული ამ დისციპლინისთვის შესაბამის ასპექტებს წარმოგიდგენთ:

## 2.1. ლინგვისტური ასპექტები

1960-იანი წლებიდან მეორე ენის ათვისების კვლევებში ლინგვისტური პერსპექტივიდან აქცენტი ორ მნიშვნელოვან ასპექტზე კეთდებოდა. ესენია: *შინაგანი და გარეგანი აქცენტები* (სავილიე-ტროიკე, 2016: 25).

*შინაგანი აქცენტზე* მსჯელობისას, ეყრდნობიან ჩომსკისა და მის მიმდევრებს. ის საკვლევი მიზნების ჩამოყალიბებისას, ითვალისწინებს შემსწავლელების ენის შინაგან, საბაზისო ცოდნას ანუ ლინგვისტურ კომპეტენციას. შინაგანი აქცენტთან დაკავშირებით პირველ ლინგვისტურ საფუძველს ჩომსკის ტრანსფორმაციულ-გენერაციული გრამატიკა წარმოადგენს (ჩომსკი, 1957, 1965). იგი ამტკიცებდა ენის ათვისების ბიჰევიორისტული თეორიის მცდარობას, რადგან მას არ შესწევს უნარი, ახსნას ჩვენი ლინგვისტური შესაძლებლობების შემოქმედებითი ასპექტები. ვინაიდან, ჩომსკი აქცენტს აკეთებდა „ენის ათვისების ლოგიკურ პრობლემაზე“, ხაზს უსვამდა შემდეგი აუცილებელი პირობის გათვალისწინებას, რომ ბავშვები ენის ათვისებას იწყებენ თანდაყოლილი უნარებით. ეს მოსაზრება დღემდე ინარჩუნებს დომინანტურობას მეორე ენის ათვისების ლინგვისტური პერსპექტივების უმრავლესობისთვის (სავილიე-ტროიკე, 2016: 25).

მეორე ენის ათვისებისას „თანდაყოლილი უნარების“ აღწერაში გარკვეული სახის ცვლილებები შევიდა: გაითვალისწინეს ზოგადი პრინციპების აბსტრაქტული ცნებები, რომლებიც, როგორც უნივერსალური (კოგნიტური) გრამატიკის ნაწილი, საერთოა ყველა ენისათვის. მიღებული პროგრამა მეტ ყურადღებას უთმობს სპეციფიკურ აღწერებს, როგორც ლექსიკური ცოდნის შემადგენელ ნაწილს. არსებობს მეორე საკითხი, რომელიც ამ თეორიული მიდგომის ფარგლებში განიხილება, ეს არის: *ლინგვისტური ინტერფერენცია* ენის ისეთ მოდულებს შორის, როგორებიცაა: ლექსიკა და მორფოლოგია, სინტაქსი და სემანტიკა, სემანტიკა და დისკურსის პრაგმატიკა. ინტერფერენციის ზოგი მოვლენა გაცილებით პრობლემატურია მეორე ენის შემსწავლელთათვის და შესაძლებელია გამოიწვიოს განვითარების შეფერხება და ენების ინტერფერენცია (სავილიე-ტროიკე, 2016: 25).

მეორე ენის ათვისების *გარეგანი აქცენტების* შესახებ მიდგომაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფუნქციონალიზმმა, რომელმაც პრადის აღმოსავლეთ ევროპულ

სკოლაში მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიმკვიდრა ადგილი. ამ სკოლის წარმომადგენლები ჩომსკის ემიჯნებიან და ენას, პირველ ყოვლისა, საკომუნიკაციო სისტემად მოიაზრებენ. ამ მიდგომაში ზოგიერთი აქცენტს აკეთებს მსოფლიო ენებს შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებზე და მასთან აკავშირებს ენის შესწავლის სირთულეებს. ზოგიერთი კი, ათვისების პროცესს განიხილავს, როგორც ლინგვისტური ფუნქციებისა და ფორმების ურთიერთკავშირს, რასაც კომუნიკაციური საჭიროებები განსაზღვრავს. ზოგიც კიდევ, მნიშვნელოვნად აღიქვამს შემსწავლელის რეპერტუარში არსებულ უნარებს, რომელთა დახმარებითაც ის ახერხებს, მოახდინოს ინფორმაციის სტრუქტურირება მეორე ენის პროდუცირებისას. აღნიშნული, ფუნქციონალურ თეორიაზე დაფუძნებული მიდგომა, ლიდერი იყო მსოფლიო მასშტაბით არსებულ კვლევებში (სავილიე-ტროიკე, 2016: 26).

## 2.2. ფსიქოლოგიური ასპექტები

მეორე ენის ათვისების ფსიქოლოგიურ პერსპექტივაში სამი ძირითადი ასპექტი არსებობს: *ენა და ტვინი, სწავლის პროცესი და განსხვავებული შემსწავლელელები* (სავილიე-ტროიკე, 2016: 26). მოკლედ განვიხილოთ, რას მოიცავს თითოეული მათგანი:

მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, ბიოლოგები და ფსიქოლოგები იკვლევენ, თუ რა ადგილი უჭირავს **ენას ტვინში**. ლენზბერგი ამტკიცებდა, რომ არსებობს ენის ათვისების გადამწყვეტი პერიოდი; ამ თეორიას, რომელსაც ნეიროლინგვისტიკა უდევს საფუძვლად, დიდი წარმატება ხვდა წილად, ვინაიდან მეორე ენის ათვისების ასაკთან დაკავშირებული კვლევების უმეტესი ნაწილი სწორედ ამ კონცეფციას იშველიებდა (ლენზბერგი, 1967).

მეორე ენის ათვისების რამდენიმე მიდგომა ინფორმაციის დამუშავებას (IP - Information Processing) ეფუძნება. **სწავლის პროცესზე** ფოკუსირება განიცდის კომპიუტერზე დამყარებული ინფორმაციის დამუშავების ზეგავლენას, რომელიც 1960-იანი წლებში კოგნიტურ ფსიქოლოგიაში ჩამოყალიბდა. *დამუშავების შესაძლებლობა* აფართოებს IP კონცეფციას და იყენებს მას მეორე ენის სწავლების

პროცესში. *კონექციონიზმი* კი სწავლების პროცესთან დაკავშირებული კიდევ ერთი კოგნიტური კონცეფციაა, რომელიც 1980-იანი წლებისთვის დამკვიდრდა. ეს კონცეფცია სწავლის პროცესის მნიშვნელოვან ფაქტორად შენატანის ოდენობას განიხილავს და აყალიბებს მეორე ენის სწავლების კვლევებისთვის თეორიულ საფუძველს (სავილიე-ტროიკე, 2016: 26).

**განსხვავებული შემსწავლელი** - ეს საკითხი სათავეს იღებს ფსიქოლოგიაში არსებული ჰუმანისტური კონცეფციიდან და მის გარშემო მეორე ენის ათვისების პროცესში ყურადღება მახვილდებოდა, თუ რატომ არის ზოგი შემსწავლელი სხვებზე წარმატებული. ამ კონცეფციაში მიმოხილულია სწავლის პროცესში ემოციური ჩართულობის როლი, ზეგავლენის მოხდენის ფაქტორები: დამოკიდებულება, მოტივაცია და შიშის დონე, ასევე, ბიოლოგიური სხვაობები: ასაკი და სქესი (სავილიე-ტროიკე, 2016: 27).

კვლევებით დასტურდება, რომ საკომუნიკაციო სივრცეში კომუნიკაციური გრამატიკული კომპეტენციების განვითარება შესაძლებელია და მათზე გავლენას ახდენს სამიზნე ენაზე კომუნიკაციისა და ინტერაქციის დრო, მაშინ როდესაც აკადემიური უნარების განსავითარებლად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა კოგნიტური და პერსონალური უნარები და შესაძლებლობები (კუმინსი, 2016: 199).

XXI საუკუნეში ჩატარებული მთელი რიგი კვლევებისა, რომლებიც აგებულია მონო- და ბილინგვალური ბავშვების კოგნიტური განვითარების შედარებაზე, ეკუთვნის კანადელ მკვლევარს ელენ ბიალისტოკს (Ellen Bialystok). თავის შემაჯამებელ ნაშრომში (2016) იგი განიხილავს ბილინგვიზმს, როგორც უნიკალურ მოვლენას ბავშვის განვითარებაში კონტექსტუალურ და ექსპერიმენტალურ ცვლადთა შორის, რომელიც უნიკალურია სამი ნიშნის გამო: 1) თავისი გავრცელებულობის გამო (გროსჯენის 2010 წლის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის ნახევარზე მეტი ორენოვანია); 2) ენისა და კოგნიციის ურთიერთმიმართების ინტენსივობის გამო; 3) რამდენად განაწილებულია იგი განსხვავებულ სფეროებს შორის (ბიალისტოკი, 2016).

### 2.3. სოციალური ასპექტები

მეორე ენის ათვისების კვლევებში ამ პერსპექტივიდან არსებობს ორი ასპექტი: მიკროსოციალური და მაკროსოციალური (სავილიე-ტროიკე, 2016: 27).

**მიკროსოციალური აქცენტი** დაკავშირებულია ენის ათვისებასა და პროდუქციის, ინტერპრეტაციისა და ინტერაქციის სოციალურ კონტექსტებში გამოყენებასთან. ამ კონცეფციის მიმართ ინტერესი მეოცე საუკუნის 90-იან წლებში განახლდა. კონცეფციები, რომლებსაც ცვლილებებისა და აკომოდაციის თეორიები გვთავაზობს, შემსწავლელის მეტყველებაში სისტემური ცვლილებების შესწავლას მოიაზრებს, რაც დამოკიდებულია გამოყენების შინაარსზე. ამ თეორიაზე გავლენა მოახდინა ვიგოცკის სოციოკულტურულმა თეორიამ, რომლის მიხედვითაც, ინტერაქცია ენის გენეზის უდევს საფუძვლად (სავილიე-ტროიკე, 2016: 27).

**მაკროსოციალური აქცენტის** თანახმად, ენის ათვისებისა და გამოყენების პროცესი ფართო ეკოლოგიურ კონტექსტთან მჭიდრო კავშირშია და მოიცავს როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ და საგანმანათლებლო გარემოს (სავილიე-ტროიკე, 2016: 28).

ბილისტოკი (2016) კოგნიტურ პროცესებზე აქცენტირების პარალელურად, აღიარებს სოციალური ფაქტორის უმნიშვნელოვანეს როლს ბილინგვიზმის პრობლემის გადაჭრაში. ბილინგვიზმი არ არის შემოფარგლული მხოლოდ გარკვეული სოციოეკონომიკური სტატუსით ან პრივილეგირებული შესაძლებლობებით. მისი ყველაზე გავრცელებული ფორმა მომდინარეობს როგორც ბუნებრივი შედეგი იმისა, რომ სახლის ენა განსხვავდება გარშემო არსებული საზოგადოებრივი მოთხოვნებისაგან. ამიტომ, ბილინგვიზმი არის იდეალური თემა ბავშვის სოციალური განვითარების საკვლევადაც (ბილისტოკი, 2016).



### §3. ორი ენის ფლობის თეორია

ამ პარაგრაფში ვისაუბრებთ, თუ რა მოიაზრება ორი ენის ფლობაში; რას მოიცავს ენობრივი კომპეტენციები და როგორ შევუწყობთ ხელი მათ განვითარებას ორენოვან ბავშვებში? რა კავშირი არსებობს ენის ფლობასა და აკადემიურ წარმატებას შორის?

კვლევების მიხედვით, ადრეული ორენოვნება ხელს უწყობს ბავშვის კოგნიტურ და ფართო მეტაკოგნიტურ ცნობიერების განვითარებას. დადებითი მეტალინგვისტური და კოგნიტური ცნობიერება ვითარდება პირველი და მეორე ენების ინტერაქციის შედეგად წარმოქმნილი „საერთო ფუნდამენტური კომპეტენციების“ განვითარების გზით. ამ უკანასკნელის განვითარება ბილინგვური განათლების სხვადასხვა პროგრამით დასტურდება, რომლებიც ფოკუსირებულია უმცირესობათა წარმომადგენელ მოსწავლეებზე. კვლევებით, რომლებიც დაინტერესებულია ასაკისა და მეორე ენის ათვისების ურთიერთმიმართების შესწავლით და ოჯახში ორი ენის გამოყენების საკითხებით, დასტურდება მშობლიური ენის პოზიტიური გავლენა მეორე ენის ათვისებაზე.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არაერთი კვლევა ჩატარდა ორი ენის ფლობის ასპექტების გასაზომად. მაგალითად, სავილიე-ტროიკეს მიერ (1984) ჩატარებული კვლევა, რა დროსაც შეისწავლა მეორე ენის შემსწავლელთა აკადემიური მიღწევები და განსაზღვრა, მეორე ენის თუ რომელი ცვლადები განაპირობებდა მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებებს, სადაც იგი ასკვნის: „ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს განსხვავება კომუნიკაციურ სტრატეგიასა და უნარებს შორის, რომლებიც სჭირდება მოსწავლეს კომუნიკაციურ ინტერაქციასა და აკადემიურ უნარებს შორის, რომელთაც იგი გამოიყენებს აკადემიური წარმატებისთვის საკლასო ოთახში” (სავილიე-ტროიკე, 1984: 216).

ჩატარებულ კვლევათა მონაცემებზე დაყრდნობით იკვეთება ენის ფლობის ორი თეორიული პერსპექტივა: *ერთი დამოკიდებულია ენობრივ შენატანზე*, რომელიც გულისხმობს ინტერაქციის დროს და მოცულობას, ხოლო *მეორე - პიროვნულ მახასიათებლებზე*. ე.ი. საკომუნიკაციო სივრცეში შესაძლებელია კომუნიკაციური გრამატიკული კომპეტენციების განვითარება და მათზე გავლენას ახდენს სამიზნე ენაზე კომუნიკაციისა და ინტერაქციის დრო, მაშინ, როცა აკადემიური უნარების

განსავითარებლად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა კოგნიტური და პერსონალური უნარები. ამ უკანასკნელზე, დაფუძნებული ენის ფლობის მოდელი მიუთითებს, რომ ენების შესწავლა ურთიერთდამოკიდებულია და ეს პიროვნული მახასიათებლები ძალზედ მნიშვნელოვანია როგორც პირველი, ასევე მეორე ენის შესასწავლად. აგრეთვე, კოგნიტური განვითარების დონე, პიროვნული მახასიათებლები და არსებული უნარები განსაზღვრავს პირველი და მეორე ენის ათვისებას (კუმინსი & სვეინი, 2016: 195-200).

მრავალი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ენის ფლობის სტრუქტურის შეფასებისთვის, ფაქტორული ანალიზის მეთოდი ყველაზე მიზანშეწონილია. მაგალითად, ბახმანმა და პალმერმა (Bachman & Palmer) (1982) შეისწავლეს, თუ რამდენად კარგად არის გამიჯნული ერთმანეთისაგან უნარები და შესაძლებლობები ისეთ კომუნიკაციურ კომპეტენციებში, როგორებიცაა: გრამატიკული, სოციოლინგვისტური და პრაგმატული (ბახმანი & პალმერი, 1982).

ამ ორი ტიპის ენის ფლობას თუ შევაჯამებთ, მივიღებთ: **1)** საკომუნიკაციო და არასაკომუნიკაციო გარემოში ენობრივ-გრამატიკული უნარების განვითარება უფრო მეტად არის დამოკიდებული მეორე ენის მაქსიმალურ გამოყენებაზე და თანატოლებთან ინტერაქციის დროსა და მოცულობაზე, ვიდრე დისკურსული და სოციოლინგვისტური კომპეტენციების განვითარება; **2)** საკომუნიკაციო გარემოში ენობრივ-გრამატიკული კომპეტენციების განვითარება მეორე ენაში ნაკლებად არის დამოკიდებული ენის შემსწავლელის ინდივიდუალურ კოგნიტურ მახასიათებლებზე ან მშობლიურ ენაში გრამატიკული კომპეტენციების ფლობის დონეზე; ხოლო არასაკომუნიკაციო კოგნიტურ-აკადემიურ სივრცეში ენის შემსწავლელ კოგნიტურ და ინდივიდუალურ მახასიათებლებს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა, როგორც გრამატიკული, ისე სოციოლინგვისტური და დისკურსული კომპეტენციების განსავითარებლად (კუმინსი & სვეინი, 2016: 195-200).

### 3.1. როგორ განვავითაროთ ბილინგვალ მოზარდში ენობრივი კომპეტენციები?

ისმის კითხვა: როგორ განვავითაროთ ბილინგვალ მოზარდში ენობრივი კომპეტენციები? ორენოვანი ბავშვი შესაძლებელია მოხვდეს სკოლაში მონოლინგვურ გარემოში ან/და პირიქით - მონოლინგვალ ბავშვს მოუხდეს სკოლაში ორენოვან გარემოში სწავლა. სრულიად ბუნებრივია, რომ ბავშვის ენობრივი კომპეტენცია განსხვავებული იყოს სკოლაში სწავლის მთელი დროის განმავლობაში და ენის ფლობის დიაპაზონი ნულიდან იწყებოდეს, მაგრამ მთავრდებოდეს ენის გაწაფულად ფლობით და ეს მოიცავდეს: *ზეპირმეტყველებას, წერისა და კითხვის კომპონენტებს* ერთად. ამას გარდა, თითოეული ენა თითქმის ყოველთვის ასოცირდება რომელიმე კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფთან, რელიგიურ კუთვნილებასთან ან მოქალაქეობასთან, რაც საფუძველია იმისა, რომ ის განეკუთვნება შესაბამის *სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტატუსს* კონკრეტულ საზოგადოებაში (კუმინსი & სვეინი, 2016: ix).

მეორე ენის ათვისება შედარებით მარტივად და გაცილებით ნაყოფიერად მიმდინარეობს, როცა სასწავლო პროცესის მიმდინარეობას საფუძველად უდევს: *1. კომუნიკაციურ-ინტერაქტიული მიდგომა; 2. ენის, როგორც მთლიანობის ფილოსოფიური ხედვა; და 3. კონსტრუქტივისტული პედაგოგიკური პარადიგმა* (პაპავა, 2008: 70).

როგორც ცნობილია, სასაუბრო ენა და აკადემიური ენა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. კომუნიკაციური, მთლიანობითი და კონსტრუქტივისტული პარადიგმისათვის მნიშვნელოვანია ენობრივი შრეების კუმინსისეული დიფერენცირება. ამისთვის არსებობს ენობრივი კომპეტენციის ორი შრე. კუმინსმა (1979, 1981ა, 1984ა, 1984ბ, 2000ბ) სალაპარაკო და აკადემიური ენის გასამიჯნად შემდეგი ტერმინები გამოიყენა: *ძირითადი ინტერპერსონალური საკომუნიკაციო უნარები* (Basic Interpersonal Communicative Skills - BICS) (სხვაგვარად: *სიკუ: საბაზო ინტერპერსონალური საკომუნიკაციო უნარები*) და *კოგნიტური / აკადემიური ენის ფლობის უნარები* (Cognitive Academic Language Proficiency - CALP) (სხვაგვარად: *კალუ: კოგნიტურ-აკადემიური ლინგვისტური უნარები*). BICS განვითარება უფრო ადვილად ხდება, როცა შესაბამისი ენობრივი გარემოა შექმნილი, რაც „ჩასმული

კონტექსტის” სახელწოდებითაცაა ცნობილი. CALP-ის განვითარება კი უფრო მეტად აკადემიურ გარემოში, „შემცირებულ კონტექსტში” მიმდინარეობს. CALP-ი მოითხოვს უფრო მაღალი კოგნიტური განვითარების დონეს (ანალიზი, სინთეზი, შეფასება) (ბეიკერი, 2010: 178-180; <http://www.iteachilearn.com/cummins/bicscalp.%20html>).

კუმინსის CALP და BICS-ის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად გამოიყენება აისბერგის დიაგრამა, სადაც ძირითადი ინტერპერსონალური საკომუნიკაციო უნარები (ლექსიკა, წარმოთქმა, გრამატიკა) ზედაპირზეა, ხოლო აკადემიური უნარები (სემანტიკური და ფუნქციური მნიშვნელობა) ზედაპირს ქვევით არის წარმოდგენილი. კუმინსის მიერ გაკეთებულ გამიჯვნას დიდი ღირებულება ჰქონდა სტრატეგიისა და პრაქტიკისთვის, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უმცირესობათა ბავშვების სასკოლო წარუმატებლობის გასააზრებლად. ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ სხვადასხვა ბილინგვურ პროგრამებში მოსწავლეები აღწევდნენ გარკვეულ ენობრივ კომპეტენციას და ითვლებოდა, რომ შესაძლებელი იყო მათ უკვე საგნები აეთვისებინათ მხოლოდ ინგლისურ ენაზე, რაც განაპირობებდა ამ მოსწავლეების წარუმატებლობას. კუმინსი (1984) აღნიშნავდა, რომ ამ მოსწავლეებს არ მიუღწევიათ საკმარისი ენობრივი კომპეტენციისთვის, რათა შეძლონ სასწავლო მასალის ათვისება. შესაბამისად, მისი მიდგომა იყო, რომ მოსწავლეებმა ჯერ უნდა განავითარონ საჭირო ლინგვისტურ-კოგნიტური უნარები და შემდგომ მოხდეს მათ მიერ მეორე ენაზე სასწავლო მასალის ათვისება. ლინგვისტურ-კოგნიტური საბაზისო უნარების განვითარებას კი კუმინსი შესაძლებლად მიიჩნევს ან მშობლიურ ან მეორე ენაზე ან ორივე ენაზე სინქრონიულად (ბეიკერი, 2010: 177-181).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მშობლიური ენის ათვისება მიმდინარეობს არა იმიტაციისა და წახალისების (ბიჰევიორისტული პარადიგმა), არამედ ცდისა და კონსტრუირების (სოციალურ-კონსტრუქტივისტული პარადიგმა) გზით (ტრასკი, 2004) (როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამ ყველაფრის სათავე „სწავლასა” და „ათვისებას” შორის არსებული სიღრმისეული განსხვავებაა, რასაც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ფსიქოლინგვისტიკაში ჩატარებულმა კვლევამ გაუსვა ხაზი, კერძოდ კი, ბავშვის მიერ მშობლიური ენის ათვისების თავისებურებების აღმოჩენამ). აღმოჩნდა,

რომ მოცემული ენის ფარგლებში, ყველა ბავშვი, დაბადებიდან ხუთ წლამდე ასაკში ზუსტი თანმიმდევრობით აკონსტრუირებს ენობრივ წესებს ისე, რომ 5-6 წლის ასაკში მშობლიური ენის გრამატიკის დაახლოებით 97%-ს უშეცდომოდ იყენებს. რა განაპირობებს ამ არაჩვეულებრივ წარმატებას? ძირითადად, სამი რამ: **1)** მშობლები და ოჯახის სხვა წევრები, როგორც წესი, ბავშვებს არ უსწორებენ უზუსტოდ გამოთქმულ ფრაზებს (ამის გაკეთებას აზრიც არ ექნებოდა). **2)** მშობლიური ენის დაუფლება ბუნებრივ, არაფორმალურ გარემოში მიმდინარეობს. **3)** ენა, რომელიც ბავშვისთვის, როგორც წესი, გარკვეული ფუნქციისა და მნიშვნელობის მატარებელია. საზოგადოდ, ადრეულ ბავშვობაში მიმდინარე ენის ათვისება იმ მთავარი მახასიათებლით გამოირჩევა, რომელსაც „ავტენტურობას“ ვუწოდებთ (პაპავა, 2008: 69-70).

სლობინის აზრით, ყველა ნორმალური ბავშვი აგებს (იშენებს) თავისთვის (Constructs for himself) მშობლიური ენის გრამატიკას. განვითარების ფსიქოლინგვისტიკა ცდილობს იმ რთული მოვლენების აღწერასა და ახსნას, რომლებიც ამ მარტივი ფაქტის უკან დგას. გრამატიკის დასაუფლებლად ბავშვს სჭირდა ორი რამ: **1)** იმ კოგნიტური და სოციალური მოვლენების შეცნობა, რომლებიც გადაეცემა ენის საშუალებით; და **2)** ენობრივი ინფორმაციის გადამუშავების და შენახვის უნარი (სლობინი, 1973: 180).

თითქმის 40 ენის განვითარების შედარებითი ანალიზის შედეგად სლობინი (1999) ასკვნის, რომ მშობლიური ენის გრამატიკის დაუფლების უნივერსალური კანონზომიერება იგება მეტყველების ფუნქციისა და ფორმის ურთიერთმიმართებაზე. უზნაძეც „ბავშვის ფსიქოლოგიაში“ (1947) ადასტურებს ბავშვის მეტყველების ანალოგიურ ფუნქციონალურ დატვირთვას.

ჩნდება კითხვა: თუ ენაში აღნიშნული ფუნქციების თანმიმდევრობა განისაზღვრება კოგნიტური განვითარებით, ახასიათებს თუ არა ასეთივე უნივერსალობა ენობრივი ფორმების განვითარებას? სლობინმა (1999) აღმოაჩინა ფორმების დაუფლების თანმიმდევრობის კანონზომიერება - კოგნიტური სირთულის გარდა არსებობს წმინდა ენობრივი სირთულე: სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ბავშვი ერთი და იმავე შინაარსის გამოხატვას სხვადასხვა დროს ეუფლება მისი ენისათვის

ა) წინადადებების სიგრძე; ბ) არსებითი სახელი-ზმნის (N-V) წყვილების შედარება; გ) 'WH' Questions - რაც არის კითხვები (ანუ კითხვითი სიტყვებით დაწყებული კითხვითი წინადადებები; დ) ზმნის დრო; ე) ნაცვალსახელების რაოდენობა და მათი გამოყენების მართებულობა (ჩვენს შემთხვევაში, საინტერესოა, თხრობის დროს მთავარი მოქმედი გმირის, ბიჭუნას ნაცვლად გამოყენებულ ნაცვალსახელთა რაოდენობა); ვ) სივრცითი მიმართებები (ზმნისწინებით ნაწარმოები ზმნები) ქვემოთ მოცემულ ცხრილებში 5, 6, 7, 8, წარმოდგენილია როგორც ქართველ-ბერძენი და პონტოელ ბერძენ-ქართველი ბილინგვალების, ისე ბერძენი და ქართველი მონოლინგვალების მონათხრობთა მაჩვენებლები; იქვე თვალსაჩინოებისთვის მოცემულია ორი ქართველ-ბერძენი ბილინგვალის ნარატივები ქართულ და ახალბერძნულ ენებზე.

---

<sup>17</sup> *Ttr ფორმულა* ეკუთვნის ფსიქოლინგვისტიკის პირველ ავტორს, ამერიკელ ფსიქოლოგს, ილინოისის უნივერსიტეტის (University of Illinois) პროფესორს ჩარლზ ოსგუდს (Charles Egerton Osgood, 1916–1991 წწ.), რომელიც აღიარებული და დამსახურებული ფსიქოლოგი იყო მთელი თავისი სამეცნიერო კარიერის განმავლობაში. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ფსიქოლინგვისტიკის ადრეულ განვითარებაში.

3. *კოდების გადართვა (CS)*, რომელიც გულისხმობს ჩართული სიტყვების რაოდენობას, თუ რამდენჯერ მოხდა ქართველ-ბერძენი და პონტოელ ბერძენ-ქართველი ბილინგვალეების მხრიდან მათ მიერ წარმოებულ ქართულ და ახალბერძნულ ნარატივებში ერთი მხრივ, ახალბერძნული და მეორე მხრივ, ქართული ენიდან სიტყვ(ებ)ის, ფრაზების თუ წინადადებების ჩართვა. აღსანიშნავია, რომ ქართველ მონოლინგვალეებთან კოდის გადართვა რამდენიმეჯერ მოხდა რუსულ ენაზე, თუმცა, ჩვენ ამ შემთხვევებზე ყურადღებას არ გავამახვილებთ, ვინაიდან ჩვენი ნაშრომის საკვლევი მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენთვის შესწავლის ობიექტი და საგანი ბერძნულ-ქართული ენების ურთიერთობაა. აქვე დავსძენთ, რომ რასაკვირველია, ბერძენ მონოლინგვალთა ნარატივებში კოდის გადართვის შემთხვევა არ გვაქვს, რაც ლოგიკური მიზეზებითაა განპირობებული, მათ შეხება არ აქვთ და მათთვის სრულიად უცხოა ქართული ენა.

I და II ჯგუფების პირველ ქვეჯგუფებში შემავალ ცდისპირთა ქართულ ენაზე შესრულებულ ნარატივებში გამოვლენილი კოდის გადართვის შემთხვევები და მათი პროცენტული მაჩვენებლები კი ასახულია ქვემოთ მოცემულ შესაბამის ცხრილში (იხ. ცხრილი 13).

ზემოაღნიშნული I და II ჯგუფების მეორე ქვეჯგუფებში შემავალ იგივე ცდის პირთა ახალბერძნულ ნარატივებში კი კოდის გადართვის შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

ქვემოთ, საილუსტრაციოდ წარმოდგენილ ერთ-ერთი ბილინგვალე უმცროსკლასელის ქართულ ნარატივში კოდის გადართვის (CS) შემთხვევები ნაჩვენებია გამუქებული შრიფტით.



ცხრილი 1. ქართველ-ბერძენ ბილინგვალ ნარატორთა ლექსიკის შედარება

ლექსიკური სიმდიდრის გამოთვლა ფორმულით - Ttr (Type token ratio)						
ბილინგვალ ბავშვები (ტიპური ენობრივი განვითარებით - TLD)						
ნარატივები ქართულ და ახალ-ბერძნულ ენებზე	№	ნარატორები	T - ერთჯერადად გამოყენებული სიტყვების რაოდ.	t - სიტყვების მთლიანი რაოდენობა	r - T-სა და t-ს თანაფარდობა	
ნარატივები ქართულ ენაზე	1	ალექსი (8,9 წ.)	24 სიტყვა	206 სიტყვა	0.12	
	2	თაზო (9,9 წ.)	18 სიტყვა	159 სიტყვა	0.11	
	3	ლაზარე (8,3 წ.)	24 სიტყვა	194 სიტყვა	0.12	
	4	ლუკა (9,8 წ.)	17 სიტყვა	220 სიტყვა	0.08	
	5	ლუკა (10 წ.)	25 სიტყვა	140 სიტყვა	0.18	
	6	მარიამი (9,6 წ.)	23 სიტყვა	114 სიტყვა	0.2	
	7	ლიზი (9,7 წ.)	22 სიტყვა	114 სიტყვა	0.19	
	8	ელენე (9,9 წ.)	24 სიტყვა	171 სიტყვა	0.14	
	9	ელენე (9 წ.)	17 სიტყვა	171 სიტყვა	0.1	
	10	მარიამი (7 წ.)	13 სიტყვა	107 სიტყვა	0.12	
	11	ანასტასია (7 წ.)	20 სიტყვა	262 სიტყვა	0.08	
	12	ენრიკე (6,9 წ.)	14 სიტყვა	159 სიტყვა	0.09	
	13	საბა (8 წ.)	13 სიტყვა	113 სიტყვა	0.11	
	14	ალექსანდრე (6,6 წ.)	10 სიტყვა	114 სიტყვა	0.09	
	15	ლიზი (7,1 წ.)	14 სიტყვა	164 სიტყვა	0.08	
	16	ამალი (7,11 წ.)	14 სიტყვა	189 სიტყვა	0.07	
	17	ვივიანი (7,7 წ.)	23 სიტყვა	146 სიტყვა	0.16	
	<b>მამით ბერძენი ბილინგვალეები</b>					
	18	მარკო (9,2 წ.)	21 სიტყვა	180 სიტყვა	0.12	
	19	გიორგოს (8,6 წ.)	14 სიტყვა	108 სიტყვა	0.13	
20	მარია (6,10 წ.)	18 სიტყვა	122 სიტყვა	0.15		
		<b>ცდის პირთა რაოდენობა</b>	<b>სიტყვათა რაოდენობის ჯამი</b>	<b>M - სიტყვების საშუალო მაჩვ.</b>	<b>Ttr-ის საშუალო მაჩვენებელი</b>	
		<b>20</b>	<b>3153</b>	<b>157.65</b>	<b>2.44</b>	
ნარატივები ქართულ და ახალ-ბერძნულ ენებზე	№	ნარატორები	T - ერთჯერადად გამოყენებული სიტყვების რაოდ.	t - სიტყვების მთლიანი რაოდენობა	r - T-სა და t-ს თანაფარდობა	
ნარატივები ახალბერძნულ	1	ალექსი (8,9 წ.)	10 სიტყვა	244 სიტყვა	0.04	
	2	თაზო (9,9 წ.)	11 სიტყვა	178 სიტყვა	0.06	
	3	ლაზარე (8,3 წ.)	18 სიტყვა	209 სიტყვა	0.09	
	4	ლუკა (9,8 წ.)	25 სიტყვა	175 სიტყვა	0.14	
	5	ლუკა (10 წ.)	7 სიტყვა	180 სიტყვა	0.04	
	6	მარიამი (9,6 წ.)	16 სიტყვა	178 სიტყვა	0.09	
	7	ლიზი (9,7 წ.)	20 სიტყვა	189 სიტყვა	0.1	
	8	ელენე (9,9 წ.)	18 სიტყვა	231 სიტყვა	0.08	
	9	ელენე (9 წ.)	9 სიტყვა	156 სიტყვა	0.06	
	10	მარიამი (7 წ.)	5 სიტყვა	191 სიტყვა	0.03	
	11	ანასტასია (7 წ.)	20 სიტყვა	165 სიტყვა	0.12	

ენაზე	12	ენრიკე (6,9 წ.)	16 სიტყვა	212 სიტყვა	0.07
	13	საბა (8 წ.)	10 სიტყვა	166 სიტყვა	0.06
	14	ალექსანდრე (6,6 წ.)	14 სიტყვა	136 სიტყვა	0.1
	15	ლიზი (7,1 წ.)	17 სიტყვა	218 სიტყვა	0.08
	16	ამალი (7,11 წ.)	16 სიტყვა	208 სიტყვა	0.08
	17	ვივიანი (7,7 წ.)	13 სიტყვა	144 სიტყვა	0.09
		<b>მამით ბერძენი ბილინგვალები</b>			
	18	მარკო (9,2 წ.)	18 სიტყვა	246 სიტყვა	0.07
	19	გიორგოს (8,6 წ.)	15 სიტყვა	175 სიტყვა	0.08
	20	მარია (6,10 წ.)	20 სიტყვა	167 სიტყვა	0.12
		<b>ცდის პირთა რაოდენობა</b>	<b>სიტყვათა რაოდენობის ჯამი</b>	<b>M - სიტყვების საშუალო მაჩვ.</b>	<b>Ttr-ის საშუალო მაჩვენებელი</b>
		<b>20</b>	<b>3768</b>	<b>188.4</b>	<b>1.6</b>

ცხრილი 2. პონტოელ ბერძენ-ქართველ ბილინგვალ ნარატორთა ლექსიკის შედარება

ლექსიკური სიმდიდრის გამოთვლა ფორმულით - Ttr (Type token ratio) ბილინგვალი ბავშვები (ტიპური ენობრივი განვითარებით - TLD)					
ნარატივები ქართულ და ახალ- ბერძნულ ენებზე	№	ნარატორები	T - ერთჯერადად გამოყენებული სიტყვების რაოდ.	t - სიტყვების მთლიანი რაოდენობა	r - T-სა და t-ს თანაფარდობა
ნარატივები ქართულ ენაზე	1	გიორგი (8 წ.)	22 სიტყვა	143 სიტყვა	0.15
	2	ოლგა (9,1 წ.)	18 სიტყვა	133 სიტყვა	0.13
	3	მარიამი (7,3 წ.)	24 სიტყვა	147 სიტყვა	0.16
		<b>ცდის პირთა რაოდენობა</b>	<b>სიტყვათა რაოდენობის ჯამი</b>	<b>M - სიტყვების საშუალო მაჩვ.</b>	<b>Ttr-ის საშუალო მაჩვენებელი</b>
		<b>3</b>	<b>423</b>	<b>141</b>	<b>0.44</b>
ნარატივები ახალბერძნულ ენაზე	1	გიორგი (8 წ.)	20 სიტყვა	197 სიტყვა	0.1
	2	ოლგა (9,1 წ.)	27 სიტყვა	178 სიტყვა	0.15
	3	მარიამი (7,3 წ.)	27 სიტყვა	171 სიტყვა	0.16
		<b>ცდის პირთა რაოდენობა</b>	<b>სიტყვათა რაოდენობის ჯამი</b>	<b>M - სიტყვების საშუალო მაჩვ.</b>	<b>Ttr-ის საშუალო მაჩვენებელი</b>
		<b>3</b>	<b>546</b>	<b>182</b>	<b>0.41</b>

ცხრილი 3. ბერძენ მონოლინგვალ ნარატორთა ლექსიკის შედარება

ლექსიკური სიმდიდრის გამოთვლა ფორმულით - Ttr (Type token ratio)					
მონოლინგვალ ბავშვები (ტიპური ენობრივი განვითარებით - TLD)					
ნარატივები ახალბერძნულ ენაზე	№	ნარატორები	T - ერთჯერადად გამოყენებული სიტყვების რაოდ.	t - სიტყვების მოლიანი რაოდენობა	r - T-სა და t-ს თანაფარდობა
ნარატივები ახალბერძნულ ენაზე	1	გიორგოს (8 წ.)	14 სიტყვა	198 სიტყვა	0.07
	2	მაგია (9 წ.)	20 სიტყვა	257 სიტყვა	0.08
	3	იოლი (6 წ.)	39 სიტყვა	249 სიტყვა	0.16
	4	იანის (8 წ.)	15 სიტყვა	221 სიტყვა	0.07
	5	სავას (10 წ.)	25 სიტყვა	222 სიტყვა	0.11
	6	ნიკოლას (6 წ.)	25 სიტყვა	211 სიტყვა	0.12
	7	რაფაელა (10 წ.)	42 სიტყვა	246 სიტყვა	0.17
	8	გიორგოს (8 წ.)	18 სიტყვა	204 სიტყვა	0.09
	9	კატერინა (10 წ.)	43 სიტყვა	368 სიტყვა	0.12
	10	არის (8 წ.)	30 სიტყვა	313 სიტყვა	0.09
	11	იანის (8 წ.)	22 სიტყვა	176 სიტყვა	0.12
	12	პანაიოტის (7 წ.)	19 სიტყვა	188 სიტყვა	0.1
	13	კოსტას (9 წ.)	16 სიტყვა	185 სიტყვა	0.09
	14	დიმიტრის (7 წ.)	22 სიტყვა	176 სიტყვა	0.12
	15	ალექსანდრა (6 წ.)	21 სიტყვა	138 სიტყვა	0.15
	16	ელენა (9 წ.)	23 სიტყვა	167 სიტყვა	0.14
	17	ალექსანდროს (7 წ.)	26 სიტყვა	185 სიტყვა	0.14
	18	კოსტას (10 წ.)	26 სიტყვა	215 სიტყვა	0.12
	19	იანის (10 წ.)	35 სიტყვა	206 სიტყვა	0.17
	20	ნიკოლეტა (8 წ.)	23 სიტყვა	185 სიტყვა	0.12
		<b>ცდის პირთა რაოდენობა</b>	<b>სიტყვათა რაოდენობის ჯამი</b>	<b>M - სიტყვების საშუალო მაჩვ.</b>	<b>Ttr-ის საშუალო მაჩვენებელი</b>
		<b>20</b>	<b>4310</b>	<b>215.5</b>	<b>2.35</b>

ცხრილი 4. ქართველ მონოლინგვალ ნარატორთა ლექსიკის შედარება (პროფ. ნ. იმედაძის კვლევა)

ლექსიკური სიმდიდრის გამოთვლა ფორმულით - Ttr (Type token ratio) მონოლინგვალ ბავშვები (ტიპური ენობრივი განვითარებით - TLD)						
ნარატივები ქართულ ენაზე	№	ნარატორები	T - ერთჯერადად გამოყენებული სიტყვების რაოდ.	t - სიტყვების მთლიანი რაოდენობა	r - T-სა და t-ს თანაფარდობა	
ნარატივები ქართულ ენაზე	1	ნინო (8 წ.)	49 სიტყვა	164 სიტყვა	0.3	
	2	გიორგი (9,4 წ.)	19 სიტყვა	128 სიტყვა	0.15	
	3	ნელი (10 წ.)	39 სიტყვა	184 სიტყვა	0.21	
	4	ბიჭიკო (9,2 წ.)	27 სიტყვა	128 სიტყვა	0.21	
	5	გიორგი (10 წ.)	30 სიტყვა	176 სიტყვა	0.17	
	6	თენგი (7 წ.)	34 სიტყვა	128 სიტყვა	0.26	
	7	გიორგი (6 წ.)	24 სიტყვა	146 სიტყვა	0.16	
	8	ლიზი (9 წ.)	32 სიტყვა	128 სიტყვა	0.25	
			ცდის პირთა რაოდენობა	სიტყვათა რაოდენობის ჯამი	M - სიტყვების საშუალო მაჩვ.	Ttr-ის საშუალო მაჩვენებელი
			8	1182	147.75	1.71

ცხრილი 5. მორფოსინტაქსური შედარება ქართველ-ბერძენ ბილინგვალ ნარატორებთან

მორფოსინტაქსური შედარება									
ნარატივები ქართ. და ახალ-ბერძ. ენებზე	№	ნარატორები	წინ-ის სიგრძე	N-V	'WH' Questions კითხვითი წინ-ები	ზმნის დრო		ნაცვალ. რაოდ.	სივრცითი მიმართებები (ზმნისწინიანი)
						ახლ.	წარს.		
ნარატივები ქართულ ენაზე	1	ალექსი (8,9 წ.)	6-7 სიტ	31	0	70%	20%	2	7
	2	თაზო (9,9 წ.)	6-7 სიტ	26	0	50%	50%	1	6
	3	ლაზარე (8,3 წ.)	5-6 სიტ	34	0	65%	25%	2	18
	4	ლუკა (9,8 წ.)	7-8 სიტ	31	0	60%	40%	5	13
	5	ლუკა (10 წ.)	7-8 სიტ	26	0	50%	50%	0	16
	6	მარიამი (9,6 წ.)	4-5 სიტ	18	0	40%	60%	3	12
	7	ლიზი (9,7 წ.)	8-9 სიტ	22	0	45%	50%	12	12
	8	ელენე (9,9 წ.)	10-11 სიტ	28	0	90%	10%	2	7
	9	ელენე (9 წ.)	4-5 სიტ	22	0	8%	90%	0	10
	10	მარიამი (7 წ.)	3-4 სიტ	27	0	85%	15%	0	8
	11	ანასტასია (7 წ.)	9-10 სიტ	16	1	20%	70%	31	13
	12	ენრიკე (6,9 წ.)	4-5 სიტ	12	1	5%	95%	3	9
	13	საბა (8 წ.)	7-8 სიტ	25	1	35%	65%	2	15
	14	ალექს-რე (6,6 წ.)	7-8 სიტ	10	0	60%	40%	2	8
	15	ლიზი (7,1 წ.)	7-8 სიტ	19	0	90%	10%	2	8
	16	ამალი (7,11 წ.)	8-9 სიტ	15	0	30%	60%	5	17
	17	ვივიანი (7,7 წ.)	9-10 სიტ	14	0	5%	95%	5	13

		მამით ბერძენი ბილინგვალები									
		18	მარკო (9,2 წ.)	10-11 სიტ	20	1	85%	15%	1	11	
		19	გიორგოს (8,6 წ.)	8-9 სიტ	25	1	40%	60%	0	12	
		20	მარია (6,10 წ.)	7-8 სიტ	21	2	90%	10%	0	11	
ნარატივები ქართ. და ახალ-ბერძ. ენებზე	№	ნარატორები	წინ-ის სიგრძე	N-V	'WH' Questions კითხვითი წინ-ები	ზმნის დრო		ნაცვალ. რაოდ.	სივრცითი მიმართებები (ზმნისწინიანი)		
						ახლ.	წარს.				
ნარატივები ახალბერძნულ ენაზე	1	ალექსი (8,9 წ.)	6-7 სიტ	22	0	60%	40%	0	3		
	2	თაზო (9,9 წ.)	6-7 სიტ	24	0	60%	40%	0	1		
	3	ლაზარე (8,3 წ.)	5-6 სიტ	30	0	80%	20%	0	2		
	4	ლუკა (9,8 წ.)	7-8 სიტ	24	0	55%	45%	1	2		
	5	ლუკა (10 წ.)	7-8 სიტ	23	0	50%	50%	0	3		
	6	მარიამი (9,6 წ.)	7-8 სიტ	16	0	20%	80%	0	2		
	7	ლიზი (9,7 წ.)	9-10 სიტ	13	0	10%	90%	1	0		
	8	ელენე (9,9 წ.)	11-12 სიტ	29	0	0 %	100%	2	1		
	9	ელენე (9 წ.)	7-8 სიტ	9	0	0%	100%	0	2		
	10	მარიამი (7 წ.)	7-8 სიტ	15	0	50%	50%	1	0		
	11	ანასტასია (7 წ.)	8-9 სიტ	8	1	10%	90%	1	1		
	12	ენრიკე (6,9 წ.)	9-10 სიტ	21	1	5%	95%	0	1		
	13	საბა (8 წ.)	8-9 სიტ	29	0	80%	20%	0	2		
	14	ალექს-რე (6,6 წ.)	11-12 სიტ	8	0	0%	100%	0	1		
	15	ლიზი (7,1 წ.)	12-13 სიტ	22	0	80%	20%	0	2		
	16	ამალი (7,11 წ.)	9-10 სიტ	25	0	90%	10%	0	0		
	17	ვივიანი (7,7 წ.)	6-7 სიტ	11	0	90%	10%	1	2		
			მამით ბერძენი ბილინგვალები								
			18	მარკო (9,2 წ.)	10-11 სიტ	22	1	90%	10%	2	1
			19	გიორგოს (8,6 წ.)	12-13 სიტ	26	1	95%	5%	5	1
		20	მარია (6,10 წ.)	13-14 სიტ	18	1	5%	95%	3	1	

ცხრილი 6. მორფოსინტაქსური შედარება პონტოელ ბერძენ-ქართველ ბილინგვალ ნარატორებთან

მორფოსინტაქსური შედარება									
ნარატივები ქართულ და ახალბერძნულ ენებზე	№	ნარატორები	წინ-ის სიგრძე	N-V	'WH' Questions კითხვითი წინ-ები	ზმნის დრო		ნაცვალ. რაოდ.	სივრცითი მიმართებები (ზმნისწინიანი)
						ახლ.	წარს.		
ნარატივები ქართულ ენაზე	1	გიორგი (8 წ.)	5-6 სიტ	20	1	40%	60%	3	20
	2	ოლგა (9,1 წ.)	6-7 სიტ	20	1	50%	50%	3	11
	3	მარიამი (7,3 წ.)	7-8 სიტ	21	1	95%	5%	1	13
ნარატივები ახალბერძნულ ენაზე	1	გიორგი (8 წ.)	9-10 სიტ	19	1	90%	10%	3	2
	2	ოლგა (9,1 წ.)	10-11 სიტ	22	1	95%	5%	4	1
	3	მარიამი (7,3 წ.)	9-10 სიტ	25	1	20%	80%	5	1

ცხრილი 7. მორფოსინტაქსური შედარება ბერძენ მონოლინგვალ ნარატორებთან

მორფოსინტაქსური შედარება									
ნარატივები ახალბერძნულ ენაზე	№	ნარატორები	წინ-ის სიგრძე	N-V	'WH' Questions კითხვითი წინ-ები	ზმნის დრო		ნაცვალ. რაოდ.	სივრცითი მიმართებები (ზმნისწინიანი)
						ახლ.	წარს.		
ნარატივები ახალბერძნულ ენაზე	1	გიორგოს (8 წ.)	11-12 სიტ	17	0	90%	10%	5	0
	2	მაგია (9 წ.)	7-8 სიტ	22	0	80%	20%	8	2
	3	იოლი (6 წ.)	9-10 სიტ	18	0	100%	0%	4	1
	4	იანის (8 წ.)	9-10 სიტ	24	0	95%	5%	8	2
	5	სავას (10 წ.)	9-10 სიტ	15	4	95%	5%	6	3
	6	ნიკოლას (6 წ.)	8-9 სიტ	13	0	85%	15%	5	3
	7	რაფაელა (10 წ.)	13-14 სიტ	16	0	70%	30%	5	2
	8	გიორგოს (8 წ.)	8-9 სიტ	14	0	95%	5%	12	1
	9	კატერინა (10 წ.)	10-11 სიტ	28	0	70%	30%	4	4
	10	არის (8 წ.)	11-12 სიტ	33	0	90%	10%	8	0
	11	იანის (8 წ.)	6-7 სიტ	17	0	70%	30%	1	2
	12	პანაიოტის (7 წ.)	8-9 სიტ	7	1	95%	5%	5	3
	13	კოსტას (9 წ.)	9-10 სიტ	18	1	100%	0%	5	5
	14	დიმიტრის (7 წ.)	6-7 სიტ	16	0	90%	10%	4	2
	15	ალექსანდრა (6 წ.)	6-7 სიტ	11	0	20%	80%	1	1
	16	ელენა (9 წ.)	7-8 სიტ	8	1	90%	10%	8	1
	17	ალექს.-როს (7 წ.)	8-9 სიტ	14	1	80%	20%	5	2
	18	კოსტას (10 წ.)	9-10 სიტ	20	3	90%	10%	9	3
	19	იანის (10 წ.)	13-14 სიტ	17	0	70%	30%	7	1
	20	ნიკოლეტა (8 წ.)	9-10 სიტ	20	1	90%	10%	8	1

ცხრილი 8. მორფოსინტაქსური შედარება ქართველ მონოლინგვალ ნარატორებთან (პროფ. ნ. იმედაძის კვლევა)

მორფოსინტაქსური შედარება									
ნარატივები ქართულ ენაზე	№	ნარატორები	წინ-ის სიგრძე	N-V	'WH' Questions კითხვითი წინ-ები	ზმნის დრო		ნაცვალ. რაოდ.	სივრცითი მიმართებები (ზმნისწინიანი)
						ახლ.	წარს.		
ნარატივები ქართულ ენაზე	1	ნინო (8 წ.)	5-6 სიტ	22	0	0%	100%	0	26
	2	გიორგი (9,4 წ.)	3-4 სიტ	31	0	50%	50%	1	25
	3	ნელი (10 წ.)	6-7 სიტ	17	0	0%	100%	0	34
	4	ბიჭიკო (9,2 წ.)	6-7 სიტ	12	1	0%	100%	2	22
	5	გიორგი (10 წ.)	6-7 სიტ	23	1	10%	90%	5	31
	6	თენგი (7 წ.)	5-6 სიტ	12	0	0%	100%	0	22
	7	გიორგი (6 წ.)	5-6 სიტ	22	0	0%	100%	3	21
	8	ლიზი (9 წ.)	5-6 სიტ	16	0	0%	100%	2	23



## ქართველ-ბერძენი ბილინგვალური ბავშვების ნარატივების ნიმუშები ქართულ და ახალბერძნულ ენებზე

### №1.

*შენიშვნა: ქვემოთ მოყვანილ ცდის პირთა ნარატივების ნიმუშებში ბავშვის ასაკი აღინიშნება შემდეგნაირად: 1) თაზო. (9;9;1) - სადაც 9 წელია, 9 - თვე, 1 კი - დღე; 2) Τάζο. (9;9;8) - სადაც 9 წელია, 9 - თვე, 8 კი - დღე.*

ერთი ბავშვი ჯდას სკამზე და უყურებს ძაღლს და ბაყაყს. ძაღლი აყუდებულია ქილაზე და ეძებს ბაყაყს. ბავშვს სძინავს და ძაღლი, არაა, არა, ბაყაყი არის გაკვეთებული. ძაღლი არის ბავშვის ზემოთ. წევს. ბავშვი წევს. აქ გადაფარებული ადიელა და ძაღლი აწევს ზემოდან. ბაყაყი არის ქილაში... არა გაიქცა. ბავშვი გაიხედა გარეთ და ყვირის რო მიშველეთ, მიშველეთ... და ძაღლიც იქ გაკვეთებული თავში, თავი ქილაში. ძაღლი... ძაღლმა დაინახა... ბაყაყს ეძებენ ძაღლი და ადამიანი..., ბავშვი და ეძახიან. ბავშვი ეძებს ტრიპაში ჩათხრილი რაღაცაში და ძაღლმა დაინახა სკა, ფუტკრების სკა. ძაღლი არის აყუდებული ხეზე და სკა არის ჩამოვარდნილი. ბავშვი ადის ხეზე. ბავშვმა ჩამოვარდა და ერთმა ბუმ ჩამოვარდა ბავშვი და ძაღლი გარბის. ფუტკრები ეკიდებიან ძაღლს. ძაღლი..., ეე... ადამიანი ყვირის: ბაყაყო, ბაყაყო და ძაღლი იმალება. ეე ბავშვმა ავიდა ირემზე და ძაღლი გარბის. ბავშვმა ჩამოვარდა და ძაღლიც ვარდება. ჩამოვარდა კლდიდან... არა... ირემიდან. ბავშვი და ძაღლი არის ტყლაპოში ჩავარდნილი და ძაღლი არის ბავშვის თავზე ასული. ბავშვმა და ძაღლმა ავიდენ ხეზე და მათ დაბლა არის ხეს ტრიპაში (გულისხმობს: ხვრელს, η τρύπα ბერძ. - ავტორის შენიშვნა) ორი ბაყაყი. ბავშვი ემშვიდობება ბაყაყებს და გარბის.

თაზო. (9;9;1). მე-4 კლ. დაბ. საბერძნეთში.  
მშობლები: ქართველები (აჭარის რეგიონი).

Ένα παιδί κάθεται στην καρέκλα, κοιτάει το σκύλο και ο σκύλος θέλει να βρει τον βάτραχο. Ένα παιδί κοιμάται και ο σκύλος είναι πάνω του. Ο βάτραχος έχει κολλήσει στο δοχείο. Το παιδί βλέπει και πάνω του είναι το σκυλάκι. Ο βάτραχος έφυγε. Το σκυλάκι έχει κολλήσει το κεφάλι του στο δοχείο. Και το παιδί φωνάζει: βοήθεια! Το παιδί φωνάζει: βάτραχο, βάτραχο... και το σκυλάκι γαβγίζει. Το παιδί βλέπει στην τρύπα και ο σκύλος κοιτάει το σπίτι των μελισσών.

Το σκυλάκι είναι στο δέντρο και δίπλα του είναι σπίτι της μέλισσας, έπεσε κάτω σπίτι της μέλισσας. Το αγόρι ανεβαίνει στο δέντρο. Η κουκουβάγια φόβισε το παιδί, και το παιδί έπεσε κάτω. Το σκυλάκι τρέχει από μέλισσες. Το παιδί ανέβηκε πάνω στην πέτρα και το σκυλάκι κρύβεται. Το παιδί ανέβηκε σε ένα ελάφι και το σκυλάκι τρέχει. Μετά έπεσε από το ελάφι ένα παιδί και ο σκύλος... και ο σκύλος πέφτει. Το παιδί και ο σκύλος έπεσε σε ένα νερό. Μετά ανέβηκαν σε ένα δέντρο και βλέπουν τους βατράχους. Μετά το παιδί χαιρετάει τους βατράχους και το σκυλάκι χαιρετάει.

Τάζο. (9;9;8). 4<sup>η</sup> τάξη.

## №2.

1) ალექსი. (8;8;16) - სადაც 8 წელია, 8 - თვე, 16 კი - დღე;

2) Ἀλεξ. (8;8;23) - სადაც 8 წელია, 8 - თვე, 23 კი - დღე.

ერთი ბავშვი არის და ერთი ძალი და ერთი ბაყაყი. თამაშობენ. ბავშვი ზის სკამზე. ძალი აყუდებულია და ბაყაყს ეძებს. მერე ბავშვი მიდის და უნდა დაიძინოს და ბაყაყი ძვრება. და ძალი გაქრა. დილა არის. ახლა ბაყაყი არაა და ძალია. ფარდაა.... ეეე... (რა ქვია?) ადილა გადაფარებული აქ და ძალი არის ზემოდან. მერე ძალმა მივიდა და ბოთლში თავი შეყო და ვეღარ სუნთქავს და ბავშვი ყვირის დამეხმარეთო. მერე ბავშვი ყვირის... მერე ბავშვი ყვირის: დამეხმარეთო. ბაყაყს ეძებენ და ძალიც ეძებს. მერე ნახეს ერთი... სკა, ფუტკრების სკა და ბავშვი ბაყაყს ჭამს. ძალი ბუდეს ედება, უნდა რო ფუტკრები მოკლას. მერე ბავშვი ადის ხეზე და ძალი ჩამოაგდო უკვე ის ბუდე და ადის ისიც ხეზე.

მერე ძალი მირბის, ჩამოვარდა ბიჭი და მერე (რა ქვია, რა ქვია?) არწივი მერე მირბის რო დაიკავოს და ჭამოს. მერე დადგა ქვაზე ერთი ბავშვი და მერე ასიოლი (გულისხმობს ირემს - ავტ. შენიშვნა) და ბავშვი ადის ზემოდან და ძალი მირბის. ძალიც მირბის და ასიოლიც მირბის. ირემზე ადის ბავშვი და მერე ძალი მირბის და... მერე ბავშვი გადავარდა და ბულდოკი...ეეეე... ძალიც გადავარდა და... ვარდებიან ძირს. მერე ბავშვმა ღელეში და ძალი თამაშობენ და მერე ხე ჩამოვარდა და ბავშვმა, ბავშვი და ძალი კიდე თამაშობენ. ახლა ნახეს ორი ბაყაყი ხეზე... ძალი და ბიჭი უყურებენ... უყურებენ ბაყაყებს. მერე ბავშვი იძახის (რა ვიცი მე) ბაყაყებს ეძახის „მოდი” და მერე ძალიც ეძახის... ეშვადობება და ძალიც ეშვადობება.

ალექსი. (8;8;16) მე-3 კლ. დაბ. საბერძნეთში.

მშობლები: ქართველები (აჭარის რეგიონი).

Είναι ένα παιδί και ένα σκυλί και ψάχνει τον βάτραχο. ο βάτραχος είναι σε ένα δοχείο. το παιδί μετά κοιμάται και το σκυλί του είναι πάνω του. Και το βάτραχο βγαίνει και πρέπει να τρέχει/θέλει να βγει έξω. Μετά το παιδί ξύπνησε και το σκυλί ξύπνησε. μετά τον βρίσκουν δεν είναι το βάτραχο και φωνάζει: Θέλω βοήθεια, Θέλω βοήθεια... το παιδί και το σκυλί... το κεφάλι του μπήκε σε ένα δοχείο. Μετά το παιδί και το σκυλί φωνάζουν: βοήθεια, βοήθεια... αλλά κανένας δεν έρχεται. Μετά το παιδί βρίσκει στο πάτωμα... το βρίσκει έξω και το σκυλί βρήκε... Και το σκυλί θέλει να κατεβάσει την κυψέλη από το δέντρο. Και μετά το παιδί ανεβαίνει πάνω στα δέντρα και το σκυλί το έριξε κάτω... την κυψέλη. Μετά το σκυλί τρέχει και το παιδί πέφτει κάτω από το δέντρο και βγαίνει ένας /μία κουκουβάγια. Πίσω από το σκύλο είναι μέλισσες. Μετά το παιδί ανέβηκε σε ένα... ανέβηκε στο βράχο και φωνάζει: βοήθεια... βοήθεια. Και το σκυλί φοβάται.

Το παιδί ανεβαίνει στο ελάφι και τρέχει το ελάφι και το σκυλί τρέχει. Το ελαφάκι σταμάτησε παραλίγο να πέσει αλλά και το σκυλί έπεσε... και το παιδί έπεσε. Μετά το παιδί... μετά παίζουν τα παιδιά... το παιδί... παίζουν στα νερά και το σκυλάκι παίζει, αλλά τώρα έπεσε ένα δέντρο και ανέβηκε πάνω το παιδί και το σκυλί και εδώ τον βρήκαν / τους βρήκαν τους βατράχους. Μετά το παιδί φωνάζει, το παιδί μετά χαιρετάει και το σκυλί χαιρετάει τους βατράχους.

Ἀλεξ. (8;8;23). 3<sup>η</sup> τάξη.



ჩვენი კვლევისთვის, შესადარებლად ავიღეთ კვლევაში მონაწილე ყველა (43) ცდის პირი. ამათგან, 20 ქართველ-ბერძენი და 3 პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალი და თავის მხრივ, 20 ბერძენი მონოლინგვალი ბავშვის ნარატივები. ამათ ემატება 8 ქართველი მონოლინგვალი უმცროსკლასელი (პროფ. ნ. იმედაძის კვლევა); შესაბამისად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევის ემპირიული მასალა ჯამში მოიცავს - 51 ნარატორისგან მიღებულ ქართულ და ახალბერძნულენოვან ნარატივებს. შესადარებელ ასაკად განსაზღვრული გვყავს 6-10 წლიანი რესპონდენტები. ბავშვთა რაოდენობის, მათი სქესის, ასაკობრივი ზღვარის, საშუალო ასაკისა (წელი, თვე) და კლასის, როგორც ჯამური მონაცემები, ასევე რიცხვობრივი და პროცენტული მაჩვენებლები ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში 9, 10, 11 და 12.

**ცხრილი 9. ქართველ-ბერძენ ბილინგვალთა მონაცემები მათი რაოდენობის, სქესის, ასაკისა და კლასების მიხედვით**

ქართველ-ბერძენ ბილინგვალთა მონაცემები				
ნარატორთა რაოდენობა	სქესი		ასაკი წლების და თვეების მიხედვით (ასაკობრივი ზღვარი: 6-10 წლები)	კლასი
	მამრ.	მდედრ.		
17	8	9	8,9 წ. (105 თვე)	III
			9,9 წ. (117 თვე)	IV
			8,3 წ. (99 თვე)	III
			9,8 წ. (118 თვე)	IV
			10 წ. (120 თვე)	V
			9,6 წ. (114 თვე)	IV
			9,7 წ. (115 თვე)	V
			9,9 წ. (117 თვე)	V
			9 წ. (108 თვე)	III
			7 წ. (84 თვე)	II
			7 წ. (84 თვე)	II
			6,9 წ. (81 თვე)	I
			8 წ. (96 თვე)	III
			6,6 წ. (78 თვე)	I
			7,1 წ. (85 თვე)	II
			7,11 წ. (95 თვე)	III
			7,7 წ. (91 თვე)	II

მამით ბერძენი ნარატორები								
ნარატორთა რაოდენობა	სქესი		ასაკი წლების და თვეების მიხედვით (ასაკობრივი ზღვარი: 6-10 წლები)	კლასი				
	მამრ.	მდედრ.		I	II	III	IV	V
3	2	1	9,2 წ. (110 თვე)	IV				
			8,6 წ. (102 თვე)	III				
			6,10 წ. (82 თვე)	II				
მთლიანი რაოდენობა	რიცხოვობრივი და პროცენტული მაჩვენებელი		საშუალო ასაკი (წელი/თვე)	კლასების რიცხოვობრივი და პროცენტული მაჩვენებლები				
	მამრ.	მდედრ.		I	II	III	IV	V
20	10 50%	10 50%	8,3 წელი 100,05 თვე	2 10%	5 25%	6 30%	4 20%	3 15%

ცხრილი 10. პონტოელ ბერძენ-ქართველ ბილინგვალთა მონაცემები მათი რაოდენობის, სქესის, ასაკისა და კლასების მიხედვით

პონტოელ ბერძენ-ქართველ ბილინგვალთა მონაცემები								
ნარატორთა რაოდენობა	სქესი		ასაკი წლების და თვეების მიხედვით (ასაკობრივი ზღვარი: 6-10 წლები)	კლასი				
	მამრ.	მდედრ.		I	II	III	IV	V
3	1	2	8 წ. (96 თვე)	III				
			9,1 წ. (109 თვე)	IV				
			7,3 წ. (87 თვე)	II				
მთლიანი რაოდენობა	რიცხოვობრივი და პროცენტული მაჩვენებელი		საშუალო ასაკი (წელი/თვე)	კლასების რიცხოვობრივი და პროცენტული მაჩვენებლები				
	მამრ.	მდედრ.		I	II	III	IV	V
3	1 33.3%	2 66.7%	8,1 წელი 97,3 თვე	0 0%	1 33.3%	1 33.3%	1 33.3%	0 0%

ცხრილი 11. ბერძენ მონოლინგვალთა მონაცემები მათი რაოდენობის, სქესის, ასაკისა და კლასების მიხედვით

ბერძენ მონოლინგვალთა მონაცემები								
ნარატორთა რაოდენობა	სქესი		ასაკი წლების და თვეების მიხედვით (ასაკობრივი ზღვარი: 6-10 წლები)	კლასი				
	მამრ.	მდედრ.		I	II	III	IV	V
20	13	7	8 წ. (96 თვე)	III				
			9 წ. (108 თვე)	IV				
			6 წ. (72 თვე)	I				
			8 წ. (96 თვე)	III				
			10 წ. (120 თვე)	V				
			6 წ. (72 თვე)	I				
			10 წ. (120 თვე)	V				
			8 წ. (96 თვე)	III				
			10 წ. (120 თვე)	V				
			8 წ. (96 თვე)	III				
			8 წ. (96 თვე)	III				
			6 წ. (72 თვე)	I				
			9 წ. (108 თვე)	IV				
			7 წ. (84 თვე)	II				
			6 წ. (72 თვე)	I				
			9 წ. (108 თვე)	IV				
			7 წ. (84 თვე)	II				
			10 წ. (120 თვე)	V				
			10 წ. (120 თვე)	V				
8 წ. (96 თვე)	III							
მთლიანი რაოდენობა	რიცხოვობრივი და პროცენტული მაჩვენებელი		საშუალო ასაკი (წელი/თვე)	კლასების რიცხოვობრივი და პროცენტული მაჩვენებლები				
	მამრ.	მდედრ.		I	II	III	IV	V
20	13 65%	7 35%	8,2 წელი 97,8 თვე	4 20%	2 10%	6 30%	3 15%	5 25%

ცხრილი 12. ქართველ მონოლინგვალთა მონაცემები მათი რაოდენობის, სქესის, ასაკისა და კლასების მიხედვით

ქართველ მონოლინგვალთა მონაცემები (პროფ. ნ. იმედაძის კვლევა)								
ნარატორთა რაოდენობა	სქესი		ასაკი წლების და თვეების მიხედვით (ასაკობრივი ზღვარი: 6-10 წლები)	კლასი				
	მამრ.	მდედრ.		I	II	III	IV	V
8	5	3	8 წ. (96 თვე)	III				
			9,4 წ. (112 თვე)	IV				
			10 წ. (120 თვე)	V				
			9,2 წ. (110 თვე)	IV				
			10 წ. (120 თვე)	V				
			7 წ. (84 თვე)	II				
			6 წ. (72 თვე)	I				
			9 წ. (108 თვე)	IV				
მთლიანი რაოდენობა	რიცხოვრივი და პროცენტული მაჩვენებელი		საშუალო ასაკი (წელი/თვე)	კლასების რიცხოვრივი და პროცენტული მაჩვენებლები				
	მამრ.	მდედრ.		I	II	III	IV	V
8	5 62.5%	3 37.5%	8,6 წელი 103 თვე	1 12.5%	1 12.5%	1 12.5%	3 37.5%	2 25%

ცხრილი 13. კოდის გადართვა (CS) ბილინგვალბთან

ჯგუფები და ქვეჯგუფები	კვლევაში მონაწილე ბილინგვალთა ნარატორები			
	I ჯგუფი		II ჯგუფი	
	ქვეჯგუფი 1	ქვეჯგუფი 2	ქვეჯგუფი 1	ქვეჯგუფი 2
ნარატორთა რაგვარობა	ქართველ-ბერძენი ბილინგვალები <i>ქართ. ნარატ.</i>	ქართველ-ბერძენი ბილინგვალები <i>ახალბერძ. ნარატ.</i>	პონტ. ბერძენ-ქართვ. ბილინგვ. <i>ქართ. ნარატ.</i>	პონტ. ბერძენ-ქართვ. ბილინგვ. <i>ახალბერძ. ნარატ.</i>
ნარატორთა მთლიანი რაოდენობა	20	20	3	3
ნარატორთა რაოდენობა, რომელთა ნარატივებშიც დაფიქსირდა CS	4	0	2	0
ნარატორთა მიერ CS -ის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი	20%	0%	66.7%	0%
CS -ის შემთხვევები	8	0	3	0
ჩართული სიტყვების რაოდენობა	4	0	2	0
მათი პროცენტული მაჩვენებელი	50%	0%	66.7%	0%

## მონაცემთა ანალიზი:

ზემოთ წარმოდგენილი ცხრილები 4 ჯგუფადაა წარმოდგენილი; პირველ და მეორე ჯგუფებში გაერთიანებულია ორ-ორი ქვეჯგუფი:

1. *I ჯგუფი, ქვეჯგუფი 1: ქართველ-ბერძენი ბილინგვალების ქართული ნარატივები:* თხრობის დროს 6 ბილინგვალის მიერ კითხვითი წინადადებების გამოყენების სულ 7 შემთხვევა გამოვლინდა, ნაცვალსახელების კი - 71 შემთხვევა გვაქვს (20-დან 15 ცდის პირმა გამოიყენა); რაც შეეხება წინადადებების სიგრძეს, შეიმჩნევა 7-8 სიტყვიანი წინადადებების სიჭარბე (20-დან 6 შემთხვევა), ყველაზე მცირე - 3-4 სიტყვიანი (20-დან 1 შემთხვევა) და ყველაზე დიდი 10-11 სიტყვიანი (20-დან 2 შემთხვევა) წინადადებები გვხვდება; ოცი ბილინგვალიდან თხრობას წარსულ დროში 50-90%-იანი სიხშირით 11 ბილინგვალი აწარმოებს, 11 ნარატორი კი იმავე სიხშირით ახლანდელ დროში აწარმოებს თხრობას. რაც ნიშნავს იმას, რომ ახლანდელი დრო ცოტა მეტი სიხშირით იქნა გამოყენებული ნარატორთა მიერ. მათგან, მხოლოდ 6 (ექვსმა) უმცროსკლასელმა გამოიყენა მომავალი დრო (სულ: 11 შემთხვევა) თხრობისას. *შენიშვნა:* ნიშანდობლივია, რომ, ეს არის ერთადერთი ქვეჯგუფი, სადაც ორენოვან უმცროსკლასელებთან მომავალი დროის ფორმები შეგვხვდა. მოთხრობის სიუჟეტიდან გამომდინარე, ეს ლოგიკურ სურათს ქმნის, ვინაიდან სურათებით მოთხრობილი ეპიზოდები წარსულში მომხდარი ფაქტებით მოგვითხრობს ამბავს. რაც შეეხება არსებითი სახელი-ზმნის (N-V) წყვილებს, ყველაზე მეტი 34 ასეთი წყვილი ერთ, 8,3 წლის ნარატორთან, ყველაზე ცოტა 12 კი ასევე, ერთ, 6,9 წლის რესპონდენტთან დაფიქსირდა. მორფოსინტაქსური კონსტრუქციების თვალსაზრისით, არსებითი სახელი-ზმნის (N-V) წყვილებს ქართველ-ბერძენი ბილინგვალი ბავშვები უფრო მეტი სიხშირით ქართულ ენაზე გაკეთებული ნარატივის დროს გამოიყენებენ.

2. *I ჯგუფი, ქვეჯგუფი 2: ქართველ-ბერძენი ბილინგვალების ბერძნული ნარატივები:* თხრობის დროს 5 ბილინგვალის მიერ კითხვითი წინადადებების სულ 5 შემთხვევა გამოვლინდა; ნაცვალსახელების გამოყენების 17 შემთხვევა გვაქვს (20-დან 9 ცდის პირმა გამოიყენა); რაც შეეხება წინადადებების სიგრძეს, შეიმჩნევა 7-8 სიტყვიანი წინადადებების სიჭარბე (20-დან 5 შემთხვევა), ყველაზე მცირე 5-6

სიტყვიანი (20-დან 1 შემთხვევა) და ყველაზე დიდი 13-14 სიტყვიანი (20-დან 1 შემთხვევა) წინადადებები გვხვდება. ოცი ბილინგვალიდან თხრობისას წარსულ დროს 50-95%-იანი სიხშირით 7 ბილინგვალი მიმართავს, 12 ნარატორი კი იმავე სიხშირით აწმყო დროში აწარმოებს თხრობას, 3 ბილინგვალმა კი თხრობის დროს მხოლოდ და მხოლოდ ნამყო დრო (100%) გამოიყენა; რაც ნიშნავს იმას, რომ საერთო მოცემულობით, ნარატორთა მიერ ახლანდელი დრო ცოტა მეტი სიხშირით იქნა გამოყენებული. რაც შეეხება არსებითი სახელი-ზმნის (N-V) წყვილებს, ყველაზე მეტი, 30 ასეთი წყვილი ერთ, 8,3 წლის ნარატორთან, ყველაზე ცოტა, 8-8 წყვილი კი ორ: 7 და 6,6 წლის რესპონდენტებთან დაფიქსირდა.

3. *II ჯგუფი, ქვეჯგუფი 1: პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალების ქართული ნარატივები:* თხრობის დროს სამივე ბილინგვალის მიერ დაფიქსირდა თითო-თითო კითხვითი წინადადების გამოყენების შემთხვევა, ნაცვალსახელების გამოყენების 7 შემთხვევა გვაქვს (3-დან 3 ცდის პირმა გამოიყენა); რაც შეეხება წინადადებების სიგრძეს, დაფიქსირდა: 5-6, 6-7 და 7-8 სიტყვიანი წინადადებები (თითო-თითო შემთხვევა). სამი ბილინგვალიდან თხრობის დროს წარსულ დროს 50-60%-იანი სიხშირით 2 ბილინგვალი იყენებს, ორიც - 50-95%-იანი სიხშირით ახლანდელ დროში აწარმოებს თხრობას. რაც ნიშნავს იმას, რომ ორივე დრო ერთნაირი სიხშირით იქნა გამოყენებული ნარატორთა მიერ. რაც შეეხება არსებითი სახელი-ზმნის (N-V) წყვილებს, ყველაზე მეტი 21 ასეთი წყვილი ერთ, 7,3 წლის რესპონდენტთან, ყველაზე ცოტა - 20 კი, ორ, 8 და 9,1 წლის ნარატორებთან დაფიქსირდა.

4. *II ჯგუფი, ქვეჯგუფი 2: პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალების ბერძნული ნარატივები:* თხრობის დროს აქაც, სამივე ბილინგვალის მიერ დაფიქსირდა თითო-თითო კითხვითი წინადადების გამოყენების შემთხვევა, ნაცვალსახელების გამოყენების კი 12 შემთხვევა გვაქვს (აქაც, 3-დან 3 ცდის პირმა გამოიყენა); რაც შეეხება წინადადებების სიგრძეს, დაფიქსირდა უფრო მეტი: ორი 9-10 სიტყვიანი და ერთიც 10-11 სიტყვიანი წინადადება. სამი ბილინგვალიდან თხრობისას ნამყო დროს 80%-იანი სიხშირით მხოლოდ 1 ბილინგვალი იყენებს, ორიც - 90-95%-იანი სიხშირით აწმყო დროში აწარმოებს თხრობას. რაც ნიშნავს იმას, რომ ახლანდელი

დრო უფრო მეტი სიხშირით იქნა გამოყენებული ცდის პირთა მიერ. რაც შეეხება არსებითი სახელი-ზმნის (N-V) წყვილებს, ყველაზე მეტი 25 წყვილი ერთ, 7,3 წლის ნარატორთან, ყველაზე ცოტა - 19 წყვილი კი, 8 წლის რესპონდენტთან დაფიქსირდა, მესამე ნარატორთან 22 ასეთი წყვილი დავითვალეთ. მორფოსინტაქსური კონსტრუქციების თვალსაზრისით, არსებითი სახელი-ზმნის (N-V) წყვილებს ქართველ-ბერძენი ბილინგვალეები უფრო მეტი სიხშირით ახალბერძნულ ენაზე გაკეთებული ნარატივის დროს გამოიყენებენ.

5. *III ჯგუფი: ბერძენი მონოლინგვალეების ბერძნული ნარატივები:* თხრობის დროს 7 მონოლინგვალის მიერ კითხვითი წინადადებების სულ 12 შემთხვევა გამოვლინდა, ნაცვალსახელების გამოყენების კი 118 შემთხვევა გვაქვს (20-დან ოცივე ცდის პირმა გამოიყენა); რაც შეეხება წინადადებების სიგრძეს, შეიმჩნევა 9-10 სიტყვიანი წინადადებების სიჭარბე (20-დან 6 შემთხვევა), ყველაზე მცირე 6-7 სიტყვიანი (20-დან 3 შემთხვევა) და ყველაზე დიდი 13-14 სიტყვიანი (20-დან 2 შემთხვევა) წინადადებები გვხვდება; ოცი მონოლინგვალიდან თხრობას წარსულ დროში 80%-იანი სიხშირით მხოლოდ 1 მონოლინგვალი აწარმოებს, 19 ნარატორი კი - 70-100%-იანი სიხშირით ახლანდელ დროში აწარმოებს თხრობას. რაც ნიშნავს იმას, რომ ახლანდელი დრო გაცილებით მეტჯერ და, ამავედროულად, უფრო მეტი სიხშირით იქნა გამოყენებული ნარატორთა მხრიდან. რაც შეეხება არსებითი სახელი-ზმნის (N-V) წყვილებს, ყველაზე მეტი 33 ასეთი წყვილი ერთ, 8 წლის ნარატორთან, ყველაზე ცოტა - 7 კი, ასევე, ერთ 7 წლის რესპონდენტთან დაფიქსირდა.

6. *IV ჯგუფი: ქართველი მონოლინგვალეების ქართული ნარატივები:* თხრობის დროს 2 მონოლინგვალის მიერ კითხვითი წინადადებების სულ 2 შემთხვევა გამოვლინდა, ნაცვალსახელების გამოყენების კი 13 შემთხვევა გვაქვს (8-დან 5 ცდის პირმა გამოიყენა); რაც შეეხება წინადადებების სიგრძეს, შეიმჩნევა 5-6 სიტყვიანი წინადადებების სიჭარბე (8-დან 4 შემთხვევა), ყველაზე მცირე 3-4 სიტყვიანი (8-დან 1 შემთხვევა) და ყველაზე დიდი 6-7 სიტყვიანი (8-დან 3 შემთხვევა) წინადადებები გვხვდება; რვა მონოლინგვალიდან თხრობის დროს ნამყოფ დროს 50-100%-იანი სიხშირით რვავე მონოლინგვალი მიმართავს, მხოლოდ

1 ნარატორი კი იმავე სიხშირით აწმყო დროში აწარმოებს თხრობას. რაც ნიშნავს იმას, რომ აწმყო აბსოლუტური უპირატესობით ადგილს უთმობს ნამყოს - ნარატივების 90% წარსულ დროშია მოთხრობილი. რაც შეეხება არსებითი სახელი-ზმნის (N-V) წყვილებს, ყველაზე მეტი 31 ასეთი წყვილი ერთ, 9,4 წლის ნარატორთან, ყველაზე ცოტა 12 - კი ორ, 9,2 და 7 წლის რესპონდენტებთან დაფიქსირდა (იხ. ცხრილები 5, 6, 7, 8).

## 2.1. ფუნქციური და სტრუქტურული მიდგომები ნარატივის სტრუქტურისთვის (ლექსიკური ერთეულების მაჩვენებლები, მორფოსინტაქსური კონსტრუქციების ურთიერთმიმართება ქართულსა და ახალბერძნულ ენებში და კოდების გადართვის სიხშირე ბილინგვალტან)

ნარატივის სტრუქტურის კვლევის ფარგლებში, ქვემოთ მოცემულია ანალიზი და დასკვნები ფუნქციური მიმართულებით და წარმოდგენილი სიუჟეტის გრამატიკული კატეგორიების შესწავლით, რომელიც მოიაზრებს შემდეგ სფეროებს: **ლექსიკას, მორფოსინტაქსსა და კოდების გადართვას (CS)**. ბოლოს კი, შეჯამების სახით, ყურადღება შევაჩერეთ კვლევის ანალიზისას გამოკვეთილ მონოლინგვურ-ბილინგვურ მსგავსება-განსხვავებებზე და წარმოვადგინეთ ორენოვან და ერთენოვან უმცროსკლასელთა **ენობრივი შესაძლებლობების** ზოგადი შეფასება.

### ა) ფუნქციური მიდგომის ანალიზმა აჩვენა შემდეგი:

*პირველ რიგში*, როგორც ბერძენ მონოლინგვალთა, ისე მათ თანატოლ ქართველ-ბერძენ და პონტოელ ბერძენ-ქართველ ბილინგვალთა, ასევე, ქართველ მონოლინგვალთა (პროფ. ნ. იმედაძის კვლევა) ნარატივებში მთლიანი სიუჟეტი ძირითადად ორ ეპიზოდადაა მოთხრობილი. შესამჩნევია თითოეული მოძრაობის და სიტუაციის ზედმიწევნით აღწერის ტენდენცია, ხშირად მოქმედების ღერძის უგულვებელყოფით. თავიდან ბოლომდე გატარებულია ერთი აზრი - *ბაყაყის ძებნა* - დანარჩენი, თანმხლები მომენტები ზოგჯერ არეულია, ზოგ შემთხვევაში კი უმცროსკლასელ ცდის პირთა ფანტაზიის ნაყოფი. ასე მაგალითად, იმ ეპიზოდს, როცა სიუჟეტის მთავარი პერსონაჟები - *ბიჭუნა* და *ძაღლი* დაკარგულ ბაყაყს



რამდენიმე სხვა ბაყაყთან ერთად პოულობენ, აღწერენ შემდეგნაირად (მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს): ა) „ბიჭუნა დაინახა ორი ეე ბაყაყი, რომელიც ცოლ-ქმარი იყო და რანდევეუ ქონდათ და ცოლ-ქმარი იყო რანდევეუთი. ძალლი უყურებს და თურმე იმიტო წასულა ბაყაყი, რომ შეყვარებული უნდა გაეკეთებინა რანდევეუ“ (ქართველ-ბერძენი, ლუკა, 9,8 წ.); ბ) იგერ იყო ორი ბაყაყი. ბაყაყებს ქონდათ პაწაწუნები შვილები, ბიჭი და ძალლი ეე ხელს უქნევენ (ბერძენ-ქართველი, ენრიკე, 6,9 წ.); გ) ეხლა ბაყაყი იპოვეს, ერთი დედა და შვილი რო არიან ერთათ. აქს ეხლა ბავშვი „კარგათ“ ეუბნება და ძალლიც ბაყაყებს (ემშვიდობება) (ქართველ-ბერძენი, ლიზი, 7,1 წ.) დ) ...რომ გადახედეს დაინახეს ბაყაყები. ბიჭუნას და ძალს გაეცინათ. ბიჭმა და ძალმა ერთი ბაყაყი წაიყვანეს. ბაყაყები უყურებდნენ (ქართველი, გიორგი, 9,4 წ. პროფ. ნ. იმედაძის კვლევა).

მეორეც, სიუჟეტის სირთულის თვალსაზრისით: ეპიზოდების წარმოდგენის / გადმოცემის ხარისხი ზოგადად დაბალი აღმოჩნდა ბავშვების უმრავლესობისთვის, მაგრამ ბილინგვალისთვის მაინც უფრო დაბალია მათ თანატოლ მონოლინგვალთან შედარებით. ვინაიდან, ქართველ-ბერძენი ბილინგვალეები ნარატივს გაცილებით მარტივი სიტყვების გამოყენებით აწარმოებდნენ, რასაც ვერ ვიტყვით ვერც ბერძენ და ვერც ქართველ მონოლინგვალეებზე. ოდნავ განსხვავებული სურათი გვაქვს ამ მხრივ პონტოელ ბერძენ-ქართველ ბილინგვალეებთან; მათი ქართული ნარატივები ამ თვალსაზრისით თავისუფლად შეიძლება გავუტოლოთ ბერძენ და ქართველ მონოლინგვალთა ნარატივებს, ხოლო მათი ახალბერძნული ნარატივების შედარება მოვახდინოთ ქართველ-ბერძენ ბილინგვალთა ქართულ ნარატივებთან, ვინაიდან ამ უკანასკნელთა ქართული ენის ფლობის დონე, თითქმის, თანაბარია პონტოელ ბერძენ-ქართველ ბილინგვალთა ახალბერძნული ენის ფლობის დონისა.

რაც შეეხება თხრობის თანმიმდევრობას: ბერძენი და ქართველი მონოლინგვალეები და მათთან ერთად, ორივე ჯგუფის ბილინგვალეები (ერთი მხრივ, ახალბერძნული და მეორე მხრივ, ქართული ნარატივის წარმოების დროს) ამ მხრივ გაცილებით თანმიმდევრულები აღმოჩნდნენ, ერთი ამბის აღწერიდან მეორეზე გადასვლის თვალსაზრისით. აღნიშნული ორი ჯგუფის ბილინგვალეებთან (ქართველ-

ბერძენ ორენოვანთა მიერ ქართული და პონტოელ ბერძენ-ქართველ ორენოვანთა მიერ - ახალბერძნული ნარატივების წარმოების დროს) ადვილად შეიმჩნეოდა წყვეტილად თხრობა, რაც განპირობებული იყო თხრობის მომენტში პირველ ჯგუფთან ქართული სიტყვების თითქმის განუწყვეტელი ძიების მცდელობით, მეორე ჯგუფთან კი - ახალბერძნულისა... მაგრამ იშვიათად. ამ კვლევამ, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად განასხვავა ქართველ-ბერძენი და ნაწილობრივ, პონტოელი ბერძენ-ქართველი ორენოვანი ბავშვებისთვის ეს ორი ენა - ქართული და ახალბერძნული, რადგანაც ადვილად შესამჩნევი იყო მათი დამაბული შინაგანი მდგომარეობა ერთი მხრივ, ქართული და მეორე მხრივ - ახალბერძნული ნარატივების დროს, რაც, უპირველესად, გამოიხატებოდა გონებაგაფანტულობაში; ისინი ვერ ახდენდნენ სიუჟეტზე სრულად კონცენტრირების მოხდენას, რაც მიგვაჩნია, რომ პირველ ჯგუფთან ქართული ლექსიკური მარაგის სიღარიბისა და ინტერფერენციის ბრალია, მეორე ჯგუფთან (შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც) კი - ახალბერძნულის.

*დაბოლოს:* ოთხივე ჯგუფის ნარატორები ანალოგიურად ფასდებიან სიუჟეტის გაგების ანუ, კონკრეტულ შემთხვევაში, ვიზუალური აღქმის თვალსაზრისით, მაგრამ ამბის გადმოცემის მხრივ საგრძნობლად განსხვავდება ქართველ-ბერძენი და პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალური ბავშვების ე1-სა და ე2-ს შორის მოცემული სურათი, რასაც მშობლებიც აცხადებდნენ; მათი თქმით, პირველი, ერთ შემთხვევაში ქართული ენა და მეორე შემთხვევაში, თანამედროვე ბერძნული, მეორეზე ე.ი. ახალბერძნულზე და ანალოგიურად ქართულზე გაცილებით სუსტია.

აღსანიშნავია, რომ ბავშვთა ნარატივების შესწავლისას ბევრი ავტორი (მანდლერი & ჯონსონი, 1977; რუმელჰარტი, 1975; სტეინი & გლენი, 1979; ბერმანი & სლობინი, 1994,) ამ (ფუნქციურ) მიდგომას უკავშირებს მაკროსტრუქტურულ ანალიზს, რომელიც იკვლევს ბავშვების ლინგვისტურ შესაძლებლობებს და აფიქსირებს/ადასტურებს მათ უნარს, დააკავშირონ ცნებები ეპიზოდურ სისტემასთან, რომელიც მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს, რომელიც გვხვდება ყველა ისტორიაში, ესენია: *ა) პრობლემა, ბ) პრობლემის გადაჭრის / ამოცანის ამოხსნის მცდელობები, გ) შედეგები* (ჰეილმანი და სხვ., 2010: 154-155).

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ბავშვთა ნარატივების მაკროსტრუქტურული ანალიზის უმეტესობა ემყარება სიუჟეტის გრამატიკის ტრადიციას, რომელიც გვთავაზობს, რომ ყველა მოთხრობას გააჩნდეს ეპიზოდის სისტემა (ჰეილმანი და სხვ., 2010b: 154). წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ემპირიული მასალის (ტექსტების) ანალიზზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, რომ სამივე ეპიზოდი კარგად ჩანს ჩვენ მიერ მოპოვებულ ნარატივებში. ბერმანი წერს: „სასკოლო ასაკის მცირეწლოვანი ბავშვები, როგორც წესი, აწარმოებენ ნარატივებს, რომლებიც უბრალოდ აკავშირებენ მოვლენათა ჯაჭვურ თანმიმდევრობას დროებითი წესრიგით. მხოლოდ ცოტა გვიან სასკოლო ასაკში ბავშვები იერარქიულად აწყობენ მოვლენებს თავიანთ ნარატიულ წარმოებაში (თხრობის წარმოების პროცესში)“ (ბერმანი, 1988). ბერმანის ეს საინტერესო ანალიზი თანხვედრაში მოდის სტეინისა და გლენის (Stein & Glenn) მოსაზრებებთან: „დაბალი კლასის მოსწავლეები თხრობის დროს უზრუნველყოფენ მარტივ აღწერილობით თანმიმდევრობას, ხოლო სკოლის შემდგომ წლებში მოსწავლეები იყენებენ მრავალ სხვადასხვა პერსპექტივას თავიანთ ნარატიულ პროდუქციაში მოვლენების ერთმანეთთან დასაკავშირებლად“ (სტეინი & გლენი, 1979).

## ბ) სტრუქტურული მიდგომა:

1. **ლექსიკოლოგიური შედარების** ჭრილში გავმიჯნეთ და ყურადღება გავამახვილეთ შემდეგზე:

I ჯგუფში (ქართველ-ბერძენი ბილინგვალეები) შემავალი ორივე ქვეჯგუფის: ქართულ და ახალბერძნულ ენებზე შესრულებული ნარატივების შედარებითი შესწავლით მივიღეთ შემდეგი: ქართველ-ბერძენ ბილინგვალთა ახალბერძნულ ნარატივებში სიტყვათა საერთო რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი დაახლოებით სამი ათეული სიტყვით აღემატება ქართული ნარატივების სიტყვათა ჯამის საშუალო მაჩვენებელს (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი 14), რაც ლოგიკურად მიგვანიშნებს, იმაზე, რომ მათ გონებაში, როგორც სიტყვათა მარაგის სკივრში ახალბერძნული ლექსიკა გაცილებით მდიდარია ქართულთან შედარებით. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქართულ ნარატივებში დიდი სიხშირით შეიმჩნევა სიტყვების,

ფრაზებისა თუ წინადადებების გამეორებაც კი, რაც განპირობებული იყო შესაბამისი ქართული სიტყვების მოცემული მომენტისთვის ვერგახსენებით ან, რიგ შემთხვევებში, მათი საერთოდ არცოდნითაც კი, რა დროსაც შეინიშნებოდა კოდის გადართვის შემთხვევებიც, ეს მონაცემი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ბილინგვური სწავლების უპირატესობას მონოლინგვურთან შედარებით (კოგნიტური განვითარების კუთხით), რაც არაერთი კვლევით დასტურდება.

II ჯგუფში (პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალეები) გაერთიანებული ორივე ქვეჯგუფის: ქართული და ახალბერძნული ნარატივების შედარებითი შესწავლით შემდეგი სურათი გვაქვს: ცდის პირთა ახალბერძნულ ენაზე შესრულებული ნარატივები დაახლოებით ოთხი ათეული სიტყვით მეტია ქართულ ნარატივებთან შედარებით. ამ მონაცემებს თუ შევადარებთ I ჯგუფის ორივე ქვეჯგუფის მონაცემებთან, ვნახავთ, რომ ახალბერძნული ენის ცოდნით და ამ ენაზე ლექსიკურ ერთეულთა გამოყენების საშუალო მაჩვენებლით, ეს ორი ქვეჯგუფი ერთმანეთის თანაფარდია, ქართული ენის შემთხვევაში კი, I ჯგუფის პირველი ქვეჯგუფი დაახლოებით 15 ერთეულით დომინანტის პოზიციას იკავებს II ჯგუფის პირველ ქვეჯგუფთან მიმართებით, თუმცა, ეს განაპირობა მათი მიერ სიტყვების ხშირმა გამეორებამ (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი 14):

**ცხრილი 14. ბილინგვალეების ქართულ და ახალბერძნულენოვანი ნარატივების შედარებითი შესწავლით მიღებული შედეგები**

<b>კვლევაში მონაწილე ბილინგვალეები</b>				
<b>ჯგუფები და ქვეჯგუფები</b>	<b>I ჯგუფი</b>		<b>II ჯგუფი</b>	
	<b>ქვეჯგუფი 1</b>	<b>ქვეჯგუფი 2</b>	<b>ქვეჯგუფი 1</b>	<b>ქვეჯგუფი 2</b>
<b>ნარატორთა რაგვარობა</b>	ქართველ-ბერძენი ბილინგვალეები <i>ქართ. ნარატ.</i>	ქართველ-ბერძენი ბილინგვალეები <i>ახალბერძ. ნარატ.</i>	პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვ. <i>ქართ. ნარატ.</i>	პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვ. <i>ახალბერძ. ნარატ.</i>
<b>ნარატორთა მთლიანი რაოდენობა</b>	<b>20</b>	<b>20</b>	<b>3</b>	<b>3</b>
<b>სიტყვების მთლიანი რაოდენობა ყველა ნარატივისთვის ერთად</b>	<b>3153</b>	<b>3768</b>	<b>423</b>	<b>546</b>
<b>M - სიტყვების საშუალო მაჩვენებელი თითო ნარატივისთვის</b>	<b>157.65</b>	<b>188.4</b>	<b>141</b>	<b>182</b>

ორივე ჯგუფის რესპონდენტთა როგორც ქართულ, ისე ახალბერძნულ ნარატივებში სიუჟეტის მთლიანი მოცემულობა ანუ სიტყვების სრული რაოდენობის საშუალო მაჩვენებლები თითქმის ერთმანეთის თანაფარდია. მცირეოდენ, დაახლოებით ათ სიტყვიან სხვაობას გვიჩვენებს ქართული ნარატივების შედარება ქართველ-ბერძენი ბილინგვალების სასარგებლოდ. თუმცა, აქ აღსანიშნავია ერთი, ძალზედ მნიშვნელოვანი დეტალი: პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალები გამართული ქართულით საუბრობენ და აწარმოებენ თხრობას, მათ ნარატივებში არ გვხვდება არც ტავტოლოგია და არც სიტყვების ხშირი გამეორება ან/და ძებნა სასურველი სიტყვ(ებ)ის წარმოთქმის მომენტისთვის; მათი მეხსიერება მდიდარ ქართულ ლექსიკურ მარაგს ფლობს, ეს გასაკვირი არცაა, ვინაიდან ისინი საქართველოში დაიბადნენ, აქ ცხოვრობენ და მათთვის დომინანტი ენაც ქართულია, ახალბერძნულ ენას კი ჩვენს შემთხვევაში რეპეტიტორის ან მამის (ნაკლებად, ბებია-ბაბუის) მეშვეობით ეუფლებიან.

III ჯგუფის (ბერძენი მონოლინგვალები) ნარატივებში ნარატორთა მიერ თხრობის დროს გამოყენებულ სიტყვათა მთლიანი რაოდენობის საშუალო მაჩვენებელია 215.5.

IV ჯგუფში (ქართველი მონოლინგვალები, პროფ. ნ. იმედაძის კვლევა) წარმოდგენილ ნარატივებში სიტყვათა მთლიანი რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი კი 147.75-ია, რასაც III ჯგუფის მაჩვენებელს თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ ბერძენი მონოლინგვალები ლექსიკური სიმდიდრით საგრძნობლად, დაახლოებით შვიდი ათეული სიტყვით უსწრებენ ქართველ იმავე ასაკის მონოლინგვალებს (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი 15):

**ცხრილი 15. მონოლინგვალების ახალბერძნულ და ქართულენოვანი ნარატივების შედარებითი შესწავლით მიღებული შედეგები**

კვლევაში მონაწილე მონოლინგვალები		
ჯგუფები	III ჯგუფი	IV ჯგუფი
ნარატორთა რაგვარობა	ბერძენი მონოლინგვ. ახალბერძ. ნარატივები	ქართველი მონოლინგვ. ქართული ნარატივები
ნარატორთა მთლიანი რაოდენობა	20	8
სიტყვების მთლიანი რაოდენობა ყველა ნარატივისთვის ერთად	4310	1182
M - სიტყვების საშუალო მაჩვენებელი თითო ნარატივისთვის	215.5	147.75

თუ შევადარებთ I და III ჯგუფებში შემავალი ბერძნული ნარატივების ორივე ქვეჯგუფს ერთმანეთს, რაც გულისხმობს ქართველ-ბერძენი ბილინგვალებისა და ბერძენი მონოლინგვალების ახალბერძნულ ენაზე შესრულებულ ნარატივებში ლექსიკური სიმდიდრის შედარებას, მივიღებთ შემდეგ სურათს: ბერძენი მონოლინგვალები ამ მხრივ ლიდერობენ ქართველ ბილინგვალებთან მიმართებით, თუმცა, ეს სხვაობა არც თუ ისე დიდია, საუბარია მხოლოდ, ოცდაათამდე ლექსიკური ერთეულით მეტ მაჩვენებელზე (იხ. ზემოთ მოცემული ცხრილები: 14, 15). შეიძლება დავასკვნათ, რომ ბერძენ-ქართველი ბილინგვალები ლექსიკური მარაგის თვალსაზრისით, თითქმის უტოლდებიან თავიანთ თანატოლ ბერძენ მონოლინგვალებს. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბილინგვალთა თხრობის პროცესში ამ უკანასკნელთა ლექსიკური სიმდიდრე, რთულ სიტყვათა კომბინაცია და ახალი ბერძნული ენის გრამატიკისთვის დამახასიათებელი კატეგორიების, სქესის განმსაზღვრელი დაბოლოებებისა თუ განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლების თავისებური, სპეციფიკური სირთულე, რომლებსაც ისინი თხრობის მიმდინარეობისას აწყდებოდნენ, ნათელი და ავტორისთვის, როგორც ნეოგრეცისტისთვის, საგრძნობლად შესამჩნევი იყო. ეს გვაძლევს შემდეგი დასკვნის გამოტანის საფუძველს: მიუხედავად იმისა, რომ ქართველ-ბერძენ ბილინგვალ უმცროსკლასელთათვის ახალბერძნული ენა დომინანტი ენაა საზოგადოებაში, სკოლაში, მეგობრებთან საკონტაქტოდ თუ სხვა, მათთვის არსებობს მეორე ენაც,

მშობლიური - ქართული ენა, რომელიც, თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენს ამ მოზარდების მეტყველებაზე და, ზოგადად, აზროვნებაზე.

ზემოთ განხილული საკითხის შეჯამებისთვის, **ლექსიკური სიმდიდრის გაზომვის** მიზნით, განვახორციელეთ შემდეგი კვლევა: იმისათვის, რომ 1, 2, 3, და 4 ცხრილებში (სადაც წარმოვადგინეთ ბილინგვალთა და მონოლინგვალთა *ლექსიკის შედარება*) მიღებული წილადი (Ttr-ის საშუალო მაჩვენებელი) თვალსაჩინო გაგვცხადდა, თითოეულ ჯგუფსა და ქვეჯგუფში შევაჯამეთ M ანუ სიტყვათა საერთო რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი და ერთმანეთს შევადარეთ მიღებული საშუალო მაჩვენებლები. სწორედ, ეს საშუალო მაჩვენებლები აჩვენებენ ლექსიკონის სიმდიდრეს თითოეულ ჯგუფსა და ქვეჯგუფში. შესაბამისად, მათი შედარება მთავარი „იარაღია“ მონო- და ბილინგვალებს შორის სხვაობის გამოსავლენად. ლექსიკური სიმდიდრის გამოთვლა ასახული გვაქვს ქვემოთ მოცემულ ერთიან ცხრილში (იხ. ცხრილი 16). წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს ჩვენი ჯგუფებისა და ქვეჯგუფების ერთმანეთთან შედარების მკაფიო სურათს, სადაც თვალნათლივ ვხედავთ შემდეგს: ლექსიკური სიმდიდრის საშუალო მაჩვენებლით პირველ ადგილზე არიან ქართველ-ბერძენი ბილინგვალეები ქართული ნარატივებით (I ჯგუფი, ქვეჯგუფი 1), მეორე ადგილზე - ბერძენი და ქართველი მონოლინგვალეები (III და IV ჯგუფები), მათი საშუალო მაჩვენებლები ზუსტად ერთმანეთის ტოლია (0.011 და 0.011), მესამე ადგილს იკავებენ ქართველ-ბერძენი ბილინგვალეები ახალბერძნული ნარატივებით (I ჯგუფი, ქვეჯგუფი 2), და უმნიშვნელო სხვაობით მეოთხე ადგილს ინაწილებენ პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალეები, რომელთა ქართული ნარატივების საშუალო მაჩვენებელი (0.003) ერთი ერთეულით უსწრებს მათსავე ახალბერძნული ნარატივების საშუალო მაჩვენებელს (0.002).

დასკვნის სახით, ნიშანდობლივია აღვნიშნოთ შემდეგი ფაქტი: გამომდინარე იქიდან, რომ როგორც ზემოთ მთლიანი ტექსტების შესწავლისა და ანალიზის შედეგად ვნახეთ, ქართველ-ბერძენი ბილინგვალეების ქართული ნარატივები სიტყვების საერთო რაოდენობის თვალსაზრისით საკმაოდ კარგ მაჩვენებელს გვაძლევს, თუმცა, იქვე აღვნიშნეთ და ხაზი გავუსვით, რომ მათთან ქართულად თხრობის დროს მრავალგზის დაფიქსირდა სიტყვების, ფრაზებისა და

წინადადებების გამეორებაც კი; რაც საბოლოოდ, აისახა სიტყვების მთლიან რაოდენობაზე. სწორედ ამ ანალიზზე დაყრდნობით, ლექსიკური მარაგის გაზომვის ჭრილში, უპირობო დომინანტებად სამართლიანად მივიჩნევთ, ჩავთვალოთ ბერძენი და ქართველი მონოლინგვალეები, როგორც ჩვენი კვლევის ყველაზე მდიდარი ლექსიკონის მფლობელი რესპონდენტები, რომლებთანაც მსგავსი შემთხვევა (თხრობის დროს სიტყვებისა და ა.შ. გამეორება) არ ან მცირე დოზით დაფიქსირდა.

ამ არგუმენტის გამყარების მიზნით, განვახორციელეთ საკონტროლო შემოწმება იმ ბილინგვალეების ქართული ნარატივებისა, სადაც ცდომილება დიდი იყო და კანონზომიერების დარღვევა გამოვლინდა. შედეგები ასეთია: 7 წლის ანასტასია, რომელმაც ქართულ ენაზე „*ბაყაყის მოთხრობის*“ აღსაწერად 262 სიტყვა-ფორმა გამოიყენა, განსხვავებული ლექსიკური ერთეული (ტოკენი) მხოლოდ 95 იყო. ანალოგიური სურათი მივიღეთ 10 წლის (ზუსტი ასაკი: 9,8 წ.) ლუკას ქართული ნარატივის გადამოწმებითაც: მას 220 სიტყვა-ფორმა აქვს გამოყენებული თხრობისას, თუმცა, აქედან განსხვავებული ლექსიკური ერთეული მხოლოდ 98 აღმოჩნდა; 8 წლის (ზუსტი ასაკი: 7,11 წ.) ამალის შემთხვევაც წინა ორის იდენტურია: მას 189 სიტყვა-ფორმა დასჭირდა ამბის ქართულად მოსათხოვად, მაგრამ, ამათგან განსხვავებული ტოკენი მხოლოდ და მხოლოდ 65-ია. *ანასტასია, ლუკა და ამალი* ის სამი ნარატორია, რომელთაც ოცი ბილინგვალიდან ერთი შეხედვით, ყველაზე მეტი სიტყვა გამოიყენეს ქართულად თხრობისას, რაც ლოგიკურად, მდიდარი ლექსიკის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რეალურად, შესაძლებელია ყველაზე სუსტი მოთხრობელები ვუწოდოთ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ცდის პირის ტექსტი ამავე მეთოდით ამ ეტაპზე არ შეგვისწავლია, ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს ორენოვან უმცროსკლასელთა ნარატივების გულდასმით წაკითხვა - ისინი დანარჩენ რესპონდენტებთან შედარებით, ყველაზე ხშირად მიმართავდნენ სიტყვების, ფრაზების თუ წინადადებების ხშირი გამეორების ხერხს, რაც პირდაპირ მიანიშნებს მათ ღარიბ ლექსიკურ მარაგზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდით ლექსიკური მარაგის გამოთვლა საკმაოდ რთულ სამუშაოს გულისხმობს, მაგრამ ნათელი სურათის მისაღებად - გაცილებით მიზანშეწონილია, რადგან მიღებული შედეგები სრულად გამორიცხავს მინიმალურ



უზუსტობასაც კი. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, თუ ემპირიული მასალის ამ კუთხით სრულად შესწავლის მიზნით, ჩვენ მიერ მოპოვებულ ყველა ნარატივში ლექსიკონის სიმდიდრის გაზომვას აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შევეცდებით, რასაც სამომავლო პერსპექტივაში ვგეგმავთ.

**ცხრილი 16. ლექსიკური სიმდიდრის მაჩვენებლები ბილინგვალ და მონოლინგვალ უმცროსკლასელებთან**

ლექსიკური სიმდიდრის გამოთვლა საშუალო მაჩვენებლების შედარებით			
ჯგუფები და ქვეჯგუფები	M - სიტყვათა საერთო რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი	Ttr-ის საშუალო მაჩვენებელი	ლექსიკონის სიმდიდრე
I ჯგუფი - ქვეჯგუფი 1: ქართველ-ბერძენი ბილინგვალეები <i>ქართული ნარატივები</i>	157.65	2.44	0.015
I ჯგუფი - ქვეჯგუფი 2: ქართველ-ბერძენი ბილინგვალეები <i>ახალბერძნული ნარატივები</i>	188.4	1.6	0.008
II ჯგუფი - ქვეჯგუფი 1: პონტ. ბერძენ-ქართველი ბილინგვ. <i>ქართული ნარატივები</i>	141	0.44	0.003
II ჯგუფი - ქვეჯგუფი 2: პონტ. ბერძენ-ქართველი ბილინგვ. <i>ახალბერძნული ნარატივები</i>	182	0.41	0.002
III ჯგუფი: ბერძენი მონოლინგვ. <i>ახალბერძნული ნარატივები</i>	215.5	2.35	0.011
IV ჯგუფი: ქართველი მონოლინგვ. <i>ქართული ნარატივები</i>	147.75	1.71	0.011

ვფიქრობთ, კვლევისთვის საინტერესო იქნებოდა, ნარატივებში ლექსიკური მარაგის მონაცემების ანალიზისას, გაგვეთვალისწინებინა *ნარატორთა ასაკი* და აღნიშნული საკითხი ამ ჭრილშიც შეგვესწავლა.

აღსანიშნავია ის, რომ ბერძენ ერთენოვან ცდის პირთა მონაცემებში შეინიშნება საკმაო სხვაობა (მზარდი მაჩვენებელი), კერძოდ: ასაკობრივი ზრდის მიხედვით იზრდება თხრობაში სიტყვების რაოდენობაც. ამ მხრივ, განსაკუთრებით თვალშისაცემია, 7, 8 და 10 წლის მონოლინგვალთა ნარატივები, თუმცა, ამას ვერ ვიტყვით ოცივე ნარატივზე, რადგან 6 წლიან მონოლინგვალთა სამივე ნარატივი

არათანაბარ სურათს გვაძლევს, სადაც აღნიშნული ასაკის ნარატორები 138, 211 და 249 სიტყვის გამოყენებით აღწერენ სურათებს. ასაკობრივ ზრდასთან ერთად სიტყვათა მზარდი მაჩვენებლების ზოგადი სურათი კი შემდეგია: თუ 6 წლის ალექსანდრა „ბაყაყის მოთხრობას“ 138, 7 წლის პანაიოტისი კი 188 სიტყვით გადმოგვცემს, 8 წლის გიორგომ - 204, 9 წლის მაგიამ - 257, 10 წლის კატერინამ კი 368 სიტყვა გამოიყენა. ჩვენი ნარატორები ასაკობრივი ზრდის და მიხედვით მოთავსებული გვყავს ქვემოთ მოცემულ ერთიან ცხრილში (იხ. ცხრილი 17), სადაც თითოეული ცდის პირის ასაკის გვერდით გრაფაში მოცემულია ლექსიკური მარაგის (ტექსტებში სიტყვათა საერთო რაოდენობის) აღმნიშვნელი მონაცემები.

**ცხრილი 17. ბილინგვალი და მონოლინგვალი ნარატორები ასაკობრივი ზრდის მიხედვით**

ქართველ-ბერძენი ბილინგვალები				ბერძენი მონოლინგვალები	
№	ნარატორები	ლექსიკური მარაგი		ნარატორები	ლექსიკური მარაგი ახალბერძნულში
		ქართულში	ახალბერძნ.		
1	ლუკა (10 წ.)	140 სიტყვა	180 სიტყვა	კოსტას (10 წ.)	215 სიტყვა
2	თაზო (9,9 წ.)	159 სიტყვა	178 სიტყვა	იანის (10 წ.)	206 სიტყვა
3	ელენე (9,9 წ.)	171 სიტყვა	231 სიტყვა	კატერინა (10 წ.)	368 სიტყვა
4	ლუკა (9,8 წ.)	220 სიტყვა	175 სიტყვა	რაფაელა (10 წ.)	246 სიტყვა
5	ლიზი (9,7 წ.)	114 სიტყვა	189 სიტყვა	სავას (10 წ.)	222 სიტყვა
6	მარიამი (9,6 წ.)	114 სიტყვა	178 სიტყვა	მაგია (9 წ.)	257 სიტყვა
7	ელენე (9 წ.)	171 სიტყვა	156 სიტყვა	კოსტას (9 წ.)	185 სიტყვა
8	ალექსი (8,9 წ.)	206 სიტყვა	244 სიტყვა	ელენა (9 წ.)	167 სიტყვა
9	ლაზარე (8,3 წ.)	194 სიტყვა	209 სიტყვა	ნიკოლეტა (8 წ.)	185 სიტყვა
10	საზა (8 წ.)	113 სიტყვა	166 სიტყვა	გიორგოს (8 წ.)	198 სიტყვა
11	ამალი (7,11 წ.)	189 სიტყვა	208 სიტყვა	იანის (8 წ.)	221 სიტყვა
12	ვივიანი (7,7 წ.)	146 სიტყვა	144 სიტყვა	გიორგოს (8 წ.)	204 სიტყვა
13	ლიზი (7,1 წ.)	164 სიტყვა	218 სიტყვა	არის (8 წ.)	313 სიტყვა
14	ანასტასია (7 წ.)	262 სიტყვა	165 სიტყვა	იანის (8 წ.)	176 სიტყვა
15	მარიამი (7 წ.)	107 სიტყვა	191 სიტყვა	პანაიოტის (7 წ.)	188 სიტყვა
16	ენრიკე (6,9 წ.)	159 სიტყვა	212 სიტყვა	დიმიტრის (7 წ.)	176 სიტყვა
17	ალექსანდრე (6,6 წ.)	114 სიტყვა	166 სიტყვა	ალექსანდროს (7 წ.)	185 სიტყვა
<b>მამით ბერძენი</b>		<b>ბილინგვ.</b>			
18	მარკო (9,2 წ.)	180 სიტყვა	246 სიტყვა	ალექსანდრა (6 წ.)	138 სიტყვა
19	გიორგოს (8,6 წ.)	108 სიტყვა	175 სიტყვა	ნიკოლას (6 წ.)	211 სიტყვა
20	მარია (6,10 წ.)	122 სიტყვა	167 სიტყვა	იოლი (6 წ.)	249 სიტყვა

პონტოელი ბერძენ- ქართველი ბილინგვალეები				ქართველი მონოლინგვალეები	
ნარატორები		ლექსიკური მარაგი		ნარატორები	ლექსიკური მარაგი ქართულში
		ქართულში	ახალბერძნ.		
1	ოლგა (9,1 წ.)	133 სიტყვა	178 სიტყვა	ნელი (10 წ.)	184 სიტყვა
2	გიორგი (8 წ.)	143 სიტყვა	197 სიტყვა	გიორგი (10 წ.)	176 სიტყვა
3	მარიამი (7,3 წ.)	147 სიტყვა	171 სიტყვა	გიორგი (9,4 წ.)	128 სიტყვა
4				ბიჭიკო (9,2 წ.)	128 სიტყვა
5				ლიზი (9 წ.)	128 სიტყვა
6				ნინო (8 წ.)	164 სიტყვა
7				თენგი (7 წ.)	128 სიტყვა
8				გიორგი (6 წ.)	146 სიტყვა

ამ თვალსაზრისით, ორენოვან ცდის პირებთანაც თითქმის იდენტურ სურათს მივიღებთ, თუ ზემოთ ლექსიკური სიმდიდრის გაზომვისას გამოყენებულ ე.წ. საკონტროლო მეთოდს მივმართავთ. შესაბამისად, ქართველ-ბერძენ ბილინგვალთა ქართული ტექსტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათ ნარატივებში ასაკობრივი ზრდა მეტ-ნაკლებად იწვევს ტექსტების მოცულობის ზრდასაც. რაც შეეხება ამავე ბილინგვალთა ახალბერძნულ ენაზე შესრულებულ ნარატივებს, იქ სურათი კიდევ უფრო ა) მკაფიოა: მონაწილეების ზუსტად 80% ასაკობრივი ზრდის მიხედვით ლექსიკური მარაგის მაღალ მაჩვენებელს გვიჩვენებს; და ბ) ზუსტიც (ზემოხსენებული მაკონტროლებელი მეთოდის ჩართვის გარეშე): ვინაიდან როგორც ემპირიული მასალის სხვადასხვა მიმართულებით შესწავლისა და ანალიზის დროს არაერთხელ აღვნიშნეთ, ბილინგვალებს თანამედროვე ბერძნულად თხრობის პირობებში სიტყვების გამეორებისთვის არ ან იშვიათ შემთხვევებში მიუმართავთ. თითქმის ანალოგიურ სურათს გვამღევეს პონტოელ ბერძენ-ქართველ ორნოვან უმცროსკლასელთა ტექსტების ანალიზიც.

აქვე, ხაზი უნდა გაესვას ერთ მნიშვნელოვან დეტალს: ბილინგვალთა ორივე ენაზე მოთხრობილ ტექსტებში გამოყენებულ სიტყვათა რაოდენობას თუ დავაკვირდებით, ცალსახად დავინახავთ, რომ ორივე ჯგუფის ცდის პირთა დაახლოებით 83% ახალბერძნულ ენაზე თხრობისას რაოდენობრივად უფრო მეტ სიტყვას გამოიყენებს, ვიდრე ქართულ ენაზე.

ამ მხრივ, ცოტათი განსხვავებული და არაერთგვაროვანი სურათი გვაქვს ქართველ ერთენოვან ცდის პირებთან, სადაც უმცროსკლასელთა ასაკობრივი ზრდა თითქოს გავლენას არ ახდენს თხრობაში სიტყვათა საერთო რაოდენობაზე: ეს შედეგი აჩვენა მონაწილეთა თითქმის 38%-მა (იხ. ზემოთ მოცემული ცხრილი 17).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზოგადად, ბილინგვიზმის შესწავლა ხდება არამხოლოდ ლინგვისტური, ფსიქოლოგიური თუ სოციოლოგიური თვალსაზრისით, არამედ საზოგადოებაში ძალაუფლებასა და პოლიტიკურ სისტემებთან მიმართებაშიც. ამ მხრივ, აღსანიშნავია ბილინგვალ ქალებთან მიმართებაც, რომელიც დეფიციტური ხედვიდან გამომდინარეობს (პავლენკო, 2001; პავლენკო & პილერი, 2001). მაგალითად, ითვლებოდა, რომ ქალი ნაკლებად ბილინგვალია, ვიდრე მამაკაცი და რომ ქალებს მიდრეკილება აქვთ უმცირესობის და არა უმრავლესობის ენის შესწავლისკენ: „ბევრ საზოგადოებაში დომინანტი ენა უკავშირდება ძალაუფლებას და ასოცირდება მამრობით სქესთან, ხოლო უმცირესობათა ენა უკავშირდება საოჯახო ღირებულებებს და მდედრობით სქესს“ (პავლენკო, 2001ა: 128). აღნიშნული ცხადყოფს, რომ ენა და სქესი ერთმანეთთან კავშირშია და ბილინგვიზმს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს განსხვავებულ ჯგუფებთან მიმართებით (ბეიკერი, 2010: 376).

მოცემული თეორიის კვალდაკვალ, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ *გენდერული ფაქტორის* გათვალისწინებაც, რათა გამოგვეკვეთა გოგონები უკეთ ფლობენ ლექსიკას თუ ბიჭები. I ჯგუფის ორივე ქვეჯგუფის მონაცემების მიხედვით, ვაჟები პროცენტულად უსწრებენ გოგონებს სიტყვათა საერთო რაოდენობით, როგორც ქართულ ისე ახალბერძნულ ენაზე ნაწარმოებ ნარატივებში. მონაცემების სიზუსტეს ამყარებს ის ფაქტორიც, რომ ამ ჯგუფში გენდერული თანასწორობა დაცულია (10 გოგო და 10 ბიჭი).

II ჯგუფში (პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალები) შემავალი სამი ბილინგვალიდან ბიჭი ერთია. მოცემული სამეულიდან ის მეორე ადგილს იკავებს ქართულ ენაზე (ქვეჯგუფი 1) წარმოებული ნარატივის დროს გამოყენებული სიტყვების საერთო რაოდენობით, ახალბერძნულ ენაზე (ქვეჯგუფი 2) მოთხრობილი ნარატივით კი, იგი ლიდერობს დანარჩენ ორ გოგონასთან შედარებით.

ზემოაღნიშნულ I და II ჯგუფებში სიტყვების ყველაზე მცირე რაოდენობა 150-მდე მერყეობდა, ყველაზე მეტი კი - 200+ (ორასი და მეტი).

III ჯგუფში (ბერძენი მონოლინგვალები) ვაჟები გოგონებს თითქმის ორჯერ აღემატება (13 ბიჭი და 7 გოგო), მაგრამ, მონაცემებს პროცენტულად თუ გადავხედავთ, თითქმის თანაბრად მიდიან. თუმცა, გოგონები ცოტათი აქაც ჩამოუვარდებიან ბიჭებს, რომლებთანაც 150 სიტყვამდე ნარატივი არ დაფიქსირებულა. აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ წინა ორ ჯგუფთან შედარებით, ამ ჯგუფში სიტყვების საერთო ოდენობების შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. მაგალითად, ოციდან ორმა მონოლინგვალმა (1 ბიჭი და 1 გოგონა) 300+ (სამასი და მეტი) სიტყვა გამოიყენა ახალბერძნულ ენაზე თხრობისას.

IV ჯგუფში (ქართველი მონოლინგვალები) ორით მეტი ბიჭია გოგონებთან შედარებით (5 ბიჭი და 3 გოგო). ზემოაღნიშნული ჯგუფების მონაცემებთან შედარებით, ამ ჯგუფში გოგონები ვაჟებთან შედარებით უკეთ ფლობენ ლექსიკას. ნარატივებში მოცემული სიტყვების ყველაზე მეტი რაოდენობა (200-მდე სიტყვა) პროცენტულად გოგონებმა მეტჯერ გამოიყენეს (3-დან 2-მა გოგონამ აწარმოა თხრობა 200-მდე სიტყვით, 5 ბიჭიდან კი 200-მდე სიტყვა თხრობისას მხოლოდ ერთმა გამოიყენა).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამჯერადაც, ნიშანდობლივი და გასათვალისწინებელია კიდევ ერთხელ აღინიშნოს ის ფაქტორი, რომ ბილინგვალები შეფერხებული თხრობის პირობებში საკმაოდ ხშირად იმეორებდნენ ერთსა და იმავე სიტყვებს და, საბოლოოდ, ეს მოცემულობა აისახა სიტყვების ჯამურ მაჩვენებელზე (ასაკის და სქესის მიუხედავად). შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის ამ კუთხითაც შესწავლა მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ. ქვემოთ კი წარმოდგენილია გენდერული ფაქტორის გათვალისწინებით და სათანადო მონაცემებით შედგენილი ცხრილი 18.

ცხრილი 18. გენდერის გაზომვა ბილინგვალ და მონოლინგვალ უმცროსკლასელებში

გენდერის და ლექსიკის შედარებითი შესწავლა ბილინგვალ და მონოლინგვალ ნარატორებთან				
ჯგუფები და ქვეჯგუფები	გოგონა	ბიჭი	ლექსიკური მარაგი <i>ქართ. ნარატივებში</i>	ლექსიკური მარაგი <i>ახალბერძ. ნარატივებში</i>
I ჯგუფი: 1 & 2 ქვეჯგუფები ქართველ-ბერძენი ბილინგ.	10	10	ა) 150 სიტყვამდე (4 ბიჭი vs 5 გოგო); ბ) 200+ (2 ბიჭი vs 1 გოგო);	ა) 200 სიტყვამდე (6 ბიჭი vs 7 გოგო); ბ) 200+ (4 ბიჭი vs 3 გოგო);
II ჯგუფი: 1 & 2 ქვეჯგუფები პონტ. ბერძენ-ქართვ. ბილინგ.	2	1	ა) 150 სიტყვამდე (2 ბიჭი vs 1 გოგო);	ა) 150-დან 200 სიტყვამდე (1 ბიჭი vs 2 გოგო);
III ჯგუფი: ბერძენი მონოლინგვალეები	7	13	--	ა) 200 სიტყვამდე (5 ბიჭი vs 2 გოგო); ბ) 300+ (1 ბიჭი vs 1 გოგო)
IV ჯგუფი: ქართ. მონოლინგ. (პროფ. ნ. იმედაძის კვლევა)	3	5	ა) 200 სიტყვამდე (3-დან 2 გოგო vs 5-დან 1 ბიჭი)	--

2. მორფოსინტაქსური შედარება გულისხმობს გარკვეულ მორფოლოგიურ და სინტაქსურ ცდომილებებს, რომლებიც გამოვყავით კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, განვახორციელეთ ნარატორების მიერ დაშვებული ისეთი შეცდომების კლასიფიცირება, რომლებიც, დიდი ალბათობით, პირველი ენის მეორეზე გავლენით (იშვიათად - პირიქითაც) არის გამოწვეული.

ტექსტებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ფორმები, რომლებიც, სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით, მიუღებელია, თუმცა, აღნიშნული ფორმების დეტალური ანალიზი ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება; მაგალითად, საკმაოდ ხშირია დიალექტური ლექსიკისა (*აყუდებული, დაწოლებული, გაკვეტებული, ჯდის, ჯდას, ჟდია, ზიან* და სხვ.) (ჯორბენაძე, 1989: 472, 520, 540-550) და ბარბარიზმების (ძირითადად - რუსიციზმების) (*ადიალა, კრაოტი, ბანკა, ვაზა, ასიოლი...*) (<https://barbarisms.ge/>) გამოყენება. საინტერესოა რამდენიმე ფონეტიკური მოვლენისა თუ მორფოლოგიური და სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენება, რომლებიც ცალსახად დასავლური დიალექტების წრისთვისაა დამახასიათებელი და ბერძნული ენის გავლენასთან კავშირი არ აქვს: კერძოდ, მაგალითებში: *ბავშვ-მა ავიდა, ბავშვ-მა*

*ჩამოვარდა, ძაღლ-მა მივიდა* - აქტიურ ზმნებთან ერგატივის გამოყენება ზანიზმებად განიხილება (შანიძე, 1980: §278; კვაჭაძე, 1993: 223-230; ჯორბენაძე, 1989: 526; ასევე, იხ. ჟღენტა, 1940).) და ინტერფერენციის გავლენა ნაკლებ სავარაუდოა... ასევე, *ბავშვის ერთად, მის ერთად, ძაღლის ერთად*, ტიპის ფორმები, რომელთა წარმომავლობაც, ასევე, არანაირად არ უკავშირდება სხვა ენის გავლენას (ჯორბენაძე, 1989)... დიალექტური ფორმებია: *ავიღენ, იპოვენ, ჩამოვარდენ, ნახენ, ჩახტენ, ეძებენ, უყურენ, გადავიღენ, გავიღენ, წავიღენ, მოძებნენ*, ფორმებიც (ჯორბენაძე, 1989: 519, 540-545, 550)... მოვიყვანთ ერთ-ერთი, წარმოშობით იმერელი, რესპონდენტის მიერ მოთხრობილ აბზაცს, რომელიც „მდიდარია“ მსგავსი ფორმებით: „მერე ძაღლი და ბავშვი *ეძებდენ* ამ ბაყაყს. მერე *გამოვიღენ* ტყეში ძაღლი და ბავშვი. მერე ბავშვი და ძაღლი *ცურაობდენ* წყალში; მერე იქ ხიდიდან *იყურებოდენ* ქვემოთ და მერე ხიდზე *დაწვენ* და აქ *იყვენ* ბაყაყები” (ვივიანი, 7,7 წ.). ჩვენი კვლევის მიღმა დავტოვეთ, აგრეთვე, ფონეტიკური შეცდომები (*დაზღვევენ, მიზღვევენ, გვერძე, დაეკარეს* და სხვ.) (ჯორბენაძე, 1989: 530-537; კვაჭაძე, 1993: 63-68), რომლებიც აშკარად დასავლური დიალექტების წრის წარმომადგენელთა მეტყველების მახასიათებელია...

ინტერფერენციის მოვლენით გამოწვეულ ცდომილებათა შემდეგი ჯგუფები გამოვყავით:

**ა) მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება რიცხვში:**

ნაშრომში განხილული ოცდასამი ბილინგვალური რესპონდენტის ქართული ნარატივის ნიმუშში გვხვდება არსებითი და რიცხვითი სახელების რიცხვში შეთანხმების 14 მაგალითი: ...ახლა ნახეს *ორი ბაყაყი* ხეზე; ...მათ დაბლა არის ხეს ტრიპაში *ორი ბაყაყი*; ...ძაღლი უყურებს *ორ ბაყაყს*; ...ბიწუნა დაინახა *ორი ეე ბაყაყი*; ...ნახენ *ბაყაყი ორი*; ...მერე ძაღლმა და ამ ბავშვმა იპოვეს *ორი ბაყაყი*; ...აგერ ნახო *ორი ბაყაყი*; იგერ იყო *ორი ბაყაყი*; ...ხოდა მერე ნახეს ბაყაყი, *ორი ბაყაყი*; ...აქ ბავშვი და ძაღლმა იპოვეს *ორი ბაყაყი*; ...მერე ხის უკან დაინახეს ბაყაყი. *ორი ბაყაყი* იყო; და ...ეეე... *ორ ბაყაყებს* ვხედავ მისი შვილებით (მარიამი, 9,6 წ.); ...ბაყაყებს ქონდათ *პაწაწუნები შვილები* (ენრიკე, 6,9 წ.); ...იპოვეს ბაყაყები, *ორი ბაყაყები* (გიორგოს, 8,6 წ.). წინამდებარე 14 მაგალითიდან მხოლოდ სამშია მსაზღვრელს-საზღვრულს შორის



რიცხვში შეთანხმება (ქართულ ენაში საზღვრული სახელი ვერ ითანხმებს ატრიბუტულ მსაზღვრელს რიცხვში - შანიძე, 1980). რესპონდენტები, რომლებმაც აღნიშნული შეცდომა დაუშვეს, საბერძნეთში მცხოვრები ქართველ-ბერძენი ბილინგვალები არიან (მესამე - გიორგოს - მამით ბერძენი). დაშვებული შეცდომები, სავარაუდოდ, ენობრივი კონტაქტების შედეგზე ანუ *ინტერფერენციაზე* მიგვანიშნებს, კერძოდ, რიცხვში შეთანხმება ახალი ბერძნული ენის გავლენით უნდა იყოს განპირობებული, სადაც მრავლობითში დასმულ არსებით სახელს როგორც რიცხვითი, ისე ზედსართავი სახელები მრავლობით რიცხვშივე შეეწყობა (თანამედროვე ბერძნული ენის სინტაქსი, 1996; კაცუდა, 2013).

ზემოხსენებულის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ იგივე რესპონდენტები ახალ ბერძნულ ენაზე შესრულებულ ნარატივებში ფაქტობრივად, შეცდომას არ უშვებენ. მოვიყვანთ როგორც საქართველოში, ისე საბერძნეთში მცხოვრები ბილინგვალების ნარატივებიდან რამდენიმე მაგალითს, რომელთაგან შეცდომა მხოლოდ ერთგან იკვეთება: ...Ο κύλος βλέπει δύο βατράχους και το παιδί βλέπει δύο βατράχους. ...Βρήκαν δύο βατράχους. ...Είδαν ένα βάτραχο, δύο, δύο βατράχους. ...Εκεί πίσω απ' το δέντρο βρήκαν δύο βατραχάκια. ...Και εκεί είδαν δύο βατράχους (ოლგა, 9,1 წ.). Και ξαφνικά πίσω απ' το δέντρο βρισκουν δύο βατραχάκια (მარია, 7,3 წ.). აღსანიშნავია, რომ ერთ ადგილას ნაპოვნი შეცდომა პირუკუ გავლენის მაგალითია, რომელიც მოცემულია შემდეგ წინადადებაში: Μετά είδε **δύο βάτραχο** (Ενρίκε, 6,9) რესპონდენტს საზღვრული მხოლობით რიცხვში აქვს დასმული: **δύο βάτραχο**. აღსანიშნავია ის, რომ ნარატორს ბრუნვა (აკუზატივი) სწორად აქვს შერჩეული. ახალბერძნული გრამატიკის თანახმად, ქართულისგან განსვავებით, მრავლობითში დასმულ რიცხვით სახელს არსებითი სახელი ასევე მრავლობითში შეეწყობა (თანამედროვე ბერძნული ენის სინტაქსი, 1996) აქ კი, ვფიქრობთ, რომ ქართულის გავლენით გამოწვეულ *ინტერფერენციის მოვლენასთან* გვაქვს საქმე.

აღნიშნულ კატეგორიაში შეცდომა არ დაუშვიათ ბერძენ მონოლინგვალებს. მათ ნარატივებშიც, ფაქტობრივად, იდენტური მაგალითები გვხვდება, რომლებიც ფოკუსირებულია *ბიჭუნასა* და *ძაღლის* მხრიდან *ორი ბაყაყის* პოვნაზე (იხ. დანართი 3). რაც შეეხება ქართველი მონოლინგვალების მხრიდან არსებითი და რიცხვითი



სახელების რიცხვში შეთანხმების შემთხვევებს, აქ 8 რესპონდენტიდან ოთხის ნარატივებში გვხვდება თითო-თითო შესაბამისი მაგალითი, მათგან მხოლოდ ერთმა დაუშვა შეცდომა, როცა კრებით სახელს არსებითი მრავლობით რიცხვში შეუწყო, თვალსაჩინოებისთვის იგი გამუქებული ასოებით გვაქვს აღნიშნული: შეძვრნენ და დაინახეს *ორი ბაყაყი* (ნელი, 10 წ.); თურმე *ორი ბაყაყი* მჯდარა შვილებით (გიორგი, 10 წ.); შორს, უკან გაიხედეს, *ორი ბაყაყი* დაინახეს (ლიზი, 9 წ.); ეხლა აქ იყვნენ *ბევრი ბაყაყები* (თენგო, 7 წ.). ამ უკანასკნელი მაგალითის ინტერფერენციის პრიზმაში განხილვა, რასაკვირველია, შეუძლებელია; უნდა ითქვას, რომ კრებით სახელებთან რიცხვში შეთანხმების წესის დარღვევა საკმაოდ გავრცელებულია და მონოლინგვალების მეტყველებაში, ბუნებრივია, სხვა ენის გავლენა არც განიხილება.

#### **ბ) მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვაში:**

წარმოვადგენთ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმების მაგალითებს:

*ერთი ბავშვი* არის და *ერთი ძაღლი* და *ერთი ბაყაყი*; *ერთმა ბუმ* ჩამოაგდო ბავშვი. ძაღლმა იპოვა *ერთი ბუდე*... *ფუტკარის ბუდე*; *ერთი...ბავშვი* ავიდა ირემზე; მერე ირემი.... ირემმა გადააგდო *ერთი ბიჭი* დაბლა; ძაღლი უყურებს *ორ ბაყაყს*; არის *ერთი ბიჭი*, რომელიც ჯდის *ერთ სკამზე*, რომელიც უყურებს *ერთ ბაყაყს*; აქ, *ის ბიჭი* ეძებს *იმ ბაყაყს*; ბიჭი ასულია *ერთ ხეზე*; და არის *ერთი ბაყაყი*, რომელიც არის წყალში; აგერ არის *ერთი ბავშვი*, რომელიც წევს და ზემოდან არის *ერთი ძაღლი*; აგერ არი *ერთი ძაღლი* ბალკონზე და *ერთი ბავშვი*, რომელიც იძახის რაღაცას; აგერ *ერთი ბავშვი* ეძებს და *ძაღლი ფუტკრებს* კბენს; *ერთი ბავშვი* არის ასული ხეზე და ეძებს; *ერთი ბავშვი* არის ასული დიდ ქვაზე და *ერთი ძაღლი* ეძებს *ქვის თავზე*; *ერთი ძაღლი* დარბის... და *ერთი ბიჭი* ზის ირემზე; *ის ბავშვი* ჩავარდა წყალში; *ერთი ბავშვი* ეძებს ხეში და ძაღლიც ეძებს; *ერთი ბავშვი* და *ერთი ძაღლი* ეძებდნენ ხეში, მერე *ძაღლმა* და *ამ ბავშვმა* იპოვეს *ორი ბაყაყი*; *ეს ერთი ბიჭია* და ბაყაყს უყურებს; ვხედავ *ერთ ძაღლს*, *ერთ ჩიტს*; ეხლა *ერთი ბავშვი* ეძებს ბაყაყს; ეეე ეხლა *ერთ ქვაზე* არი ასული ბავშვი. და მერე გამოვიდა *ერთი ირემი*; ვხედავ *ერთ ბავშვ* და *ერთ ძაღლს*, რომელიც ხედავს *ერთ ბაყაყს*; ვხედავ *ერთ ძაღლს*, *ერთ ბიჭს*.

აქ გვაქვს თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის საზღვრულთან სახელობით, მოთხრობით და მიცემით ბრუნვებში შეთანხმების შემთხვევები. მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ამ კატეგორიაში ქართული ნარატივების წარმოებისას ქართველ-ბერძენ ბილინგვალებს (I ჯგუფი, ქვეჯგუფი 1) შეცდომები თითქმის არ დაუშვიათ. ერთადერთი შეცდომა მიცემითშია დაშვებული: *ერთ ბავშვ*.

აქვე მოვიყვანთ II ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში (პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალეები) შემავალი რესპონდენტების ქართული ნარატივებიდან რამდენიმე მსაზღვრელ საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმების მაგალითს:

იყო *ერთი ბიჭი*, რომელიც ლოგინის წინ თავის ძაღლთან და ბაყაყთან ერთად იჯდა; საღამოს, *ამ ბიჭმა* დაიძინა. შემდეგ ხიდან ბავშვი ჩამოაგდო *ერთმა ბუმ*; *ერთი პატარა ბიჭუნა* და *ერთი ძაღლი* არიან ოთახში; აქ ვხედავ *ერთ ძაღლს* და *ერთ ბიჭს* ოთახში...

ზემოაღნიშნულ ქვეჯგუფში შეცდომა არ დაფიქსირებულა.

IV ჯგუფში (ქართველი მონოლინგვალეები) შემავალ რესპონდენტებს, ასევე, შეცდომა არ დაუშვიათ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმების კატეგორიაში. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: *ერთ დღეს*, *პატარა ბიჭმა* დაიჭირა ბაყაყი თავის ძაღლთან ერთად და ჩასვა ქილაში; მას ჰყავდა *ერთი პატარა ძაღლი*; ბიჭმა ნახა *ერთი პატარა სორო* და ძაღლმა დაინახა ხეზე ბზიკების სახლი; *ერთ ბიჭს* ბაყაყი ჰყავდა დაჭერილი (იხ. დანართი 4).

ქართველ-ბერძენი ბილინგვალე რესპონდენტების (I ჯგუფი, ქვეჯგუფი 2) ბერძნული ნარატივებიდანაც მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: *Ένα παιδί και ένας σκύλος* βλέπουν το βατραχάκι. Το οποίο έριξε κάτω *μια κουκουβάγια*. Εδώ *ένας σκύλος* και *ένα παιδάκι* και στο δοχείο είναι *ένας βάτραχος*. Και μετά κοίταξαν πίσω απ' το δέντρο και είδαν *δύο βατράχους*. Λοιπόν εδώ πέρα είναι *ένα αγοράκι* μαζί με τον σκύλο του που κοιτάει *αυτό τον βάτραχο*. Το αγοράκι αυτό κρατάει *έναν βάτραχο* και ο σκύλος κάθεσαι δίπλα του και *οι άλλοι βάτραχοι, πολλοί βάτραχοι* και τα παιδάκια τον βλέπουνε. Το παιδί είδε *δύο βατραχάκια*. Μετά βρήκε εεε πολύ *μικροί βάτραχοι* (Αναστασία, 7). აქ მუქად გვაქვს გამოყოფილი შეცდომით ნათქვამი ფორმა; შესაბამისად, როგორც ვხედავთ, აღნიშნული კატეგორიისთვის I ჯგუფის მეორე ქვეჯგუფის ნარატივებში

ერთადერთი შეცდომა იძებნება. ახალბერძნული ენის გრამატიკა პირდაპირ ობიექტს აკუზატივში მოითხოვს (კაცუდა, 2013; თანამედროვე ბერძნული ენის სინტაქსი, 1996), მოცემულ მაგალითში: Μετά βρήκε εεε... πoλς μικροί βάτραχοι ჩვენს რესპონდენტს კი ისინი (ზედსართავი - „*μικροί*” და არსებითი - „*βάτραχοι*” სახელები) სახელობით ბრუნვაში აქვს ჩასმული (სწორი ფორმა იქნებოდა: Μετά βρήκε εεε... πoλς *μικρούς βατράχους*); სავარაუდოდ, იკვეთება ქართული ენის გავლენა (პირდაპირი ობიექტის სახელობითი ბრუნვით გამოხატვა და, შესაბამისად, ნომინატივში მსაზღვრელის შეთანხმება - შანიძე, 1980).

რაც შეეხება, პონტოელ ბერძენ-ქართველი ბილინგვალეებისა (II ჯგუფი, ქვეჯგუფი 2) და ბერძენი მონოლინგვალეების (III ჯგუფი) ახალბერძნულ ნარატივებს, მათ ამ კატეგორიაში შეცდომები არ დაუშვიათ (იხ. დანართები 2, 3).

#### გ) ზმნის კოორდინაციული სტრუქტურა:

სახელი-ზმნის (N-V) ურთიერთობისას გვხვდება გარკვეული სახის ცდომილებები: მაგალითად, წინადადებაში: „ბავშვმა ავიდა ირემზე და ძალლი გარბის“ (თაზო, 9,9 წ.) - სუბიექტი ერგატივშია, მაშინ, როცა შემასამენელი გარდაუვალი ზმნითაა წარმოდგენილი და მოითხოვს ბრუნვაუცვლელ სუბიექტს სამსავე სერიაში (კვაჭაძე, 1993: 223-230); ანალოგიური ცდომილებაა წინადადებებში: „ბავშვმა ჩამოვარდა (ხიდან); ბავშვმა ჩამოვარდა და ძალლიც ვარდება... ჩამოვარდა კლდიდან...; ბავშვმა და ძალლმა ავიდენ ხეზე“ (თაზო, 9,9 წ.). „მერე ძალლმა მივიდა და ბოთლში თავი შეეყო“ (ალექსი, 8,9 წ.); „ბიჭმა ძალლს უძახის“ (მარიამი, 9,6 წ.); „ბავშვმა ავიდა და არ ეძებს“ (ელენე, 9 წ.); „ბავშვმა ჩავიდა წყალში, ძალლიც“ (მარიამი, 7 წ.); „მერე ამ ძალლს რომ შეეშინდა გაიქცა, ბიჭმა წაიქცა“ (ანასტასია, 7 წ.); „ბავშვი ეძებს მიწაში, ძალლმა ეძებს ფუტკარის სახლში; ბიჭი ჩამოვარდა ხიდან, ძალლმა გაიქცა; ბიჭმა ირემზე დაჯდა“ (საბა, 8 წ.).

თორმეტივე წინადადებაში არსებითი სახელები - *ბავშვი, ძალლი, ბიჭი* მოთხრობით ბრუნვაშია დასმული (*ბავშვ-მა ავიდა, ბავშვ-მა და ძალლ-მა ავიდენ, ბავშვ-მა ჩამოვარდა, ძალლ-მა მივიდა, იხ. ზემოთ*), რაც დასავლური დიალექტებისთვის დამახასიათებელ მოვლენად ფასდება (ამაზე საუბარი

მორფოსინტაქსური შედარების შესავალ ნაწილშიც გვექონდა, და ხაზი გავუსვით ამ ტიპის შეცდომების წარმოშობის ძირითად მიზეზსაც, მაგრამ გამონაკლისი შემთხვევების გამო, აქ კვლავ ვუბრუნდებით ამ საკითხს). ზემოთ მოყვანილი წინადადებების უმეტესი ნაწილის (დაახლ. 70%) ავტორები წარმოშობით დასავლეთ საქართველოს (კერძოდ, აჭარის რეგიონი და იმერეთის მხარე) მიეკუთვნებიან. მაგრამ ექვსიდან ორი რესპონდენტის მშობლები აღმოსავლეთ საქართველოდან (კერძოდ, ქ. თბილისი და ქართლი) არიან. შესაბამისად, კვლევისთვის საინტერესო კერძო შემთხვევებია და ვფიქრობთ, ყურადსაღებიც, რათა დავადგინოთ ერგატივის ამ კონტექსტში გამოყენების სავარაუდო მიზეზები. თანამედროვე ბერძნული ენის გავლენაზე ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ვერ ვისაუბრებთ, რადგან ერგატიული კონსტრუქცია უცხოა ბერძნული სინტაქსისთვის (თანამედროვე ბერძნული ენის სინტაქსი, 1996; სტეფანი & ხრისტოფიდუ, 2009; არვანიტაკისი & არვანიტაკი, 2006; მავრულია & გეორგაძი, 2002); სავარაუდოდ, საქმე გვაქვს ანალოგიასთან; მოცემული ზმნები აქტიურია, შესაბამისად - ბილინგვალის მიერ აღქმულია გარდამავალ ზმნებად და იყენებენ გარდამავალი ზმნის კონსტრუქციას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნაშრომში მოყვანილი მაგალითების ავტორები საბერძნეთში არიან დაბადებულნი და მათ ქართული ენის გრამატიკის ელემენტარული კურსიც კი სრულად არ შეუსწავლიათ (ჩვენი რესპონდენტების დაახლოებით 30%-ს, რომლებიც კვირაში ერთი ან ორი დღე ქ. ათენში არსებულ ქართულ საგანმანათლებლო ცენტრებში დადიან, ცალკე გრამატიკის გაკვეთილები არ უტარდებათ, თუმცა, აქვე დავსძენთ, რომ ზემოთ მოყვანილი წინადადებების ორივე რესპონდენტი: 7 წლის ანასტასია და 9 წლის ელენე ზემოაღნიშნული ერთ-ერთი საგანმანათლებლო კერის აღსაზრდელები არიან - ავტ.), შეიძლება გაჩნდეს ლოგიკური კითხვა: მაშ, როგორ და რა გზით მივიდნენ ისინი ამ ფორმების გამოყენებამდე? ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში არ უნდა გამოვრიცხოთ ჩომსკის ცნობილი იდეა *უნივერსალური გრამატიკის თანდაყოლილობის* შესახებ, რომელიც ხშირად ახსნას მოითხოვს მეტყველების განვითარების კონკრეტული სტადიების გასაგებად. თანდაყოლილი უნივერსალური გრამატიკის მექანიზმი ვერ ხსნის განვითარების თანმიმდევრობას. „უნივერსალური გრამატიკა ყოველთვის (ყველა საფეხურზე) ერთი და იგივეა“ - შენიშნავს ტომაზელო

(2005). აღსანიშნავია შემდეგიც: თუ ვაღიარებთ, რომ ბავშვს აქვს გრამატიკის ათვისების სპეციფიკური შემოქმედებითი უნარი, ეს სპეციფიკურობა არ გამორიცხავს მისი კანონზომიერების დადგენის შესაძლებლობას. სწორედ ეს დაისახა მიზნად სლობინმა თავის ნოვატორულ ნაშრომში „გრამატიკის განვითარების კოგნიტური წანამდღვრები“ (სლობინი, 1973). თავისი კვლევის სფეროს სლობინი „განვითარების ფსიქოლინგვისტიკას“ (Developmental psycholinguistics)<sup>18</sup> უწოდებს. მან ივარაუდა, რომ განვითარების პროცესში „ბავშვი გამოიმუშავებს მთელ რიგ *მაოპერირებელ პრინციპებს* - სტრატეგიებს, რომლებიც საჭიროა ენის დაუფლების პრობლემის გადასაწყვეტად, მაოპერირებელი პრინციპი მოწოდებულია აჩვენოს თუ რომელი გრამატიკული წესის „აღმოჩენა“ ბავშვისათვის მეტ-ნაკლებად ადვილი. სლობინი უშვებს, რომ გრამატიკული განვითარების პირველ კოგნიტურ წანამდღვარს სენსომოტორული ინტელექტის განვითარება წარმოადგენს, მაგალითად, სივრცითი მიმართების გამოსახატავად (წინ, უკან, შიგნით, ზევით, ქვევით და სხვ.)“. სწორედ ამ უნივერსალური პრინციპების არსებობა წარმოადგენს ენის ათვისების *პირველ საიდუმლოებას*, როგორც მას პროფ. ნ. იმედაძე უწოდებს (იმედაძე, 2017: 6). ვნახოთ ერთ-ერთი ასეთი პრინციპის მუშაობის მაგალითი: ბავშვი ქმნის ახალ გამონათქვამებს ათვისებული ნიმუშების და მათი განზოგადების საფუძველზე. იმას, რომ ეს არ არის პირდაპირი გამეორება, მოწმობს ყველა ენაში შემჩნეული თავისებური შეცდომები - *ე.წ. მარკირების ზეგენერალიზაციები*. ინგლისელ ბავშვებთან ამის მაგალითია **goed - went**-ის მაგივრად, **comed - came** -ის მაგივრად, პროფესორ იმედაძის მასალიდან: „*არ ვთქვ -ამ*“ (*არ ვიტყვის* ნაცვლად), „*წავიდ-ებ*“ (*წავალ*-ის ნაცვლად), ჩვენი მასალიდან: „*ყეფ-ავ-ს*“ (*უყეფს* ნაცვლად), სადაც ბავშვი თითქოს აღმოაჩენს გრამატიკული ფორმის აგების პრინციპს და იყენებს მას ყველა ანალოგიურ შემთხვევაში, ცდილობს გრამატიკული მარკირების გენერალიზაციას და უკვე დაუფლებული ფორმის გავრცობას იმავე დროში ნახმარი ყველა ზმნისთვის

<sup>18</sup> ტერმინი „განვითარების ფსიქოლინგვისტიკა“ (Developmental Psycholinguistics) პირველად გამოიყენა დევიდ მაკნილმა, 1966 წელს, ბავშვის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის მიერ (National Institute of Health) Massachusetts მოწყობილ კონფერენციაზე "Language Development in Children".

(იმედაძე, 2017: 6-7). სლობინის აზრით, ბავშვი ოპერირებს პრინციპით „ერიდე გამონაკლისს!“. ინგლისელი ბავშვისათვის ენის დაუფლების გარკვეულ ეტაპზე ყველა ზმნას Past Tence-ში „-ed“ დაბოლოება უნდა ჰქონდეს. სწორედ, ასეთი და ანალოგიური მაგალითების ასახსნელად შეიქმნა ტერმინები: „გაუცნობიერებელი განზოგადება“ (ბოჟოვიჩი), „ჰიპოთეზების წამოყენება და შემოწმება“ (მარკმანი) და ნაწილობრივ, ჩომსკის „თანდაყოლილი გრამატიკული მექანიზმი“ (Language Acquisition Device LAD). ბოლო წლებში ადრეულ საფეხურზე გრამატიკული სტრუქტურების დაუფლების გაგება ნაცადია კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელობის მქონე ენობრივი სიმბოლოების ათვისების საშუალებით. ამ სიმბოლოების ქვეშ იგულისხმება არა მარტო სიტყვები, არამედ გარკვეულ სიტუაციებში ნახმარი ენობრივი კონსტრუქციებიც (კროფტი, 2001; ზაიბი, 2002; ტომაზელო, 2005 და სხვ.). ცნობილი პოლონელი მეცნიერი მაგდალენა სმოჩინსკა (Smoczynska, 1990) შენიშნავს: „ბავშვის მეტყველება არ არის მოზრდილი ადამიანის მეტყველების არასრულყოფილი ვერსია, იგი წესთა თანმიმდევრული სისტემაა, რომელიც ორგანიზებულია თავისებური გზით. აქედან გამომდინარე მასში არ არსებობს შეცდომები, რადგანაც მისი განვითარების ნებისმიერ მომენტში ის ფუნქციონირებს როგორც სრული მთლიანობა“ (<https://www.qwelly.com/group/psychology/forum/topics/qartuli>).

წინადადებებში: „**ბავშვი გაიხედა გარეთ** და ყვირის რო მიშველეთ, მიშველეთ...“; (თაზო 9,9 წ.); „**ბავშვი გაიღვიძა და ძაღლი არის ზემოთ**“ (ელენე, 9 წ.); „**ბავშვი გაიხედა გარეთ, ძაღლიც გაიხედა გარეთ**“ (საბა, 8 წ.); „**ძაღლი ჩამოაგდო ფუტკრების სახლი და ისა უყურებს ძაღლი**“ (ალექსანდრე 6,6 წ.); „**ბავშვი უკულმა წევს და ძაღლი გაიღვიძა..**; მერე **ბავშვი გაიხედა და ძაღლიც (გაიხედა)** და ძაღლს რაღაცა ეფარა თავზე; მერე **ძაღლი ჩაიხედა** და არც აქ არ იყო, მერე ეს აქ ქვიშავდა (ბიჭი) და რომ ნახოს ბაყაყი“ (ამალი, 7,11 წ.); „**ბავშვი გაიღვიძა და ძაღლიც, ძაღლიც გაღვიძა**, უყურებენ ბაყაყი არაა...; **ბავშვი გაიხედა გარეთ, ძაღლიც გაიხედა; ბავშვი დაიყვირა:** ბაყაყო, სად ხარ? **ძაღლიც დაიყვირა; ირემი ჩამოაგდო ბავშვი, ძაღლიც ვარდება**“ (გიორგოს, 8,6 წ.); „**აქ ძაღლი ჩამოაგდო ფუტკრების სახლი; მერე ხელი დაუქნია ბავშვი** ბაყაყებს და **ძაღლიც იგივე (ხელი დაუქნია)** ბაყაყებს“ (მარია, 6,10 წ.) – ზმნა-

შემასმენელი სახელობით ბრუნვაში დასმულ ქვემდებარეს შეიწყობს. ქართული ენისათვის, როგორც ცნობილია, ზმნა-შემასმენელი მეორე სერიის ფორმებთან ქვემდებარეს მოთხრობითში მოითხოვს (კვაჭაძე, 1993: 231-232), ბილინგვალ ნარატორთა მეტყველებაში კი ბერძნულისთვის დამახასიათებელი ნომინატიური კონსტრუქციაა (კაცუდა, 2013: 21) გამოყენებული; შესაბამისად, აქ *ინტერფერენციის მოვლენა* იჩენს თავს.

ახალბერძნული ენის გრამატიკული კანონზომიერებით იხსნება შემდეგი ძალზედ საინტერესო მაგალითებიც: „აქ *ადამიანი ძინავს*“, „*ძალდი ძინავს*“. ქართულში ამ შემთხვევაში სუბიექტი მიცემითშია (კვაჭაძე, 1993: 198-200, 205-206, 231; კვაჭაძე, 2010: 74-76); ახალბერძნულში კი მდგომარეობის გამომხატველი ერთპირიანი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში დგას (კაცუდა, 2013; სტეფანი & ხრისტოფიდუ, 2009); (იხ. მოცემული მაგალითები ახალბერძნულ თარგმანში: „Εδώ *ο άνθρωπος κοιμάται*“, „*Ο σκύλος κοιμάται*“). ცალსახაა, ბილინგვალეების მეტყველებაში აქაც ენობრივი კონტაქტების გავლენით იჩინა თავი *ახალბერძნულის კონსტრუქციამ* და ჩვენმა რესპონდენტებმა მცდარად აწარმოეს ფორმები.

ქართველ-ბერძენი ბილინგვალეების ახალბერძნულ ნარატივებშიც გამოვლინდა არსებითი სახელი-ზმნის წარმოებისას დაშვებული ორი შეცდომა, ასე, მაგალითად: Το παιδί φωνάζει... *λέει αντί... αντί τους βάραχους*. Εγώ βλέπω ένα σκυλάκι και ένα αγόρι και *κοιτάει στον βάραχο*. პირველ მაგალითში ნარატორს *წინდებულიანი (ირიბი) ობიექტი* აკუზატივში აქვს დასმული; მაშინ როცა წინდებულიანი ირიბი ობიექტი მოითხოვს აკუზატივს + „ში“ (Εμπρόθετο έμμεσο αντικείμενο (σε + Αιτιατική)) (კაცუდა, 2013; არვანიტაკისი და არვანიტაკი, 2006; მავრულია & გეორგაძი, 2002: 284) (სწორი ფორმა იქნებოდა: *λέει αντί... αντί στους βάραχους*), ვინაიდან ზმნა „*λεω*“ (*ვამბობ*) ეკუთვნის დიფთონგურ ზმნებს (ვიღაცას რაღაცას ვეუბნები), რადგან ორი ობიექტი გააჩნია. თანამედროვე ტერმინოლოგიაში მათ ასევე, *ტრივიალურ ზმნებს* უწოდებენ (კლერისი & ბაბინოტისი, 2005, ტრიანდაფილიდისი, 1941; კაცუდა, 2013; ჰოლტონი და სხვ., 1999). აქ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორენოვანს აერია ბრუნვები, ვინაიდან თანამედროვე ბერძნულში ხშირად წინდებულიანი ირიბი ობიექტი

იცვლება ნათესაობითით (ნაცვალსახელის სუსტი ტიპის შემთხვევაში) (კაცუდა, 2013), მაგალითად, *Είπε αντίο στον βάτραχο* = *του είπε αντίο* (ქართულ თარგმანში: დაემშვიდობა ბაყაყს = მას დაემშვიდობა). მეორე წინადადებაში კი პირიქით მოხდა, ნარატორს პირდაპირი ობიექტი აკუზატივს + „ში” ფორმა აქვს გამოყენებული უბრალო აკუზატივის ნაცვლად (სწორი ფორმა იქნებოდა: *κοιτάει στον βάτραχο*).

#### დ) ბრუნვის ფორმების არასწორი გამოყენება ახალბერძნულში:

ქართველ-ბერძენი ბილინგვალეების მხრიდან ახალბერძნულ ენაზე ნაწარმოებ ნარატივებში რამდენიმე ბრუნვის ფორმის ხარვეზით გამოყენების შემთხვევა გვაქვს, ესენია: Φανάζει το παιδί *βάτραχος, βάτραχος* (Μαρία, 7). Μετά το παιδί ανέβηκε πάνω απ'το δέντρο και το σκυλάκι κατέβασε το σπίτι *πς μέλισσες* (Λίζι, 7,1). მოყვანილ ორ მაგალითში შეცდომა მდგომარეობს შემდეგში: პირველ მაგალითში წოდებითი ბრუნვის ნაცვლად, სახელი დგას სახელობითში, მეორეში კი ნათესაობითი ბრუნვის ნაცვლად სახელი აკუზატივშია დასმული.

ბავშვი, რომელიც სწავლობს ცვალებად-ფლექსიურ ენას, როგორცაა ახალბერძნული, იმ ბავშვისგან განსხვავებით, რომელიც იძენს აგლუტინაციურ ენას, როგორცაა ქართული (სადაც არსებითი სახელები ქმნიან ერთიან ფლექსიურ კლასს), უნდა ააგოს სხვადასხვა ფლექსიური ნიმუშები, რაც დამოკიდებულია არა მხოლოდ მეტყველების ნაწილებზე, არამედ ქვეკლასებზეც მოცემული მეტყველების ნაწილის ფარგლებში, როგორცაა არსებითი სახელების გენდერული და ფლექსიური კლასები სქესის ფარგლებში ან (გამონაკლისად) სქესის პარალელურად. მაშასადამე, მოსალოდნელია, შემთხვევათა სხვაობების ადრეული განვითარება გამოყენებულ იქნეს კონკრეტულ სახელებსა და სახელთა ქვეკლასებზე და არა ბერძნულ სახელთა მთლიანობაზე (სტეფანი & ხრისტოფიდუ, 2009).

#### ე) ზმნისა და სახელის რიცხვში შეთანხმება:

ბერძნული ზმნის მორფოლოგია ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია ევროპულ ენებს შორის და მნიშვნელოვნად უფრო რთულია, ვიდრე ბერძნული არსებითი სახელის ფლექსია. ახალ ბერძნულში პირი სამია, რომელთაც გააჩნიათ როგორც



მხოლოდითი, ასევე მრავლობითი რიცხვი. პირი და რიცხვი გამოხატულია ზმნის ბოლოსართებით. შესაბამისად, ზმნა სახელს შეითანხმებს რიცხვში, რაც გამოიხატება შესაბამისი დაბოლოებით (სტეფანი & ხრისტოფიდუ: ბერძნული ზმნის ფლექსიის განვითარების ადრეული ფაზები).

ზმნა-სახელის რიცხვში არასწორი გამოყენების შემთხვევები არ გამოკვეთილა ქართველ-ბერძენ ბილინგვალთა ახალბერძნულ ნარატივებში, მხოლოდ გვაქვს ზმნის ფორმების არასწორი გამოყენების სამი შემთხვევა, ესენია: Σκυλάκι δεν *ανέβει* πάνω και άμφισαπο *άνεψε* στο δέντρο. Και στο ελάφι *πήγε κάτσει*. ნიშანდობლივია, რომ პირველ და მესამე შემთხვევებში ბილინგვალებს ზმნის პირის ნიშნები სწორად გამოუყენებიათ, მხოლოდ ზმნის ფორმებია გაუმართავი (სწორი ფორმები იქნებოდა: *έχει ανέβει*, *πήγε να κάτσει*), ხოლო მესამე შემთხვევაში ჩანს ზმნის პირისა და რიცხვის ნიშნების არასწორი გამოყენება (სადაც სწორი ფორმა იქნებოდა: *έχει ανέβει*).

ქართველ-ბერძენ ბილინგვალთა ქართულ ნარატივებშიც ძალიან იშვიათია ზმნისა და სახელის რიცხვში შეთანხმების დარღვევის შემთხვევები; სულ 3 (სამი) ნარატორის ტექსტებში მოვიძიეთ ამ ტიპის დარღვევის შემცველი მაგალითები: *ბიჭი და ძაღლი ეძებს; ბიჭი და ძაღლი უძახის; ბიჭი და ძაღლი ჩავარდა...*

ჩვენ მიერ პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალების ორივე ენაზე შესრულებული ნარატივების შესწავლის საფუძველზეც აღვნიშნავთ, რომ მათ ამ კატეგორიაში შეცდომა არ დაუშვიათ. ამ მხრივ, უშეცდომოდ აქვთ ნაწარმოები თხრობის პროცესი როგორც ქართველ, ისე ბერძენ მონოლინგვალებსაც.

### **ვ) ნაცვალსახელთა გამოყენების სპეციფიკა ქართულ და ახალბერძნულ ნარატივებში**

ნაშრომში წარმოდგენილი მონო- და ბილინგვალ რესპონდენტების ნარატივებში ნაცვალსახელების გამოყენების შემთხვევების რაოდენობის მხრივ სურათი არაერთგვაროვანი და ვფიქრობთ, საკმაოდ საინტერესოა. ბილინგვალთა ნარატივებში დათვლილ ნაცვალსახელთა საერთო რაოდენობა საგრძნობლად ჩამოუვარდება ბერძენ მონოლინგვალ რესპონდენტთა ნარატივებში მათ საერთო რაოდენობას, ასე, მაგალითად:

პირველ და მეორე ჯგუფებში, რომლებიც აერთიანებს ბილინგვალი ბავშვების ნარატივებს, შემდეგი მონაცემებია: I ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში ნაცვალსახელების გამოყენების 78, ამავე ჯგუფის მეორე ქვეჯგუფში კი 17 შემთხვევა გვაქვს. II ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში 7, მეორეში კი 12 ნაცვალსახელი გვხვდება.

მესამე და მეოთხე ჯგუფებშიც, რომლებშიც ბერძენი და ქართველი მონოლინგვალების ნარატივებია წარმოდგენილი, მონაცემები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან: III ჯგუფში 118, IV-ში კი 13 ნაცვალსახელია. III ჯგუფის (ბერძენი მონოლინგვალები) ნარატივებში ნაცვალსახელთა ყველაზე ცოტა 1, ყველაზე ბევრი კი 12 დაფიქსირდა; IV ჯგუფის (ქართველი მონოლინგვალები) ნარატივებში კი ყველაზე ცოტა - 1, ყველაზე ბევრი კი - 5 ნაცვალსახელი გვხვდება. ნაცვალსახელთა გამოყენების სიხშირეზე მსჯელობისას, ნიშანდობლივია აღვნიშნოთ ქართველ-ბერძენი ბილინგვალების (I ჯგუფი, ქვეჯგუფი 1.) ქართულ ნარატივებში ერთ-ერთი რესპონდენტის (ანასტასია, 7 წ.) მიერ ნაცვალსახელთა გამოყენების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (იხ. ცხრილი 5.). ჩვენს კვლევაში მონაწილე ცდის პირთა შორის მეორე კლასელი ანასტასია ერთადერთი ნარატორია, რომელმაც ქართულ ენაზე თხრობის დროს 31-ჯერ გამოიყენა სხვადასხვა ტიპის ნაცვალსახელი. და აქვე დავსძენთ, რომ, რომ არა ეს კონკრეტული შემთხვევა და ეს რაოდენობა, I ჯგუფის მონაცემები რადიკალურად განსხვავებული გვექნებოდა. შესაბამისად, მისი საშუალო მაჩვენებელიც ვერ მიუახლოვდებოდა III ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს (3.9 – 5.9). და თუ ახლა, წინამდებარე მაჩვენებლებს შორის სხვაობა მხოლოდ ორი ერთეულია, თუ ანასტასია ნაცვალსახელებს დაახლოებით იმ რაოდენით გამოიყენებდა, რა ოდენობითაც მისი თანატოლები გამოიყენებდნენ (დაახლ. 1-დან 5-მდე ერთეული), ეს მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალი იქნებოდა (დაახლ. 2.5) და თითქმის გაუთანაბრდებოდა II ჯგუფის მეორე ქვეჯგუფის მაჩვენებელს (2.33). ამ ვარაუდის გადამოწმებისა და მოცემულ შემთხვევაში შეუსაბამობის მოხსნის მიზნით, აქაც მოვიშველიეთ საკონტროლო შემოწმება: დავითვალეთ ანასტასიას მიერ გამოყენებულ ნაცვალსახელები რაგვარობის მიხედვით და 31 ერთეულიდან, ასეთი აღმოჩნდა - 9. შესაბამისად, მას 9 სხვადასხვა ტიპის ნაცვალსახელი გამოიყენებული აქვს მრავალჯერადად, რამაც საერთო ჯამში შეადგინა 31 ერთეული. ამავე მეთოდით

გადავამოწმეთ, მეორე ცდის პირიც: 10 წლის ლიზი (ზუსტი ასაკი: 9.7 წ.), რომელმაც ანასტასიას შემდეგ, ყველაზე ბევრჯერ - 12-ჯერ გამოიყენა ნაცვალსახელები. აღმოჩნდა, რომ რეალურად, მას 6 სხვადასხვა ტიპის ნაცვალსახელი (რამოდენიმეჯერ გამეორებით) აქვს ჩართული თხრობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონაცემებით ისინი (ანასტასია და ლიზი) მაინც ლიდერობენ სხვა დანარჩენ ბილინგვალთა შორის ქართულ ნარატივებში ნაცვალსახელთა გამოყენების სიხშირის მიხედვით. რადგანაც, დანარჩენ ცდის პირთა მონაცემებს (იხ. ცხრილი 5) თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ მათთან ნაცვალსახელთა მაქსიმალური რაოდენობა 5 ერთეულს არ აჭარბებს. ასეთი სულ სამი ცდის პირია: ლუკა (9,8 წ.), ამალი (7,11 წ.) და ვივიანი (7,7 წ.). ჩვენ მათი ტექსტების გადამოწმებაც მოვახდინეთ და მივიღეთ შემდეგი სურათი: 5-5 ნაცვალსახელიდან ლუკას - 4, ამალის - 1, ვივიანს კი - 5 სხვადასხვა ტიპის ნაცვალსახელი გამოუყენებიათ. საიდანაც გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: საერთო ჯამში, რაოდენობრივად, ნაცვალსახელთა (რაგვარობის მრავალფეროვნების მიხედვით) გამოყენების თვალსაზრისით, *ანასტასია* და *ლიზი* მაინც უსწრებენ დანარჩენ 18 თანატოლს.

მონაცემთა ანალიზის დროს შევამჩნიეთ პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალეების ახალბერძნულ ენაზე მოთხრობილ ნარატივებში ნაცვალსახელების გამოყენების მეტი სიხშირე ქართულთან შედარებით. თავის მხრივ, აღნიშნული მეტყველების ნაწილის ყველაზე დიდი ოდენობა, ასევე, მათი გამოყენების სიხშირეც გვხვდება ბერძენი მონოლინგვალეების ნარატივებშიც. ამ შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალ ბერძნულ ენაში ნაცვალსახელების გამოყენება უფრო ხშირია; ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს ნაკლებად გვაძლევს ქართველ-ბერძენი ბილინგვალეების ახალბერძნულ ენაზე მოპოვებული ნარატივები, სადაც 20 რესპონდენტიდან მხოლოდ ცხრამ ჩართო თხრობაში ნაცვალსახელები, მათი საერთო რაოდენობა კი მხოლოდ და მხოლოდ 17-ია. თუმცა, აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ამ რაოდენობიდან 10 ნაცვალსახელის გამოყენება მამით ბერძენ ნარატორზე მოდის; შესაბამისად, შეიძლება, თამამად ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში მათ ნარატივებში ნაცვალსახელების სიმრავლე სწორედ ერთ-ერთი მშობლის ეროვნებამ განაპირობა. ამას ემატება ის ფაქტიც (რაც გასაკვირი არაა), რომ ჩვენს კვლევაში მონაწილე მამით

ბერძენი ბილინგვალები სჯობნიან ქართველ ბილინგვალებს ახალი ბერძნული ენის ცოდნაში (ამას ემპირიული მასალის სხვა მონაცემების ანალიზიც გვიდასტურებს) და ეს უპირობოდ განპირობებულია ამ ენაზე მოლაპარაკე თუნდაც ერთი მშობლის ფაქტორით. ამ მიმოხილვებს ისევ და ისევ ზემოხსენებულ, პირველად დასკვნამდე მივყავართ, რომ თანამედროვე ბერძნულ ენაში ქართულთან შედარებით გაცილებით მეტი სიხშირით გამოიყენება ნაცვალსახელები, დავიმოწმებთ ჩვენს ტექსტებს, სადაც ნათლად ჩანს, რომ ქართულ ნარატივებში ყოველი ახალი წინადადების წარმოთქმისას ბილინგვალები იმეორებენ არსებით სახელებს (მაგ.: ბიჭი, ადამიანი, ძაღლი), რომლითაც ძირითადად ჩვენი რესპონდენტები იწყებენ ყოველ ახალ წინადადებას; ახალბერძნულ ტექსტებში, უმეტეს ადგილას კი წინა წინადადებაში გამოყენებული არსებითი სახელი (მაგ, ბიჭი, ადამიანი, ბავშვი) არ მეორდება და იგი შესატყვისი პირის ნაცვალსახელით აქვთ ჩანაცვლებული. თუმცა, ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინების მიუხედავად, მოცემული ფაქტობრივი გარემოება განაპირობებს სრულიად ადეკვატური კითხვის არსებობას: რატომ შეიძლება ასეთი დიდი სხვაობა გვიჩვენოს წინამდებარე მონაცემებმა? თუ კვლევაში მონაწილე ქართველ ბილინგვალთა უმეტესობა (16 ნარატორი, რომელიც შეადგენს კვლევაში მონაწილე ცდის პირთა მთლიანი რაოდენობის 80%-ს) საბერძნეთშია დაბადებული, იქ უსწავლიათ საბავშვო ბაღში, დადიან ბერძნულ საჯარო სკოლებში და მათთვის მეგობრებთან თუ ზოგადად, საზოგადოებაში საკონტაქტო ძირითადი ენა - ახალბერძნულია, ქართულ ენას კი მხოლოდ ოჯახურ სოციალურ გარემოში გამოიყენებენ, ისიც ნაკლებად..? მიუხედავად ამისა, ისინი სხვა პრინციპით აგებენ წინადადებებს და ეს კარგად ჩანს ნაცვალსახელთა გამოყენების თავისებურებებში. აქ ცალსახად შეიძლება დავუშვათ ის ალბათობა, რაზეც ზემოთ იყო მსჯელობა: კერძოდ, მამით ბერძენ ბილინგვალებთან მშობლის ფაქტორის გავლენაზე. მშობლის (ამ შემთხვევაში - მამის) ფაქტორი იმდენად დიდია, რომ შერეული ოჯახების ბილინგვალი ბავშვები ბერძენ მონოლინგვალებს უტოლდებიან ენის ცოდნის თვალსაზრისით; როცა ორივე მშობელი ქართველი ჰყავს ბილინგვალს, ცხადია, ოჯახურ გარემოში, მშობლებთან მშობლიურ (ქართულ) ენაზე (თუნდაც, არც თუ ისე ხშირი) კომუნიკაციის მნიშვნელოვანი და გარკვეულ შრეებზე განმსაზღვრელი როლიც აშკარაა.

შესაბამისად, განსაკუთრებით, სწორედ აქ იჩენს თავს *ინტერფერენცია*. ამ კონკრეტულ შემთხვევაში - მშობლიური (ქართული) ენის გავლენით, და პირუკუ.

7 წლის ანასტასიას გამონაკლისი შემთხვევაც, როცა ქართული ნარატივების შედარებისას მის მიერ ნაცვალსახელთა გამოყენების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (31 ერთეული) გამოვლინდა (საკონტროლო გადამოწმების თანახმადაც, სადაც 9 სხვადასხვა ტიპის (ნაცვალსახელი) ერთეული დაფიქსირდა), თავისუფლად შეიძლება *ინტერფერენციის* გამოვლენად მივიჩნიოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში, მეორე (თანამედროვე ბერძნული) ენის გავლენასთან გვაქვს საქმე.

მეორე მხრივ, ყურადღებას იქცევს ბილინგვალების (I ჯგუფის პირველი ქვეჯგუფი და II ჯგუფის პირველი ქვეჯგუფი) მიერ ქართულ ენაზე წარმოდგენილი ნარატივების დროს ნაცვალსახელთა გამოყენების შემთხვევების საშუალო მაჩვენებლები, რომელთა შორისაც არც თუ ისე დიდია სხვაობა (საშუალო მაჩვენებლები: 3.9 და 2.3). ამ მონაცემებს კიდევ უფრო ჩამოუვარდება ქართველი მონოლინგვალების მონაცემები (საშუალო მაჩვენებელი: 1.62). I, II და IV ჯგუფებში არსებული ქართული ტექსტების დეტალური შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართველი მონოლინგვალები (პროფ. ნ. იმედაძის კვლევა) ყველაზე ნაკლები სიხშირით გამოიყენებენ ნაცვალსახელებს, ამას მოწმობს სამივე ჯგუფის საერთო მაჩვენებლების შედარებაც: 3.9, 2.3 და 1.62, სადაც პირველი ორი მაჩვენებელი ეკუთვნის I და II ჯგუფებს ანუ ბილინგვალებს, მესამე მაჩვენებელი კი - ქართველ მონოლინგვალებს. ამ მაჩვენებელთა ანალიზსაც ლოგიკურად მივყავართ ზემოთ გამოთქმული მოსაზრების სიზუსტემდე, რომ ქართულ ენაზე თხრობისას ნაკლებად გამოიყენება ნაცვალსახელები ახალბერძნულთან შედარებით. ამ მოსაზრებას ამყარებს ის რეალობაც, რომ ჩვენს ნარატორებს შორის (იგულისხმება, როგორც ბილინგვალები, ისე მონოლინგვალები), რომლებმაც ქართულ ენაზე აწარმოეს თხრობა, ქართულ ენას ყველაზე უკეთ და გამართულად უდაოდ ფლობენ ქართველი მონოლინგვალები. ბილინგვალთა და მონოლინგვალთა მიერ ნაცვალსახელთა გამოყენების შემთხვევების ანალიზით მიღებული შედეგები ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში (იხ. ცხრილები 19, 20).

აქვე მოვიყვანთ ახალბერძნულში ნაცვალსახელების არასწორად გამოყენების მაგალითებს ბერძენ-ქართველი ბილინგვალების ტექსტებიდან: ...και το σκυλί είναι μέσα στο ξύλο και *αυτή* και το μικρή και είδαν το βατράχους (Μαρία, 7). Το παιδί έπεσε και κουκουβάγια *τον* τρώμαξε και το σκυλάκι τρέχει. Εδώ (το ελάφι) *πς* έπεσε το σκυλάκι και το παιδί... Ένα αγόρι κοιμάται και ο σκύλος πάνω *της* (Λίζι, 7,1). აღსანიშნავია, რომ ახალბერძნულ ნარატივებში მინიმალურად დაბალია ნაცვალსახელთა ხარვეზით გამოყენების შემთხვევების მაჩვენებელი; როგორც მაგალითებიდან ჩანს, ასეთი სულ 4 (ოთხი) შემთხვევა გვაქვს, რაც უდაოდ მეტყველებს ბილინგვალების მხრიდან ახალბერძნულად ნაცვალსახელთა სწორად გამოყენების ფაქტზე.

ცხრილი 19. ნაცვალსახელთა გამოყენება ბილინგვალთა ნარატივებში

კვლევაში მონაწილე ბილინგვალები				
ჯგუფები და ქვეჯგუფები	I ჯგუფი		II ჯგუფი	
	ქვეჯგუფი 1	ქვეჯგუფი 2	ქვეჯგუფი 1	ქვეჯგუფი 2
ნარატორთა რაგვარობა	ქართველ-ბერძენი ბილინგვალები ქართული ნარატ.	ქართველ-ბერძენი ბილინგვალები ახალბერძ. ნარატ.	პონტ. ბერძენ-ქართველ. ბილინგ. ქართული ნარატ.	პონტ. ბერძენ-ქართველ. ბილინგ. ახალბერძ. ნარატ.
ნარატორთა მთლიანი რაოდ.	20	20	3	3
ნარატორთა რაოდენობა, რომელთაც თხრობის დროს გამოიყენეს ნაცვალსახელ(ებ)ი	15	9	3	3
ნარატორთა მიერ ნაცვალსახელთა გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი	75%	45%	100%	100%
თხრობის დროს გამოყენებულ ნაცვალსახელთა რაოდენობა	78	17	7	12
საშუალო მაჩვენებელი	3.9	0.85	2.33	4

ცხრილი 20. ნაცვალსახელთა გამოყენება მონოლინგვალთა ნარატივებში

კვლევაში მონაწილე მონოლინგვალები		
ჯგუფები	III ჯგუფი	IV ჯგუფი
ნარატორთა რაგვარობა	ბერძენი მონოლინგ. ახალბერძნული ნარატ.	ქართველი მონოლინგ. ქართული ნარატ.
ნარატორთა მთლიანი რაოდენობა	20	8
ნარატორთა რაოდენობა, რომელთაც თხრობის დროს გამოიყენეს ნაცვალსახელ(ებ)ი	20	5
ნარატორთა მიერ ნაცვალსახელთა გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი	100%	62.5%
თხრობის დროს გამოყენებულ ნაცვალსახელთა რაოდენობა	118	13
საშუალო მაჩვენებელი	5.9	1.6

წარმოვადგენთ ჩვენი რესპონდენტების მიერ ქართულ ენაზე ნარატივების წარმოების დროს ნაცვალსახელების გამოყენების რამდენიმე მაგალითს: ძალიან ჩამოაგდო უკვე *ის* ბუდე; მერე ძალიან დარბის, რომ ნახოს და *ეს* ხეზე ზის ბუ; *აგი* რაღაცა ხე ნახა, ძალიან ახტა, ბიჭი ავიდა ხეზე; მერე *ამ* ბიჭმა ხო იპოვა წყალში ძალიან და მერე რაღაცას *იმას* შვებოდა, აკეთებდა *იმ* წყალში; მერე იარეს, იარეს იარეს და სადღაც წავიდნენ *ესენი* და *ეს* ისევ ეძახდა ბაყაყო, ბაყაყო და *ეს* კიდე ყეფდა ისევ; ძალიან *მის* ბეჭზე აცოცდა; ავიდნენ ხეზე და *მის* უკან იპოვეს ბაყაყი...; ადის *ისიც* ხეზე; ...და ძალიან კიდე ასულია, რომელიც... *იმასაც* ძინავს. პირველ შვიდ მაგალითში მოცემული ნაცვალსახელები ჩვენებითია, სახელობითა და მიცემით ბრუნვებში ჩასმული, გვაქვს მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ნაცვალსახელიც - *ესენი* (შანიძე, 1980: §49); ბოლო, მერვე და მეცხრე მაგალითებში კი -ც ნაწილაკიანი პირის ნაცვალსახელება (კვაჭაძე, 1993: 183) წარმოდგენილი.

აქვე მოვიყვანთ ნაცვალსახელთა გამოყენების რამდენიმე მაგალითს ახალბერძნული ნარატივებიდანაც: Και μετά *αυτό* το αγόρι ανέβηκε πάνω στο ελάφι. Και μετά, και μετά σκυλάκι έφυγε και μετά σταμάτησε γιατί *εκείνο* δεν μπορεί να κάνει έτσι. Εδώ βλέπω το παιδί *που* κοιμάται με το σκυλί του στο κρεβάτι. Είναι *ένα* παιδί *που* κοιμάται, *ένα*ς σκύλος *που* πίνει νερό. Το παιδί είναι ξαπλωμένο στο κρεβάτι *του*. Εδώ το παιδί κοιμάται, είναι βράδus, με το σκύλο και πάει να φύγει *αυτός*, ο βάτραχος. Βλέπει το βατραχάκι *που* είχε και τη γυναίκα *του*. Λέει ευχαριστώ στα βατραχάκια, και το σκυλάκι

γαβύζει και λέει *και αυτό* ευχαριστώ. *Αυτοί* βρίσκονται στο νερό. Λοιπόν υπάρχει *ένα* αγόρι *το οποίο* κάθεται και έχει *ένα* σκυλάκι *το οποίο, το οποίο* τρώει. მოყვანილ მაგალითებში წარმოდგენილია პირის, კუთვნილებითი და მიმართებითი ნაცვალსახელები, მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში, სახელობითა და მიცემით ბრუნვებში; ასევე, გვხვდება -ც ნაწილაკიანი პირის ნაცვალსახელი -*και αυτό* (ესე-ც (კვაჭაძე, 1993: 183), აღსანიშნავია, რომ ქართულისგან განსხვავებით, ახალბერძნულში -ც- ნაწილაკი არ შეერწყმის სახელს, არამედ დაისმის სახელის წინ და შეითავსებს მეორე მნიშვნელობას: -და- კავშირს (შამანიდი (რედ.), 2009)), და განსაზღვრული ნაცვალსახელებიც *ένας* და *ένα* (Αρβανιτάκης & Αρβανιτάκη 2013: 202).

ყურადღებას გავამახვილებთ *კუთვნილებითი ნაცვალსახელების წყობაზე*: ქართულში კუთვნილებითი ნაცვალსახელები წინადადებაში მსაზღვრელი სახელებია და ჩვეულებრივ, საზღვრულის წინ დგანან, მაგალითად: *ჩემი* ნახატი, *შენი* კალამი, *მისი* სათვალე და ა.შ. ძველ ქართულში ზოგჯერ მოსდევდა საზღვრულს, რაც თანამედროვეშიც ასე გვაქვს ნათესაობის გამომხატველ ზოგიერთ სახელში, როცა ნაცვალსახელი შეზრდილია არსებითთან და კომპოზიტს გვაძლევს, მაგალითად: მამაჩემი, დეიდათქვენი და სხვ. (კვაჭაძე, 1993: 187). ძველ ბერძნულში კუთვნილებით ნაცვალსახელებს პრეპოზიციური წყობა ჰქონდა; ანალოგიურადაა პონტოურ დიალექტშიც (ბერიკაშვილი, 2014: 3-4). ახალ ბერძნულში კი - პირიქით, პოსტპოზიციური წყობაა, ვინაიდან ეს ენა ხასიათდება სუსტი ობიექტის ნაცვალსახელის პარადიგმით (კლიტიკები) (რიგელი და სხვ., 1994; ჰოლტონი და სხვ., 1997), სხვაგვარად: თანამედროვე ბერძნულმა პირის ნაცვალსახელთა სუსტი ფორმები შემოინახა. ამიტომაც, კუთვნილებითი ნაცვალსახელი ყოველთვის საზღვრული სიტყვის შემდეგ დგას და მასთან შერწყმულად წარმოითქმის. მაგალითად, *η δυνατότητά μου είναι μικρή* ან კიდევ: *η εικογένειά μου είναι μεγάλη* (ბერიკაშვილი, 2012: 108). ფრიად საგულისხმოა ის, რომ კლიტიკების მქონე სტრუქტურები ძალზე ნაყოფიერია ახალბერძნულ ენაში, სადაც ძლიერი ნაცვალსახელები ძირითადად სპეციალურ კონტექსტებში ჩნდება (Deictic or emphatic in Greek, იხ. ჰოლტონი და სხვ., 1997).



ჩვენი კვლევისთვის შერჩეულ რესპონდენტებს ამ მხრივ ბალანსი აქვთ დაცული. მათ ორივე ენისთვის შესაბამისად აქვთ შერჩეული კუთვნილებით ნაცვალსახელთა ადგილმდებარეობა წინადადებებში. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, აღვნიშნოთ ის, რომ პონტოელ ბერძენ-ქართველ ბილინგვალებს პონტოური დიალექტისთვის დამახასიათებელი ფორმები არ გამოუყენებიათ.

**ზ) სივრცითი მიმართებების გამოხატვა ზმნისწინთა / პრევერბთა საშუალებით:**

ქართული ზმნა, როგორც ცნობილია, ასახავს მრავალ მიმართებას: ტემპორალურ, სივრცით, კაუზალურს, მოქმედების მიზანს და სხვ. (შანიძე, 1980; კვაჭაძე, 1993). ნარატიული ტექსტების შედგენის დროს ბავშვი იყენებს მრავალ მორფოლოგიურ საშუალებას, მაგრამ კოგნიტური მოუმწიფებლობის გამო შეიძლება ადეკვატურად ვერ აღიქვამდეს აღსანიშნ მიმართებებს, ლინგვისტურად ვერ მართავდეს ფორმალურ საშუალებათა მთლიან კომპლექსს.

ჩვენს ტექსტებში უმცროსკლასელი ბილინგვალების მიერ ქართული ზმნისწინიანი ზმნების გამოყენების აბსოლუტური უმრავლესობა დაფიქსირდა (I ჯგუფის პირველი ქვეჯგუფი: 20 ნარატორი - 226 ზმნისწინიანი ფორმა, და II ჯგუფის პირველი ქვეჯგუფი: 3 ნარატორი - 44 ზმნისწინიანი ფორმა), მაგრამ ქართველი მონოლინგვალების ნარატივებში კიდევ უფრო დიდი მაჩვენებელი გვაქვს (III ჯგუფი: 8 ნარატორი - 204 ზმნისწინიანი ფორმა). ასე, მაგალითად: ჩამო-ვარდა ბიჭი და არწივი მერე მი-რბის რო და-იკავოს და ჭამოს; ირემზე ა-დის ბავშვი; მერე ბავშვი გადა-ვარდა; ბავშვი გა-ი-ხედა გარეთ; ძაღლმა და-ი-ნახა; ერთმა ბუმ ჩა-მოაგდო ბავშვი და ძაღლი გა-რბის; ბავშვმა ა-ვიდა ირემზე; მერე ძაღლმა მი-ვიდა და ბოთლში თავი შე-ყო. როგორც ვხედავთ, აქ გვაქვს მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები: ჩამო-ვარდა, მი-რბის, და-იკავოს, ა-დის, გადა-ვარდა, ჩა-მოაგდო, გა-რბის, ა-ვიდა, მი-ვიდა, შე-ყო, რომელთა უმრავლესობაც წარსული დროის ფორმითაა გადმოცემული; დანარჩენი ორი ზმნა კი აღქმის პროცესების აღწერას ემსახურება: გა-ი-ხედა, და-ი-ნახა.

რაც შეეხება ახალბერძნულ ნარატივებში ზმნისწინიანი ზმნების გამოყენების შემთხვევებს, ქართველი ბილინგვალების (I ჯგუფის მეორე ქვეჯგუფი: 20 ნარატორი

- 28 ზმნისწინიანი ფორმა, და II ჯგუფის მეორე ქვეჯგუფი: 3 ნარატორი - 4 ზმნისწინიანი ფორმა) მონაცემები თითქმის თანაბარია (140%-133%). ეს მონაცემები კი თავის მხრივ, დაბალია ბერძენი მონოლინგვალების ტექსტებში დათვლილი შესაბამისი ფორმების (IV ჯგუფი: 20 ნარატორი: 39 ზმნისწინიანი ფორმა) პროცენტულ მაჩვენებელთან (195%) შედარებით (მათ შორის სხვაობა 55-62% შეადგენს). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბერძენმა მონოლინგვალებმა უფრო მეტი სიხშირით გამოიყენეს ზმნისწინიანი ფორმები ტექსტების შედგენისას, ვიდრე ქართველმა ბილინგვალებმა იგივე, ახალბერძნული ნარატივების წარმოების დროს.

საინტერესოა ბილინგვალების მიერ გამოყენებული ქართული ზმნისწინიანი ზმნების ბერძნულ ზმნებთან შედარება. ბერძნული ზმნებისთვისაცაა დამახასიათებელი პრეფიქსების გამოყენება ადგილმდებარეობის ანდა სივრცის მისათითებლად; ასე, მაგალითად: *κατ-εβαίνα / αν-εβαίνα (ჩავდივარ / ავდივარ)*, ან კიდევ *κατ-εβάζω / αν-εβάζω (ჩამომავს, ვქაჩავ ან (გადმო/ჩამო)ვალავებ ზემოდან ქვემოთ რაღაცას / ამაქვს, ვქაჩავ ან (ა)ვალავებ ქვემოდან ზემოთ რაღაცას)* (ბაბინიოტისი, 2019), სადაც ოთხივე ზმნა ნაწარმოებია ადგილის გარემოების აღმნიშვნელი სიტყვებით: *κάτω - ქვემოთ, άνω - ზემოთ*. რა თქმა უნდა, ეს არ არის ქართული ზმნისწინის ზუსტი ანალოგი და არც ამ ტიპის ზმნების სიუხვით გამოირჩევა ბერძნული ზმნა, თუმცა, პარალელის გავლება შეიძლება. მით უფრო, რომ კონკრეტული ზმნების თითქმის იდენტური ქართული ზმნის ფორმებია: *ჩამო-ვდივარ, ა-მოვდივარ, ჩამო-მაქვს, ა-მაქვს*, და ასევე, ზემოხსენებული ზმნისწინიანი ზმნების გამოყენებით ჩვენს კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს, როგორც ქართველ ბილინგვალებს ისე ბერძენ მონოლინგვალებს ახალბერძნული ნარატივების შედგენისას არაერთი ტიპის წინადადება აქვთ ნაწარმოები სხვადასხვა დროში. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: *Και το σκυλί θέλει να κατεβάσει την κυψέλη από το δέντρο. Και μετά το παιδί ανεβαίνει πάνω στα δέντρα και το σκυλί το έριξε κάτω... Το παιδί ανεβαίνει στο ελάφι. ...αλλά τώρα έπεσε ένα δέντρο και ανέβηκε πάνω το παιδί. Μετά ανέβηκαν σε ένα δέντρο και βλέπουν τους βατράχους. ...και μετά απ' το σκυλί το κατέβασε. Μετά το παιδί ανέβηκε πάνω απ' το δέντρο και το σκυλάκι κατέβασε το σπίτι τις μέλισσες. Αλλά μετά βρήκαν ένα ξύλο, κρατήθηκαν από το ξύλο και ανέβηκαν πάνω. Εδώ ο σκύλος*

*κατέβασε* το σπίτι από μέλισσες. Προσπαθούν να φύγουν απ' τη λίμνη *ανεβαίνοντας* σε ένα κούτσουρο από ένα δέντρο. Ενώ το σκυλάκι πάει *να κατέβει*, το παιδάκι προσπαθεί *να ανέβει* και τελικά τα καταφέρανε και τα βρήκαν τα βατραχάκια μαζί. Είναι ο σκύλος που *κατέβασε* το σπίτι από μέλισσες. Εδώ πέρα το αγόρι *ανεβαίνει* σε ένα μεγάλο βράχο και φωνάζει και ο σκύλος γαυγίζει από κάτω. Εδώ πέρα το αγόρι *ανεβαίνει* σε ένα ελάφι; (იხ. დანართები, 1, 2, 3).

**თ) კითხვითი წინადადების სტრუქტურა:**

კითხვითი სიტყვით დაწყებული ან კითხვითი სიტყვის შემცველი კითხვითი წინადადებები ჩვენს რესპონდენტებს არც დიდი სიხშირით და არც დიდი ოდენობით არ გამოუყენებიათ. ასე, მაგალითად:

I ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში 20-დან 6 ბილინგვალის მიერ კითხვითი წინადადებების გამოყენების 7, ამავე ჯგუფის მეორე ქვეჯგუფში კი 5 ნარატორის მიერ 5 კითხვითი წინადადების შემთხვევა გვაქვს.

II ჯგუფის ორივე ქვეჯგუფის მონაცემები ამ ხრივ ერთმანეთის თანაფარდია, თითო ქვეჯგუფში შემავალი სამივე ბილინგვალის მიერ მხოლოდ თითო-თითოჯერ ნაწარმოები კითხვითი წინადადებები მოგვეპოვება.

III ჯგუფის ოცი ბერძენი მონოლინგვალიდან თხრობაში კითხვითი წინადადება მხოლოდ 7 ნარატორმა ჩაურთო, სულ ასეთი 12 წინადადება გვაქვს.

IV ჯგუფის 8 ქართველი მონოლინგვალიდან სულ ორმა, თითო-თითო კითხვითი წინადადება გამოიყენა თხრობისას.

კითხვითი წინადადებების გამოყენების პროცენტული და საშუალო მაჩვენებლები აღნიშნულია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში (იხ. ცხრილები 21, 22).

ცხრილი 21. კითხვითი წინადადებების გამოყენება ბილინგვალთა ნარატივებში

კვლევაში მონაწილე ბილინგვალები				
ჯგუფები და ქვეჯგუფები	I ჯგუფი		II ჯგუფი	
	ქვეჯგუფი 1	ქვეჯგუფი 2	ქვეჯგუფი 1	ქვეჯგუფი 2
ნარატორთა რაგვარობა	ქართველ-ბერძენი ბილინგვალები <i>ქართული ნარატ.</i>	ქართველ-ბერძენი ბილინგვალები <i>ახალბერძ. ნარატ.</i>	პონტ. ბერძენ-ქართვ. ბილინგ. <i>ქართული ნარატ.</i>	პონტ. ბერძენ-ქართვ. ბილინგ. <i>ახალბერძ. ნარატ.</i>
ნარატორთა მთლიანი რაოდ.	20	20	3	3
ნარატორთა რაოდენობა, რომელთაც თხრობის დროს გამოიყენეს კითხვ. წინ.-ები	6	5	3	3
ნარატორთა მიერ კითხვითი წინ.-ების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი	30%	25%	100%	100%
თხრობის დროს გამოყენებული კითხვითი წინ.-ების რაოდ.	7	5	3	3
საშუალო მაჩვენებელი	0.35	0.25	1	1

ცხრილი 22. კითხვითი წინადადებების გამოყენება მონოლინგვალთა ნარატივებში

კვლევაში მონაწილე მონოლინგვალები		
ჯგუფები	III ჯგუფი	IV ჯგუფი
ნარატორთა რაგვარობა	ბერძენი მონოლინგვ. <i>ახალბერძ. ნარატივები</i>	ქართველი მონოლინგვ. <i>ქართული ნარატივები</i>
ნარატორთა მთლიანი რაოდენობა	20	8
ნარატორთა რაოდენობა, რომელთაც თხრობის დროს გამოიყენეს კითხვითი წინადადებები	7	2
ნარატორთა მიერ კითხვითი წინ.-ების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი	35%	25%
თხრობის დროს გამოყენებული კითხვითი წინ.-ების რაოდენობა	12	2
საშუალო მაჩვენებელი	0.6	0.25

თხრობის დროს ნარატორთა მიერ ნაწარმოები კითხვითი წინადადებები ფოკუსირებული იყო დაკარგული *ბაყაყის* ირგვლივ, და თითქმის ყველა კითხვაში სიტყვა *ბაყაყი* ფიგურირებს, ასე მაგალითად, „...მერე რო გაიღვიძეს ხო ეს ადამიანი ეძებდა: *სად ხარ ბაყაყო?*“ (ანასტასია, 7 წ.); „...ბავშვი დაიყვირა: *ბაყაყო, სად ხარ?*“ (გიორგოს, 8,6 წ.) ან კიდევ „...ბიჭმა გაიღვიძა, დაინახა ბანკაში აღარ იჯდა, გაჰყო

თავი და ყვირის: *ბაყაყო, ბაყაყო სადა ხარ?*” (ბიჭიკო 9,2 წ.) მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა რესპონდენტი ვერ მიჰყვება მთელი სიზუსტით მოცემულ ეპიზოდებს და პერსონაჟები ერევა: „...მერე ბიჭმა გაიხედა ფანჯრიდან და ძაღლს დაუძახა - *სად ხარო?*” (გიორგი, 8 წ.); ასევე, ერთი ყველასგან განსხვავებული კითხვითი წინადადება აწარმოა ერთ-ერთმა მონოლინგვალმა: „...მერე ბავშვმა ბაყაყს უთხრა: *რატომ გამოიპარე?*” (გიორგი, 10 წ.) (იხ. დანართები 1, 2, 4).

ნარატივების ჩაწერის დროს, რამდენიმე რესპონდენტთან დაფიქსირდა ასეთი და მსგავსი შემთხვევები: როცა ისინი თხრობის დროს იყენებდნენ კითხვით წინადადებებს, მაგ. „ფარდაა... ეეე... *(რა ქვია?)* ადილა გადაფარებული აქ და ძაღლი არის ზემოდან”; „მერე ძაღლი მირბის, ჩამოვარდა ბიჭი და მერე *(რა ქვია, რა ქვია?)* არწივი მერე მირბის რო დაიკავოს და ჭამოს” (იხ. დანართი 1). ამ და მსგავსი ტიპის შემთხვევებს ვერ ჩავთვლით კითხვითი წინადადების გამოყენების მაგალითებად, ვინაიდან, ნარატორები ამ ფორმას უშუალოდ თხრობისთვის არ იყენებენ, მათ არ სჭირდებათ ისინი ამბის აღსაწერად, არამედ მათი ჩართვა მოახდინეს, რადგანაც მოცემულ მომენტში საჭირო სიტყვას ან/და სიტყვებს ვერ იხსენებდნენ და ამ კითხვით ნაშრომის ავტორს მიმართავდნენ. მსგავსი მაგალითების სიუხვით არ გამოირჩევა ჩვენი ემპირიული მასალა, მაგრამ ვფიქრობთ, აღსანიშნავია, ვინაიდან თხრობის დროს ასეთი ფაქტების გამოვლენა ცდის პირთა მიერ კონკრეტული ენის ფლობის თავისებურებებზე მიუთითებს.

**ი) გრამატიკული სქესის გარჩევა და არტიკლების არასწორად გამოყენება ახალბერძნულში:**

სქესი ახალბერძნულისთვის, ისევე როგორც მთელი რიგი ენების გრამატიკისთვის ნაცნობი კატეგორიაა; იგი დამახასიათებელია იმ ენებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ სახელთა კლასიფიკაცია მოახდინონ გარკვეული მორფოლოგიური ნიშნებით. ახალბერძნული ნომინატიური სისტემა მოიცავს სამ გრამატიკულ კატეგორიას: სქესი, ბრუნება და რიცხვი. ის განასხვავებს სამ სქესს (მამრობითი, მდედრობითი და საშუალო / ნეიტრალური), ოთხ ბრუნვას (სახელობითი/ნომინატივი, ნათესაობითი / გენეტივი, ბრალდებითი / აკუზატივი და

ვოკატივი / წოდებითი) და ორ რიცხვს (მხოლოდითი და მრავლობითი) (სტეფანი & ხრისტოფიდუ, 2009).

ბერძნული დეკლარაციის სისტემის აღწერისთვის ორი ძირითადი მოცემულობა თანაარსებობს დღემდე: ერთი ძირითადად ემყარება სქესს (მაგ. ტრიანდაფილიდისი, 1941, 1978; სეილერი, 1958; ხრისტოფიდუ, 2003) და მეორე ფლექსიური დაბოლოებების განაწილებას (მაგ. კურმულისი, 1964; მაკრიჯი, 1985; კლერისი & ბაბინოტისი, 2005). გენდერულ მიდგომას მხარს უჭერს დიაქრონიული არგუმენტები (სეილერი, 1958), ისევე როგორც სინქრონული (ხრისტოფიდუ, 2003). ქრისტოფიდუს (2003) მიერ დაწინაურებული მთავარი სინქრონული კრიტერიუმები არის ფლექსიური პროდუქტიულობა და სასესხო სიტყვების ან ნეოლოგიზმების მორფოლოგიური ინტეგრაცია (იხ. დრესლერი, 1997). ეს უკანასკნელი აჩვენებს, რომ ფლექსია განისაზღვრება სქესის მინიჭებით და არა სახელთა დაბოლოებების ფონოლოგიური სტრუქტურით. ბერძნულის როგორც პირველი ენის შეძენის მტკიცებულებებიდან ჩანს, ფლექსიური დაბოლოებები და არსებითი სახელების დეკლენსიური ნიმუშები უნდა ჩაითვალოს გენდერული კლასების აშკარა მარკერებად, ვინაიდან სახელობითი ფლექსიის განვითარება ძირითადად გენდერულ კლასებში მიმდინარეობს.

უძველესი გრამატიკული ტრაქტატის ავტორი სქესს ბერძნული ენის თვისებად ასახელებს: „სახელნი ყოველნი სულიერთა და უსულოთანი, ხილულთა და უხილავთანი – სამთა სახელსდებათაგან საცნაურ იქმნებიან და იწოდებიან ბერძენთა შორის, ესე იგი არს: მამალთა და დედალთა და შუათაგან. ამათ მამალთა და დედალთა და შუათა სახელთაგან არს თითოეულსა სახელსა სამნივე და სამთაგანვე სახელისდებათა ეწოდებიან, არამედ ყოველთა სახელთა შორის გინა თუ მამალი ეწოდების სახელი, გინა თუ დედალი, გინა თუ შუად და თვისსა სახელისა აქუს განკუთვნილება; და არა გარდაერწყუმის ერთი მეორისასა სახელთა ცვალებულებად, არამედ თითოეულისა ნათესავისასა სცავს თითოეული დრეკასა სახელთასა” (შანიძე, 1990: 132). ქართული ენის სტრუქტურისათვის კი ეს უცხოა, სიტყვის მნიშვნელობით ირკვევა მხოლოდ ბიოლოგიური სქესი, მაგალითად: ქალი და კაცი, მამანი და დედანი, ქალიშვილი და ვაჟიშვილი, ხვადი და ძუ, ტახი და სხვ.

ცნობილი ფაქტია, რომ სქესის კატეგორია განსაზღვრავს ბრუნვის საკითხს, მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის სახელებს დაბოლოებების მიხედვით განასხვავებენ და სახელის ბრუნვაც ამაზე დამოკიდებული. ქართულში კი თითოეულ ბრუნვას თავისი ნიშანი აქვს. სახელთა ფორმაცვალებაც ამ ნიშნების მეშვეობით ხდება. ამდენად, ერთი და იგივე სახელი მნიშვნელობის შეუცვლელად შეიძლება 7 (შვიდი) სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს (კვაჭაძე, 2010: 227). ახალბერძნულ ენაში კი ქართულისგან განსხვავებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელთა გარჩევა გრამატიკული სქესის მიხედვით ხდება. არსებითი სახელების დაჯგუფება და შესაბამისად, ბრუნვაც ამ პრინციპს ეყრდნობა (კაცუდა, 2013: 21); განვმეორდებით, რომ თანამედროვე ბერძნულში 4 (ოთხი) ბრუნვა გვაქვს (არვანიტაკისი & არვანიტაკი, 2006: 196), თითოეული სქესის სახელთა ბრუნვა განსხვავებულია და მეორე სქესისას არ ემთხვევა. სახელთა ფორმის ცვლილება ხდება თითოეული სქესისთვის განსხვავებული წესისამებრ (კაცუდა, 2013: 25-229).

სქესის კატეგორიისთვის მნიშვნელოვანია ნაწევარის (ართრონის) გამოყენების საკითხი: ბერძნული არტიკლი (სხვაგვარად: ნაწევარი ან ართრონი) სახელს წინ დაესმის, თავის მხრივ ბერძნული სახელი კი განარჩევს სქესს. ახალ ბერძნულ ენაში არსებობს ორი სახის არტიკლი: განსაზღვრული და განუსაზღვრელი. განსაზღვრული არტიკლებია: ο, η, το. განსაზღვრული არტიკლი არის ერთმარცვლიანი ფორმაცვალებადი ერთეული, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება იმ სახელების წინ, რომლებიც გამოხატულია, როგორც ჩვენთვის ცნობილი და განსაზღვრული, მაგალითად: ο πατέρας (მამა), η μητέρα (დედა), το τέκνο (შვილი). განუსაზღვრელი არტიკლებია: ένας, μία / μια, ένα (გარელი და სხვ., 2014: 64-65; მავრულია & გეორგაძი, 2002: 363), მაგალითად: ένας πατέρας (მამა), μια μητέρα (დედა), ένα τέκνο (შვილი). ასევე, μία და μια შესაძლებელია გამოიყენებოდეს როგორც განუსაზღვრელი ნაცვალსახელი. ე.ი. Είδα μία κυρία = είδα μια κυρία = είδα κάποιια κυρία - დავინახე ვიღაც ქალბატონი. მაგრამ ჩვეულებრივ, როგორც განუსაზღვრელი ნაცვალსახელი გამოიყენება μια (მახვილის გარეშე).

შესაბამისად, ნაწევართა საშუალებით განირჩევა ბერძნულ სიტყვათა განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა. ბერძნულ არტიკლთა შესახებ მსჯელობისას

ხაზი უნდა გაესვას ქართულში შესაბამის ფორმათა (ართრონთა) არარსებობას (შანიძე, 1990: 62:65), რაც დიდად განასხვავებს ქართულს ბერძნულისაგან. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ართრონი ასე არის განმარტებული: „არიან ასოები, რომელნი წინა მოეზავების სიტყვათა ანუ უკანის და გვარიან ჰყოფს და დაატკობს. არამედ ლათინთა და ელლინთა ენათა შინა უმრავლეს და უკეთ არიან. ამისთვის ღრამმატიკოსსა შინა სწერია სწავლება” (შანიძე, 1990: 75-76).

საინტერესოა, ამ მხრივ რა თავისებურებებს ვაწყდებით ბილინგვალუბთან? ვინაიდან, აღსანიშნავია, რომ ორმაგი ნარატივის პირობებში ბერძნული ართრონიანი სიტყვები ქართულად თხრობის დროს უართრონოდ უნდა გამოეყენებიათ: ქართველ-ბერძენი ბილინგვალუბის ახალბერძნულ ნარატივებში გვხვდება არსებითი სახელების წინ დასმული განსაზღვრული ანდა განუსაზღვრელი არტიკლების არასწორად გამოყენების არაერთი მაგალითი. შესამჩნევია ისიც, რომ მამით ბერძენ ბილინგვალუბთან მსგავსი ტიპის შეცდომა არ დაფიქსირებულა. ამ კატეგორიაში უშეცდომოთ აწარმოეს თხრობა პონტოელმა ბერძენ-ქართველმა ბილინგვალუბმაც. ქვემოთ მოყვანილია ტექსტებიდან სრულად ამოკრეფილი ქართველ-ბერძენ ბილინგვალუბთან სქესისა და არტიკლების არასწორად გამოყენების მაგალითები:

Ο σκύλος προσπαθεί να πιάσει *το κυψέλη* που είναι κρεμασμένο στο δέντρο... (Λαζάρე, 8,3). Και *οι βάτραχες* κλαίνε (Λούκας, 10). *Το βάτραχος* θέλει να φύγει. ... είναι με *το πέτρα* και το σκυλί είναι κάτω. ...και το παιδί και το σκυλί είναι μέσα στο ξύλο και αυτή και *το μικρή* και είδαν *το βατράχους* (Μαρία, 7). Και *ένας αγόρι* είπε: βάτραχε πού είσαι; Και βγήκε *ένα κουκουβάγια*... Μετά έψαχνε το σκυλάκι και *το βάτραχος*, το αγόρι και φώναξε (Αναστασία, 7). Ήταν *ένα βάτραχο* και ήταν σκυλάκι και *ένα άνθρωπο* και μετά μικρό παιδάκι κοιμήθηκε. Και *το άνθρωπο* γύριζε πού είναι *βάτραχο*; Μετά είδε ένα βάτραχο, δύο βάτραχο είδε, αλλά *ένα μαμά* και ένα μπαμπά (Ενρίκε, 6,9). Είναι ένα αγόρι που κοιτάει τον βάτραχο και *ένα σκύλο*, που κοιτάει ένα βάτραχο. Το παιδί κοιμάται και *το σκύλο* και *το βάτραχο* ανεβαίνει, *το βάτραχο* φεύγει. Το παιδί και *το σκύλο* βλέπουνε ότι δεν είναι *το βάτραχο*, εξαφανίστηκε (Σάββας, 8). Μετά κοίταγαν το παιδί και *το σκύλο* και μετά κόλλησε το δοχείο στο κεφάλι του και το παιδί κοίταγε (Αλέξανδρος, 6,6). Το παιδί βλέπει σε *ένα άμμο* και το σκυλάκι θέλει να βρει πού είναι (Λίζι, 7,1). Είναι ένα παιδί, *σκύλο* και



*βάτραχο*. Μετά το παιδί ανέβηκε *το πέτρα* και *σκύλο* κάτω και το παιδί (φανάζει) (Βίβλιον, 7,7).

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში გამუქებული შრიფტით გამოკვეთილია სქესის არევისა და შესაბამისად, სახელებისთვის არასწორად შერჩეული განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი არტიკლების შემთხვევები. რასაც განაპირობებს ის, რომ ახალბერძნულში, ისევე როგორც ბევრ სხვა ენაში (მაგ., გერმანულში, ფრანგულში) არტიკლი სახელთა სქესის გამომხატველ ფუნქციასაც ითავსებს; გვაქვს ზედსართავი სახელის არასწორად გამოყენების ერთი მაგალითიც: *το μικρή*. ასევე, მრავლობით რიცხვში დასმული არსებითი სახელისთვის ბოლოსართის არასწორად დართვის ერთი შემთხვევაც: *οι βάτραχες*.

ახალბერძნულში ძალიან ხშირად მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი და ბრალდებითი ბრუნვები დაიმატებენ *σε* წინდებულს და გვაძლევს შემდეგი ტიპის არტიკლებს: *στου, στης, στο(ν) στη(ν), στο, στων, στους, στις*, რომლებსაც წინდებულის არტიკლებს ვეძახით ([http://users.sch.gr/ipap/Ellinikos%20Politismos/Yliko/Theoria%20Nea/oristiko\\_aoristo\\_arthro.htm](http://users.sch.gr/ipap/Ellinikos%20Politismos/Yliko/Theoria%20Nea/oristiko_aoristo_arthro.htm)) ქვემოთ წარმოდგენილია მსგავსი ტიპის შეცდომები (5 შემთხვევა), რომლებიც დაფიქსირდა ორ ბილინგვალთან: ...και δεν είναι μέσα *στη νερό* βάτραχος. ...φανάζει και το σκυλί *στην ξύλο*. ...Το παιδί είναι μέσα *στη νερό* και μετά έφυγε πάνω και το σκυλί (Μαρία, 7). Μετά το παιδί ψάχνει *στο χάμα* και σκυλί *στο κυψέλη* των μελισσών (Βίβλιον, 7,7).

ზემოთმოყვანილი მაგალითები გამოვლენილია 20-დან 9 (ცხრა) რესპონდენტთან. მათ შორის კი ყველაზე მეტი სიხშირით აღნიშნულ კატეგორიაში შეცდომები დაუშვეს იმ ბილინგვალებმა (სულ: 3 ბავშვი), რომლებიც დაბადებული არიან საქართველოში და ბოლო ორი-სამი წელია, რაც საბერძნეთში ცხოვრობენ; ეს კი ფაქტობრივი მონაცემია, რომ ისინი არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ბერძნულ სამყაროსთან ინტეგრაციას განიცდიან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდებარეობის მიხედვით, ახალბერძნულში არტიკლი პრეპოზიციულია. ჩვენს რესპონდენტებს კი ისინი წინადადებებში უშეცდომოდ, შესაბამისი წესისამებრ აქვთ განლაგებული.

ბავშვები მგრძობიარენი არიან იმ ენის ტიპოლოგიური თვისებების მიმართ, რომლებსაც ისინი ადრეულ ასაკში იძენენ (სლობინი, 1997; ლააჰა და გილისი (რედ.),

2007). ისინი, ვინც იზრდებიან უაღრესად დახვეწილი ენებით, როგორცაა თანამედროვე ბერძნული, ხშირად მოისმენენ მოცემული ლექსების სხვადასხვა გრამატიკულ ფორმებს, რომლებიც გამოიყენება განსხვავებულ გრამატიკულ და სემანტიკურ-პრაგმატულ კონტექსტში. იმისდა მიუხედავად, რომ ბერძნული არსებითი სახელი არ არის ისეთი ზედმიწევნით გრამატიკულად ცვალებადი, როგორც ზმნა, ამ ცვალებად-ფლექსიური ენის სახელობითი ფლექსიის (სიტყვის ფორმის შეცვლა) დაუფლება საკმაოდ რთულია, რომელიც მოიცავს ბრუნვის, რიცხვისა და სქესის სამ კატეგორიას. როგორც ჩვეულია, ამ ტიპის ენებში, ბრუნება-რიცხვის ფორმების ფორმირება ემორჩილება განსხვავებულ ნიმუშებს, რომლებიც მეტწილად სახელობითი ლექსემების კლასებზე ვრცელდება და ნაწილობრივ გენდერზეა დაფუძნებული. გარდა ამისა, არსებითი სახელების სამი გენდერული კლასისა და ბრუნება-რიცხვის ფორმების გაჩენის სიხშირე მნიშვნელოვნად განსხვავდება სალაპარაკო ბერძნულისგან, როგორც ტიპური სახეობების, ასევე (სიმბოლური) ნიშნების სიხშირის მიხედვით (სტეფანი & ხრისტოფიდუ, 2009).

### 3. კოდების გადართვის (CS) სიხშირე ბილინგვალბთან:

ჩვენ მიერ მოპოვებულ ტექსტებში კოდების გადართვის თვალსაზრისით შემდეგი სურათი გვაქვს:

1) I ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში წარმოდგენილი 20 (ოცი) ქართველ-ბერძენი ბილინგვალის ქართულ ნარატივებში დაფიქსირდა კოდის გადართვის სულ 8 შემთხვევა (4 სიტყვა რამდენიმეჯერ გამოვრებით). ეს სიტყვებია: *ბალკონი* (*το μπαλκόνι* „აივანი“), *ალეპუ* (*η αλεπού* „მელია“), რომელიც ერთ-ერთმა ნარატორმა სიტყვა „ირემის“ ნაცვლად გამოიყენა, *ტრიპა* (*η τρύπα* „ხვრელი“) და (*το ραντεβού* „შეხვედრა წინასწარ განსაზღვრულ დროსა და ადგილას, პაემანი“) (ზაბინიოტისი, 2019). აღსანიშნავად მიგვაჩნია ისეთი სიტყვის ჩართვა, როგორცაა: „*რანდევეუ*“, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა ქართულშიც დამკვიდრებულია, ვფიქრობთ, ამ კონკრეტულ შემთხვევებში ბერძნულის გავლენა უნდა ვივარაუდოთ, (მიუხედავად იმისა, რომ მისი ეტიმოლოგია ფრანგულ ენას უკავშირდება: *rendez-vous* (ტრიანდაფილიდისი, 1998)), ვინაიდან იგი თანამედროვე სასაუბრო ბერძნულში

ქართულთან შედარებით საკმაოდ ხშირად გამოიყენება. სიტყვა „*რანდევეუ*“ გვხვდება ერთ-ერთ ნარატორთან სამჯერ გამეორებით. შესაბამისად, თუ ბილინგვალის თხრობაში მოცემული სიტყვის (*რანდევეუ-ს*) ჩართვას კოდის გადართვის შემთხვევად მივიჩნევთ, ენის არევის ასეთი სულ 8 შემთხვევა გვექნება; ზემოხსენებულ ჯგუფში შემავალ ცდის პირთა ახალბერძნულ ნარატივებში კი კოდის გადართვის (CS) შემთხვევები არ გამოვლენილა.

ქვემოთ მოვიყვანთ ნარატივებში აღმოჩენილ რვავე კოდის გადართვის მაგალითს:

1. ა) „...ბავშვი ეძებს *ტრიპაში* ჩათხრილი რალაცაში და ძაღლმა დაინახა სკა, ფუტკრების სკა” (თაზო, 9,9 წ.);

ბ) „...ბავშვმა და ძაღლმა ავიდენ ხეზე და მათ დაბლა არის ხეს *ტრიპაში* (გულისხმობს *ხვრელს* - ავტ.) ორი ბაყაყი” (თაზო, 9,9 წ.);

2. „...ბიწუნა დაინახა ორი ეე ბაყაყი, რომელიც ცოლ-ქმარი იყო და *რანდევეუ* ქონდათ და ცოლ-ქმარი იყო *რანდევეუთი*. ძაღლი უყურებს და თურმე იმიტო წასულა ბაყაყი, რომ შეყვარებული უნდა გაეკეთებინა *რანდევეუ*” (გულისხმობს *შეხვედრას* - ავტ.) (ლუკა, 9,8 წ.);

3. ა) „...ძაღლი, ძაღლი და მერე *ალეკუს* გაეკიდა ძაღლი” (ენრიკე, 6,9 წ.);

ბ) „...ძაღლი გაეკიდა *ალეკუს*” (გულისხმობს *ირემს* - ავტ.) (ენრიკე, 6,9 წ.);

4. „...აგერ არი ერთი ძაღლი *ბალკონზე* და ერთი ბავშვი, რომელიც იძახის რალაცას” (გულისხმობს *აივანს* - ავტ.) (ელენე, 9,9 წ.);

2) II ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში შემავალი 3 (სამი) პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალეების ქართულ ნარატივებში ორთან დაფიქსირებულია კოდის გადართვის სულ 3 შემთხვევა (1 სიტყვა ორჯერ გამეორებით); შესაბამისად, სახეზე გვაქვს შემდეგი ორი ბერძნული სიტყვა: *კუვერტა* (*η κουβέρτα* „გადასაფარებელი”) და *მეტა* (*μετά* „შემდეგ”).

ორივე ნარატორთან დაფიქსირებული კოდის გადართვის შესაბამისი მაგალითები წარმოდგენილია ქვემოთ:

1. „...ზემოდან აფარია *კუვერტა*” (გულისხმობს *გადასაფარებელს* - ავტ.) (გიორგი, 8 წ.);

2. ა) „...*მეტა* ბიჭი მიცოცავს... ადის ხეზე და ძალლი აგდებს ფუტკრების სკას” (ოლგა, 9,1 წ.);

ბ) „...*ეეე მეტა...* ბავშვი ჩავარდა წყალში და მის ერთად არის ძალლიც” (გულისხმობს *შემდეგ-ს - ავტ.*) (ოლგა, 9,1 წ.);

აქვე, კიდევ ერთხელ დავსძენთ, რომ დანარჩენ ჯგუფებსა და ქვეჯგუფებში კოდის გადართვის შემთხვევები არ დაფიქსირებულა; რუსული ენიდან ჩართული სიტყვები კი ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს და მათზე არ შევჩერდებით. ხოლო, ზემოთ წარმოდგენილ I და II ჯგუფის პირველ ქვეჯგუფებში შემავალ ცდის პირთა ქართულ ნარატივებში გამოვლენილი კოდის გადართვის შემთხვევები და მათი პროცენტული მაჩვენებლები როგორც ზემოთ, ზოგად მიმოხილვაში აღვნიშნეთ, ასახულია შესაბამის ცხრილში (იხ. ცხრილი 13).

დ. უზნაძემ თავის ცნობილ ნაშრომში „ენის შინა ფორმა“ ბილინგვიზმის მაგალითი ახსნა „ენობრივი განწყობის” ცნებით და წარმოადგინა შეხედულება მეტყველების პროცესის განწყობისეული საფუძვლის შესახებ, სადაც იგი შენიშნავს, რომ ორ ენაზე მოლაპარაკე ბავშვები - ჯერ კიდევ, სანამ საბოლოოდ დაძლევენ ენას - მშობლებს ერთ ენაზე ცდილობენ ელაპარაკონ და თავიანთ, მეორე ენაზე მოლაპარაკე თანატოლებს - მეორეზე. და საინტერესო აქ ისაა, რომ თითოეული ამ ენის ცალკეული სიტყვები, ისე როგორც ფორმები, რომელიც მათ ჯერ კიდევ არც კი აქვთ რიგიანად დაძლეული, იშვიათად ერევათ ერთმანეთში და თავ-თავის კონტექსტში ხმარობენ (უზნაძე, 1947). უზნაძე ამ დაკვირვებებით ამტკიცებს, რომ „მეტყველების დაწყებას რაღაც მდგომარეობა უსწრებს წინ, რომელიც ამ გარკვეულ ენაზე ლაპარაკისათვის საჭირო ძალებს აღძრავს სუბიექტში. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში სუბიექტი სანამ ლაპარაკს დაიწყებდეს, წინასწარ, ერთგვარს მთლიანობითი ხასიათის ცვლილებას განიცდის, ცვლილებას, რომელიც იმაში იჩენს თავს, რომ იგი გარკვეული მიმართულებით შლის თავის აქტივობას, რაც მანიშნებელია იმისა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეტყველების განწყობასთან უნდა გვექონდეს საქმე” (უზნაძე, 1947: 174).

## ძირითადი დასკვნები:

წინამდებარე ნაშრომის სახით წარმოვადგინეთ ნარატივის მეთოდის გამოყენებით განხორციელებული კვლევა. ნაშრომში საბერძნეთსა და აჭარის რეგიონში მცხოვრები ქართველ-ბერძენი და პონტოელი ბერძენ-ქართველი უმცროსკლასელი ბილინგვალეებისგან აღებული ნარატივების მეშვეობით, მათი ცოცხალი მეტყველების ანალიზი განვახორციელეთ და ბილინგვალთა ნარატივები მათი თანატოლი ბერძენი მონოლინგვალეების ტექსტებს შევუდარეთ; თავის მხრივ, ამ უკანასკნელთა ნარატივების ქართველი მონოლინგვალეების ნარატივებთან შედარებითი ანალიზი მოვახდინეთ, რამაც საშუალება მოგვცა, ქართულ და ახალბერძნულენოვანი ტექსტების სიღრმისეული ანალიზით ბილინგვალთა მეტყველების თავისებურებები გამოგვეკვეთა და მათი ენობრივი მდგომარეობა შეგვესწავლა. კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, შესასწავლი საკითხის ამოცანა მდგომარეობდა, უპირველესად, თუ რამდენად აისახა ქართველ-ბერძენ ორენოვანთა ენაში მეორე (ახალბერძნული) ენა და თავის მხრივ, დომინანტის როლიც შეითავსა, ან თუნდაც, როგორც გახდა ის პირველი ენა ეროვნებით ქართველი ბავშვებისთვის, რამაც ისინი ბილინგვალეებად აქცია, რა ცვლილებები განიცადა მათმა მშობლიურმა (ქართულმა) ენამ უცხო გარემოში, ახალ კონტაქტებში მოხვედრით, რა ფორმით მკვიდრობს იგი მათ მეხსიერებაში, რა დონეზე ფლობენ უცხო მიწაზე ქართულ ენას, და რით აიხსნება ცვლილებათა გამომწვევი მიზეზები. შევეცადეთ, რის საშუალებასაც მოპოვებული კვლევის ემპირიული მასალა გვაძლევდა, შეგვესწავლა მათი მეტყველების ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებები, ბილინგვიზმის თანმდევი მოვლენა და პარალელი გაგვევლო და შეგვედარებინა მონოლინგვალთა მეტყველებასთან. ყურადღება გავამახვილეთ მონო- და ბილინგვურ მსგავსება-განსხვავებებზე კონკრეტული გრამატიკული კატეგორიების მიხედვით და უმცროსკლასელ ორენოვანთა ნარატიული შესაძლებლობების შეფასება მოვახდინეთ.

ზოგადად, კვლევაში ყველაზე ფართოდ გამოიყენება კვლევის ობიექტთა შემთხვევითი შერჩევის პრინციპი, რათა შესაძლებელი გახდეს კვლევის შედეგების განზოგადება, თუმცა ბილინგვიზმთან დაკავშირებული კვლევები, ფაქტობრივად, არასოდეს იყენებს შემთხვევითი შერჩევის მეთოდს. კვლევაში მონაწილე ცდის პირთა

განსხვავებულობიდან გამომდინარე, კვლევის შედეგებიც ყოველთვის განსხვავებული დგება. კვლევაში მონაწილეები განსხვავდებიან ეთნიკური ან კუთხური წარმომავლობით, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით, განსახლების ადგილითა და ტიპით, ასაკით, ოჯახური სოციუმით, მასწავლებელთა კვალიფიკაციით და ა.შ. შესაბამისად, ამა თუ იმ ჯგუფთან ჩატარებული კვლევის შედეგების განზოგადება არავალიდურად ითვლება.

რეზიუმეს სახით: რაც შეეხება ზემოთმოყვანილ ემპირიული მასალით მიღებულ *მონაცემთა ანალიზს*, ხუთ (5) კატეგორიაში (**ფუნქციური მიდგომის ანალიზი, სტრუქტურული მიდგომის ანალიზი**, რომელშიც თავმოყრილია: **ლექსიკური და მორფოსინტაქსური შედარებები**, და **კოდების გადართვა - CS**) შემავალი სულ 16 საზომია დაშიფრული და შესწავლილი შემდეგი მიმართულებებისთვის:

- ა) **ნარატივის სტრუქტურა**: მოთხრობის გრამატიკული კატეგორიები;
- ბ) **ლექსიკა**: სიტყვების სიხშირე და რაგვარობა / ტიპები, კონტენტი;
- გ) **მორფოსინტაქსი**: N-V, ზმნის ფლექსიები, ნაცვალსახელები, არტიკლები, სქესი, რიცხვი, რთული სინტაქსური შეცდომები და სხვ.;
- დ) **ბილინგვიზმი**: კოდების გადართვის სიხშირე.

როგორც ნაშრომის ძირითად ნაწილში წარმოდგენილი მიმოხილვიდან ჩანს, კვლევის მონაცემთა ანალიზისას გამოკვეთილი შედეგები ძირითადად ფოკუსირებული იყო მონო- და ბილინგვურ განსხვავებებზე, თუმცა, ყურადღება გამახვილებული გვაქვს მსგავსებებზეც, რომლებმაც აჩვენა შემდეგი:

- ა) საერთო ჯამში, ქართველ-ბერძენი ბილინგვალები (I ჯგუფი) ახალბერძნულ ენაზე უკეთესად ახერხებენ სათქმელის გადმოცემას, ვიდრე ქართულ ენაზე; ხოლო, პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალების (II ჯგუფი) ქულათა რაოდენობა თანაბრად მაღალია ამბის სტრუქტურის მხრივ ორივე ენაზე. ეს კი ცალსახად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ისინი ორივე ენას თითქმის თანაბრად ფლობენ ყველა შემადგენელი კომპონენტის გათვალისწინებით, ვიდრე პირველ ჯგუფში შემავალი ანუ საბერძნეთში მცხოვრები ქართველი ბილინგვალი უმცროსკლასელები. აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ისიც, რომ I ჯგუფში შემავალი ბილინგვალების ახალბერძნული ნარატივების საშუალო მაჩვენებლები

ჩამოუვარდება ბერძენი მონოლინგვალეების (III ჯგუფი) იმავე მაჩვენებლებს, რაც ცხადყოფს, რომ ისინი ამ ეტაპზე ვერ ფლობენ თანამედროვე ბერძნულ ენას ბერძენი თანატოლების დარად. ეს არც არის გასაკვირი და თუ მათ ასაკსაც გავითვალისწინებთ, არც საგანგაშო და შემაშფოთებელია, ვინაიდან „რაც არ უნდა ტრივიალურად ჟღერდეს, ე2-ის (მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ახალი ბერძნული დომინანტი ენაა. გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვების ნაწილი საქართველოში არიან დაბადებული, მათთვის ე1 ქართულია. იმათთვისაც, კი ვინც საბერძნეთში დაიბადა, ბერძნულ გარემოში მოხვედრამდე, როგორცაა საბავშვო ბაღი, დედის გავლენით უპირველესად, ქართული ენის შესწავლა დაიწყეს, ბერძენი მამის ყოლის შემთხვევებს თუ განვიხილავთ, აქაც ჭარბობს დედის როლი, ვინაიდან, როგორც ჩვენი რესპონდენტების მშობლებთან გასაუბრებით მიღებული ინფორმაციით ვიმსჯელებთ, საწყის ეტაპზე, ბაგა თუ საბავშვო ბაღის ასაკამდე პერიოდში, აქაც ქართული ენის სწავლების მცდელობას გამუდმებით ჰქონდა ადგილი, თუმცა შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ მამით ბერძენი ბავშვები გაცილებით უკეთ ფლობენ ბერძნულ ენას) შესწავლას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვები ისევე ადვილად ივიწყებენ ენას, როგორც სწავლობენ, საჭიროა ე2-ის შესწავლის უწყვეტობის უზრუნველყოფა” (რიაგენი & ლიუდი, 2008: 47-48). ეს, ენის კარგად დაუფლებისთვის საჭირო და აუცილებელი გარემო კი ნამდვილად შექმნილია მათთვის, ვინაიდან მათი ენის ათვისების პროცესი ბერძნულ საჯარო სკოლებში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს, ამას ემატება ის სოციუმი და გარემო, სადაც ყოველდღიურად უწევთ კომუნიკაცია სულ მცირე თავიანთ თანატოლებთან ამავე, ახალბერძნულ ენაზე.

**ბ) მონოლინგვურ-ბილინგვური განსხვავებები, რასაკვირველია, დასტურდება ლექსიკის მხრივ, მაგრამ არა ამბის გაგება-გააზრების თვალსაზრისით;**

ქართველ-ბერძენ ბილინგვალთა ნარატივების ლექსიკური შედარებისას აღმოჩნდა, რომ ისინი გაცილებით მწირი ლექსიკის გამოყენებით აწარმოებენ ახალ ბერძნულ ენაზე თხრობას ბერძენ თანატოლებთან შედარებით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიტყვები მათი ლექსიკური მნიშვნელობისა და ფორმის საშუალებით ერთმანეთს უკავშირდებიან და ქმნიან ისეთ ორგანიზებულ ერთეულს, როგორცაა

წინადადება. სრულმნიშვნელობიანი სიტყვებისგან რომ წინადადებები შევადგინოთ, ამისათვის აუცილებელია, რომ ისინი ერთმანეთს შევუწყოთ თითოეულ ენაში ისტორიულად შემუშავებული წესების შესაბამისად. სიტყვათა შეკავშირებისთვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო სიტყვების ფორმას, არამედ მათს ლექსიკურ შინაარსსაც (კვაჭაძე, 2010: 4). ჩვენი ბილინგვალი რესპონდენტებისთვის ამოცანას წარმოადგენდა ორი განსხვავებული ენის შესაბამისი გრამატიკული წესები მოეშველიებინათ, მათი გონებაში თავმოყრა და კატეგორიზაცია მოეხდინათ და ქართულ და ახალბერძნულ ენებზე მათ მიერ შესრულებული ნარატივები ლექსიკურად გაემართათ, რასაც საერთო ჯამში, თავი საკმაოდ კარგად გაართვეს. აქვე დავამატებთ: ის გარემოება, რომ ისინი ინტენსიური ენობრივი ათვისებისთვის მუდმივად შესაფერის გარემოში იმყოფებიან, პოზიტიურად გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნულმა ვითარებამ უმოკლეს დროში მათი ამჟამინდელი ლინგვისტური ნაკლოვანებების კომპენსირება მოახდინოს (რიაგენი & ლიუდი, 2008: 47-48). ჩვენს მასალაში კვლევის ცდის პირთა: მონო- და ბილინგვალი ნარატივების შედარება Tr-ის (რომელიც არის ლექსიკური კომპლექსურობის საზომი), ანუ ლექსიკის სიმდიდრის მიხედვით, გვიჩვენებს ფაქტობრივად თანაბარ ჯამებს, რაც ძალიან კარგია - ეს ნიშნავს, იმას, რომ ბილინგვიზმმა არ გააღარიბა ნარატივები. აქვე დავსძენთ, რომ: „ბილინგვიზმის შედეგები განსაკუთრებით ნათლად და მკვეთრად (თანაც ყველაზე ადრე) ვლინდება ლექსიკაში” (ჯორბენაძე 1997: 15-16).

რაც შეეხება პონტოელ ბერძენ-ქართველ ბილინგვალებს, მათ ნარატივებში პონტოური დიალექტისთვის დამახასიათებელი სიტყვაფორმები არ ჩაურთავთ თხრობაში. რაც განპირობებულია, მათი ახალბერძნული ენის სასაუბრო თუ აკადემიურ დონეზე შესწავლის სურვილით - ისინი კერძო რეპეტიტორების დახმარებით ეუფლებიან თავიანთ ისტორიულად მშობლიურ ენას. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის გეგმით გათვალისწინებული დასურათებული მოთხრობის აღწერის დროს ჩვენს რესპონდენტებს პონტოური დიალექტი არ ჩაურთავთ, გვაფიქრებინებს კიდევ ერთ დასაშვებ ვარაუდს, რომ შესაძლოა, მათ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, უბრალოდ არ დასჭირვებიათ მათი გამოყენება. თუმცა, უდავოა, ის ფაქტიც, რომ მათ, როგორც ახალი თაობის წარმომადგენელ პონტოელ ბერძნებს



(სხვადასხვა გარემო პირობების გათვალისწინებით) პონტოურ დიალექტთან ენობრივი კავშირი დიდად არც აქვთ, მაშინ როცა აჭარის რეგიონში მცხოვრები უფროსი თაობის პონტოელი ბერძნების ცოცხალ მეტყველებაში პონტოური დიალექტის ელემენტები უხვად გვხვდება (იხ. ნაშრომები: აბულაძე, 2018; ბერიკაშვილი, 2014).

აღსანიშნად მიგვაჩნია, სიუჟეტის მოზრდილობის თვალსაზრისით ქართველ-ბერძენი ბილინგვალეების უპირატესობა პონტოელ ბერძენ-ქართველ ბილინგვალეებთან შედარებით ორივე ენაზე. და ამ მხრივ, ბერძენი მონოლინგვალეების უპირატესობა ქართველ მონოლინგვალეებთან მიმართებით.

გ) შეიმჩნევა მონოლინგვურ-ბილინგვური მსგავსება სინტაქსის თვალსაზრისით (წინადადებების სიგრძე), მაგრამ არა ლექსიკისა და მორფოსინტაქსის მხრივ, რომელშიც ქართველ-ბერძენი (I ჯგუფი) ბილინგვალეების შედეგები გაცილებით უარესი იყო მონოლინგვალეებთან შედარებით;

ასევე, ნაშრომში განხილულ გრამატიკულ კატეგორიებში I ჯგუფში შემავალ ორენოვანთა მიერ ქართულ ენაზე თხრობისას დაშვებულ შეცდომათა, როგორც საერთო რაოდენობა, ისე შეცდომების ხარისხი სირთულის მხრივ, გაცილებით მაღალია მათ მიერ ახალბერძნულ ენაზე ნაწარმოები ნარატივების შესრულების დროს დაშვებულ მორფოსინტაქსურ შეცდომებთან შედარებით, სადაც ჩანს სქესის, როგორც გრამატიკული კატეგორიის აღრევის შემთხვევები, რასაც ლოგიკურად მოსდევს განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი არტიკლების არასწორად დასმის მაგალითებიც. რაც, ვფიქრობთ, გენეტიკური კოდის ჩარევით უნდა იყოს განპირობებული, რადგანაც ქართული ენის ბუნებისთვის სქესის და არტიკლის კატეგორიები არ არის დამახასიათებელი. ამგვარად, უმცროსკლასელ ბილინგვალეებს უძნელდებათ შეძენილი ენის ლექსიკის სქესის მიხედვით მარკირება და შესაბამისად, შესატყვისი არტიკლებით შემკობაც. პონტოელი ქართველ-ბერძენი (II ჯგუფი) ბილინგვალეების ტექსტებში კი, სადაც მოსალოდნელი იყო ნასესხები (ქართული) ლექსიკის გავლენით შესუსტებული ყოფილიყო სქესის კატეგორია საკუთრივ ახალბერძნულში, არ ვაწყდებით მსგავს პრობლემას, რაც უპირობოდ განპირობებული უნდა იყოს მათი მხრიდან თანამედროვე ბერძნული ენის

აკადემიურ დონეზე შესწავლის მცდელობით, მით უფრო, რომ აღნიშნული ჯგუფის სამი რესპონდენტიდან ერთი, უკვე ერთი წელია, რაც საბერძნეთში ცხოვრობს მშობლებთან ერთად.

დ) მცირე დოზით, მაგრამ ფიქსირდება ბილინგვიზმის თანმდევი მოვლენა - კოდების გადართვა (CS) ორივე (I და II) ჯგუფის ბილინგვალეებთან ნარატივების ქართულად წარმოების დროს; ასევე: მოპოვებულ ქართულ ტექსტებში კოდების ჩართვის შემთხვევების რაოდენობრივი სიმცირე გამეორების თვალსაზრისითაც არ გამოირჩევა დიდი სიხშირით.

აღსანიშნავია, რომ კოდების გადართვის დროს ჩვენი ცდის პირები თავს უხერხულად გრძობდნენ, ბოდიშსაც კი იხდიდნენ ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლის გამო. მაშინ, როცა, ენების გადართვა მნიშვნელოვან ლინგვისტურ ინსტრუმენტად ითვლება, ვინაიდან ეს პროცესი არ არის შემთხვევითი, არამედ გააზრებული და ლოგიკური აზროვნების შედეგია. ხშირ შემთხვევაში კი, ბილინგვალისთვის ერთ-ერთი ენაა მთავარი ანუ *მატრიცული ენა*, რომელზეც სწორად აგებს გრამატიკულ კონსტრუქციებს თუ წინადადების წყობას (მაიერს-სკოტონი, 2002).

ასევე, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ შემდეგი: თუ ერთი ენიდან მეორე ენაზე გადართვა ძალიან ხშირია ამა თუ იმ თემში, ეს იმის მანიშნებელია, რომ უმცირესობათა ენა შეიძლება მალე გაქრეს. ბილინგვიზმი ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც მშობლიური ენიდან უმრავლესობის ენაზე გარდამავალი საფეხური. თუკი მატრიცული ენა ხდება უმრავლესობის ენა, ეს ნიშნავს საფრთხეს უმცირესობის ენისთვის, თუ მატრიცული (ენა, რომელზეც აფუძნებს ინდივიდი სწორ გრამატიკულ კონსტრუქციებს) უმცირესობის ენაა, ეს პოზიტიურია ბილინგვიზმისთვის (ბეიკერი, 2010: 112). ჩვენს რეზულტატებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, კვლევაში მონაწილე რესპონდენტებისთვის ახალი ბერძნული ენა საშიშროებას არ უქმნის მათ მშობლიურ - ქართულ ენას.

ე) ნარატივების წარმოების დროს ბილინგვალეებში შესამჩნევი წყვეტილად თხრობა, რაც განპირობებული იყო თხრობის მომენტისთვის პირველ ჯგუფთან ქართული და მეორე ჯგუფთან ახალბერძნული სიტყვების ძიების მცდელობით; მათი დამაბული

შინაგანი მდგომარეობა გამოხატული გონებაგაფანტულობით, რაც ასახვას პოვებდა პირდაპირ სიუჟეტზე სრულად კონცენტრირების ვერ მოხდენაში. ჩამოთვლილ გარემოებათა გამომწვევ მიზეზად პირველ ჯგუფთან დიდი დოზით ქართულის, მეორესთან კი - მცირე დოზით ბერძნული ლექსიკონის სიღარიბე და **ინტერფერენციის** გავლენად მიგვაჩნია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველ-ბერძენი ბილინგვალები **ნაწილობრივ (ან დაუბალანსებელ) ბილინგვალებად** მივიჩნიეთ, რადგან მათ არასრულფასოვანი კომპეტენცია აჩვენეს ერთ-ერთ (ქართულ) ენაში; პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალები კი - **დაბალანსებულ ბილინგვალებად** ჩავთვალეთ, ვინაიდან ისინი მეტ-ნაკლებად კარგად ფლობენ ორივე (ქართულ და ახალბერძნულ) ენას.

ჩვენი კვლევის ანალიზით მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა, რომ ორენოვან უმცროსკლასელთა მეტყველებაში **ინტერფერენციის მოვლენა** გამოვლინდა შემდეგ გრამატიკულ კონსტრუქციებში: 1. ა) **მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება რიცხვში**, სადაც ორმაგ ინტერფერენციასთან გვქონდა საქმე, რომელიც გამოიხატა როგორც ახალბერძნულის ქართულ ენაზე გავლენაში, ისე პირუკუ; 2. ბ) **მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვაში**, სადაც მიგვაჩნია, რომ ინტერფერენციის მოვლენა ქართული ენის გავლენით გამოიკვეთა; 3. გ) **ზმნის კოორდინაციული სტრუქტურა**: აქ ბილინგვალის მეტყველებაში ბერძნულისთვის დამახასიათებელმა ნომინატიურმა კონსტრუქციამ (კაცუდა, 2013: 21) იჩინა თავი; აგრეთვე, 4. ვ) **ნაცვალსახელთა გამოყენების სპეციფიკა ქართულ და ახალბერძნულ ნარატივებში**, ამ კატეგორიაში ჩვენს რესპონდენტებთან ენობრივი ინტერფერენციის ორივე ფორმა გვხვდება: მშობლიური ენის გავლენა მეორე ენის გამოყენებისას და პირიქით.

ვ) დაბოლოს, შესამჩნევია მონოლინგვალებისა (როგორც ბერძენი ისე ქართველი) და ბილინგვალების თხრობის შესაძლებლობებს შორის არსებული განსხვავებები; ბილინგვალებთან - შეფერხებით თხრობა, მაგრამ კონტენტის სიციხადე.

როგორც ცნობილია, ბილინგვიზმის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია ის სოციალური გარემო, სადაც ეს ორი ენა გამოიყენება. ბილინგვალები სხვადასხვა ენას სხვადასხვა სიტუაციაში იყენებენ; შესაბამისად, მათ ენობრივი კომპეტენციები თითოეულ ენაში სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება ჰქონდეთ განვითარებული.

სწორედ, ეს წარმოადგენს *ბილინგვიზმის ერთიან ხედვას* (დაბალანსებული ბილინგვიზმის ცნებიდან: ბილინგვიზმის მონოლინგვური და ერთიანი ხედვების ცნებები), რომელიც გაუმართლებლად თვლის ბილინგვალისა და მონოლინგვალის შედარებას. მათი ერთმანეთთან შედარება არასწორი მიდგომაა, რადგან შესაძლებელია ინდივიდის ენობრივი კომპეტენციები დაბალი იყოს მონოლინგვალეთთან შედარებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბილინგვალის ენობრივი კომპეტენცია აპრიორი დაბალია და მათი ორმაგ სემილინგვალეზად კლასიფიკაცია უნდა მოხდეს (ბეიკერი, 2010: 9-12). ვეთანხმებით რა ბილინგვიზმის ერთიანი ხედვის კონცეპტს და ვემიჯნებით მონოლინგვური ხედვის ცნებას, არამართებულად მიგვაჩნია და ამ შემთხვევაში არ ვახდენთ ბილინგვალისა და მონოლინგვალის შედარებას.

აქვე, გვსურს ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებას, ჩვენი რესპონდენტებიდან რამდენიმე სწავლობს სხვადასხვა მულტილინგვურ სკოლებში, სადაც რეალობა ბავშვების ისეთი ჯგუფების თანაარსებობა, რომლებიც სხვადასხვა ე1-ზე ლაპარაკობენ; ეს გულისხმობს იმას, რომ კლასები დაკომპლექტებულია ბერძენ ბავშვებთან ერთად სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის იმიგრანტი ბავშვებით. მაგრამ, როგორც უშუალოდ ჩვენი ცდის პირებისგან, ისე მათი მშობლების ინტერვიუებიდან ჩვენთვის გახდა ცნობილი, ასეთი შერეული ტიპის კლასებშიც კი ეროვნებით ქართველი ბილინგვალეები თავიანთ თანამემამულეებს იშვიათი გამონაკლისების გარდა, ქართულ ენაზე პრაქტიკულად არ ელაპარაკებიან. შესაბამისად, მათ „ლინგვისტურ კაპიტალში“ აღმოჩენილი და გამოკვეთილი ენობრივი ხარვეზები ახალბერძნულთან მიმართებით ამ გარემოებით არ იხსნება და აქ კიდევ ერთხელ დასტურდება ჭეშმარიტება ზოგადად ენის და მით უფრო მეორე ენის საფუძვლიანად შესწავლის შესახებ: ამ პროცესს საკმაოდ დიდი და ხანგრძლივი დრო სჭირდება და მოითხოვს „ე2-ის შესწავლის უწყვეტობის უზრუნველყოფას“ (რიაგენი & ლიუდი, 2008: 47-48).

დასკვნის სახით: მიუხედავად იმისა, რომ ახალბერძნული მათთვის დომინანტი ენაა, ფაქტია, ისინი ვერ ახერხებენ მოცემულ ეტაპზე მასში მთლიან ჩაფლობას, რაც განპირობებულია სხვადასხვა გარემოებით და მათ უწევთ ენების გამიჯვნა - მათი

ალტერნატიული გამოყენება. შეიძლება ითქვას, რომ ბილინგვალების სწავლების, ათვისების ენაში ადაპტირების გახლეჩა ხდება (სისტემატურად თუ არა ეტაპობრივად მაინც), რადგანაც ერთი მხრივ, სკოლაში სასწავლო გარემო მათთვის წარმოადგენს ახალბერძნულში მთლიანი ჩაფლობის მოდელს, სადაც სასკოლო საგნების სწავლება მიმდინარეობს მხოლოდ ე2-ზე, მეორე მხრივ კი, ხატოვნად რომ ვთქვათ, ხიდება ენებს შორის ქმნიან ბავშვები, რომლებიც გარკვეულ დონეზე ეუფლებიან ე1-ს საკვირაო სკოლებში (კვირაში ერთი ან რამდენიმე დღე). შესაბამისად, ხდება, მაგალითად, ქართული ენის თუნდაც ელემენტარულ დონეზე, მაგრამ მაინც პარალელური შესწავლა; ეს „გაყოფა“ კი ეწინააღმდეგება და ხელს უშლის ე2-ში ღრმად და უფრო ფართო მნიშვნელობით „ჩაფლობას“. ამ შემთხვევაში, მშობლიური ე1-ის (ქართულის) სწავლება გამიზნულია ვიწრო წრისათვის (ოჯახური გარემო ან სამომავლო მიზნებისა თუ პერსპექტივისთვის), ე2-ის (ახალი ბერძნულის) კი - ფართო წრისათვის (ამჟამინდელ სოციუმში ადაპტირებისთვის და ყველა იმ გამოწვევის დასაძლევად, რასაც იმიგრანტებს უყენებს უცხო გარემო. ამ ყველაფერს ამყარებს და ერთგვარად მათ უკან დგას მშობლების ამჟამინდელი რწმენა, რომ მათი შვილების მომავალი კეთილდღეობა და პროფესიული პერსპექტივები დაკავშირებულია სხვა ენასთან), რომელიც ამჟამად, უპირატესია.

სინტაქსური ცნებების ტრადიციული გაგება ევროპულ ენათა ნიადაგზე შეიქმნა. სინტაქსური თავისებურება კი პირდაპირი შედეგია მორფოლოგიის თავისებურებისა. მშობლიური ენის წესებიდან გამომდინარე, ახალი ფორმების შექმნის უნარი ყველა ბავშვს ახასიათებს მეტნაკლებად გარკვეულ პერიოდში. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ბავშვი აზოგადებს, ავრცელებს თავის მიერ აღმოჩენილ წესებს. თავის მხრივ, თითოეული ენის თავისებურებაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამა თუ იმ გრამატიკული ფორმის აღმოცენებას. ბავშვები კი ადრეული ასაკიდან ავლენენ გრამატიკული ფორმების დაუფლების საოცარ თანმიმდევრობას, იდენტურს, მოცემული ენის ყველა მატარებლისთვის (<https://www.qwelly.com/group/psychology/forum/topics/qartuli>). თითოეულ ენაზე ენობრივი ფორმების დაუფლების თანმიმდევრობა კი განსაზღვრულია არა მხოლოდ კოგნიტური განვითარების კანონზომიერებით, არამედ ფორმის ფსიქოლინგვისტური

სიძნელე-სიადვილით (სლობინი, 1999). ჩვენს საკვალიფიკაციო ნაშრომში წარმოდგენილი *მორფოსინტაქსური კონსტრუქციების ურთიერთმიმართება ქართულსა და ახალბერძნულ ენებში* ასახავს როგორც თანამედროვე ბერძნული ენის კვალს ქართულ მეტყველებაში ქართველ-ბერძენი უმცროსკლასელი ბილინგვალის, ისე ახალბერძნული ენის კვალს - ქართულში იმავე ასაკის პონტოელ ბერძენ-ქართველი ორენოვანების შემთხვევაში. მართალია, როგორც სლობინი (1985) აღნიშნავს, „განსხვავებული ტიპის ენები სვამენ ათვისების (მეტყველების დაუფლების) განსხვავებული ტიპის პრობლემებს“, თუმცა, ამ პროცესის მექანიზმი ზოგადია.

იმ განსხვავებების ასახვად თუ კითხვების გასაბათილებლად, თუ რატომ, რისთვის და რა მიზეზით დაფიქსირდა ესა თუ ის განსხვავება სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიაში ბილინგვალის მხრიდან, თუ საუბარი ეხება კონკრეტულ სამიზნე ჯგუფში შემავალ ცდის პირებს, რომლებიც მაგალითად, საბერძნეთში დაიბადნენ და ადრეული ასაკიდან თანაბრად მიუყვებიან ენის ათვისების პროცესს, მოვიშველიებთ დებულებას, რომელიც მე-18 საუკუნეში ჩამოაყალიბა შვეიცარიელმა პედაგოგმა იოჰან ჰაინრიხ პესტალოციმ (Johann Heinrich Pestalozzi): „არასოდეს შეადაროთ ერთი ბავშვი მეორეს - მხოლოდ თავის თავთან“ (რიაგენი & ლიუდი, 2008: 57), ეს გულისხმობს, რომ უნდა მოხდეს თითოეული მოსწავლის (ბილინგვალის) ენის ფლობის დონის კონკრეტული შეფასება და არა ზოგადი, მით უფრო, რომ მათი ასაკიდან გამომდინარე, ჯერ ნაადრევია მათი ენის ფლობის სრულყოფილებაზე ვიმსჯელოთ.

აღსანიშნად მიგვაჩნია ჩვენს კვლევით მასალაში ბილინგვიზმისთვის დამახასიათებელი და თანმდევი მოვლენების „*ინტერფერენცისა*“ და „*კოდების გადართვის*“ ორი საინტერესო დეტალის „არსებობა“, რომლებიც წინამდებარე ნაშრომისთვის მთავარი ღერძი და ამოსავალი წერტილი იყო: 1) კვლევის მონაცემთა ანალიზის დროს აღმოჩნდა, რომ *ინტერფერენცის მოვლენამ* თავი იჩინა ორივე მიმართულებით: ბილინგვალთა მეტყველებაში გამოვლინდა როგორც ახალბერძნულის გავლენა ქართულში, ისე პირიქით; 2) *კოდების გადართვის* სურათი კი ამ მხრივ სრულიად განსხვავებულია: ტექსტების შესწავლით ვნახეთ, რომ:

როგორც ქართველ-ბერძენ ისე პონტოელ ბერძენ-ქართველ ორენოვან უმცროსკლასელებთან კოდის გადართვის შემთხვევები დაფიქსირდა მხოლოდ და მხოლოდ ახალბერძნულიდან ქართულში. თუ იმ ლოგიკას გავყვებით, რომ საბერძნეთში მცხოვრები რესპონდენტებისთვის ახალბერძნული ენაა შეძენილი ან თუნდაც ნასესხები ენა, თუმცა, უკვე დომინანტი - მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, შეიძლება ითქვას, რომ იდენტური რეალობა გვაქვს საქართველოში, აჭარის შავიზღვისპირეთში მცხოვრებ რესპონდენტების შემთხვევაშიც, რომელთათვისაც ქართული იგივე როლს ირგებს/ითავსებს, რასაც პირველი ჯგუფისთვის ახალბერძნული (იმ განსხვავებას თუ არ ჩავთვლით, რომ ეროვნებით ქართველი ბავშვების გარკვეული ნაწილი საქართველოში დაიბადა და რამდენიმე წელიწადში დაიწყო უცხო, ბერძნულ სამყაროსთან შერწყმის პროცესი). მაგრამ კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ამ შემთხვევაშიც კოდის გადართვა ბერძნულიდან ქართულში მოხდა და არა პირიქით, როგორც ეს ლოგიკურად მოსალოდნელ შედეგად გვესახებოდა.

ამჯერად შევჩერდებით, ჩვენი საკვლევი მიზნებიდან გამომდინარე გამოკვეთილ ერთ-ერთ ამოცანაზე: *ბილინგვიზმის ურთიერთმიმართება აკადემიური წარმატების მიღწევაში.*

და აქვე ჩნდება კითხვა: რატომ ხდება, რომ ეროვნული უმცირესობების ენაზე მოლაპრაკე ან იმიგრანტ ბავშვებს იმ სკოლაში მოხვედრისას, სადაც სწავლება მხოლოდ გაბატონებულ სახელმწიფო ენაზე მიმდინარეობს, არ აქვთ კარგი ან ძალიან კარგი აკადემიური შედეგები, იმის მიუხედავად, რომ აქვთ კარგი სასაუბრო ჩვევები? „ამის მიზეზია, ის რომ მათ არ აქვთ ჩამოყალიბებული კოგნიტურად რთულ და სიტუაციურად დამოუკიდებელ გარემოში კონტექსტზე დაყრდნობის გარეშე მოქმედების უნარი” (რიაგენი & ლიუდი, 2008: 59).

მართლაც საინტერესოა, თუ რა არის რეალური მიზეზი იმიგრანტი ბავშვების, ლტოლვილებისა თუ სხვა ენობრივი უმცირესობების აკადემიური ჩამორჩენილობის მიზეზი. მიზეზები, ალბათ, მრავალმხრივია და მოიცავს უმრავლესობის მოსწავლეების მაღალ ენობრივ კომპეტენციას, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, საოჯახო სიტუაციას, რასიზმს, გენდერულ საკითხებს, მშობელთა

ჩართულობას, თანატოლთა ზეგავლენას, მასწავლებლის კვალიფიკაციას, სკოლებში არსებულ სწავლების ხარისხს და ა.შ. საზოგადოებაში გავრცელებულია სხვადასხვა მიზეზები ენობრივი უმცირესობების აკადემიური წარუმატებლობისა. **პირველი მიზეზი** - არის ის, რომ სხვა ენობრივ გარემოში გაზრდილ ბავშვებს აქვთ დაბალი ენობრივი კომპეტენცია. ასევე, უზნაძე ასკვნის, რომ „გარემოს ზეგავლენა ენის ყველა ელემენტზე ერთნაირი არ არის” (უზნაძე, 2003: 190); შესაბამისად, ისინი ვერ ახერხებენ ენის შესწავლას მაღალ დონეზე და აქვთ დაბალი აკადემიური მიღწევები. ამ მოსაზრების პასუხად: კარგად განხორციელებული ბილინგვური განათლების პროგრამა არ წარმოადგენს აკადემიური ჩამორჩენილობის მიზეზს, უფრო მეტიც - აკადემიური ჩამორჩენილობის პირობებშიც კი, სწორი ბილინგვური განათლების პროგრამა უზრუნველყოფს აკადემიურ წარმატებებს. ამ მიდგომის მიხედვით, სკოლა უნდა იყოს იმდენად მოქნილი, რომ შეძლოს განსხვავებული კულტურისა და ენის მოსწავლეთა ინკორპორაცია. ოჯახის ენასა და სასკოლო ენას შორის არსებული შეუთავსებლობა წარმატებით შეიძლება დაიძლიოს სწორედ ბილინგვური განათლების ძლიერი პროგრამების წყალობით (იხ. ბეიკერი, 2010: მე-11 თავი). კრაშენის 1999 წლის კვლევამ დაადასტურა, რომ „ძლიერი ბილინგვური განათლების პროგრამები უზრუნველყოფენ მეორე ენის მაღალ აკადემიურ დონეზე დაუფლებას” (კრაშენი, 1999: 7). აკადემიური ჩამორჩენის **მეორე მიზეზად** სახელდება სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები (იხ. ტრუება, 1991: 53). სოციალური პირობები, ისევე, როგორც ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები (დისკრიმინაცია, რასობრივი შეუწყნარებლობა, წინარე განსჯა, დეპრესია) მნიშვნელოვანია მოსწავლეთა აკადემიური წარუმატებლობების განხილვისას. საკითხის ამ კრილში განხილვა ნათელს ჰფენს იმ ფაქტს, რომ უმცირესობათა მოსწავლეების წარუმატებლობის მიზეზი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი რომელიმე ფაქტორი. მოსწავლეთა აკადემიური წარუმატებლობის **მესამე მიზეზად** გამოყოფენ სკოლის ტიპს, რომელშიც მოსწავლე სწავლობს. მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენის განხილვისას მნიშვნელოვანია, რა ტიპის პროგრამით (ბილინგვური განათლების „სუსტი” თუ „ძლიერი” პროგრამებით, იხ. ბეიკერი, 2010: მე-10 & მე-11 თავები) სწავლობს მოსწავლე სკოლაში. პროგრამები, რომელთა მიზანია მშობლიური ენის



